

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების  
ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე

**მუხლი 1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნოს და დადგენილებებად ჩაითვალოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონის ამოქმედებამდე მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილება „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ (დანართი 1).

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილება „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (დანართი 2).

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/203-2007 გადაწყვეტილება „სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 3).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/204-2007 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 4).

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, სამტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (დანართი 5).

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 6).

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილება „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 7).

8. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილება „სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმათა დამტკიცების შესახებ“ (დანართი 8).

9. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 8 ნოემბრის №1/200 გადაწყვეტილება „სასამართლოში სამართალდამრღვევის დაკავების ოქმის, სასამართლო სხდომის დარბაზში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის დაკავების ოქმის, სასამართლოში დაკავებული სამართალდამრღვევის პოლიციისათვის გადაცემის, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის პოლიციისათვის ან ბადრაგირების დაწყოფისათვის გადაცემის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დანართი 9).

10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 8 აპრილის №1/69 გადაწყვეტილება „მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 10).

11. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1/126 გადაწყვეტილება „ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ (დანართი 11).

12. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1/127 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანაშინული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 12).

13. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის №1/5 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დანართი 13).

14. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის სექტემბრის №1/124 გადაწყვეტილება „მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის (განცხადების) ფორმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 14).

15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილება „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველი დანაშაულის საქმეებზე თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ“ (დანართი 15).

16. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 6 დეკემბრის №1/209 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 16).

17. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/225 გადაწყვეტილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 17).

18. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 1 დეკემბრის №1/104 გადაწყვეტილება „მოსამართლის საქმიანობის შეფასების ფორმის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 18).

19. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №1/232 გადაწყვეტილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 19).

20. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 20).

21. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 8 მაისის №1/59 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მისი აპარატის მოხელეებისათვის სპეციალური წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 21).

22. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/233 გადაწყვეტილება „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ (დანართი 22).

23. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ (დანართი 23).

24. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/152 გადაწყვეტილება „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 24).

25. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ

საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ (დანართი 25).

26. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების აპარატების მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 26).

27. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმის, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმისა და სპეციალური კითხვარის და მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 27).

28. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 30 სექტემბრის №1/218 გადაწყვეტილება „მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 28).

29. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №1/366 გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 29).

30. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №1/367 გადაწყვეტილება „მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 30).

**მუხლი 2.** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული აქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ოფიციალური გამოქვეყნების მიზნებისათვის, აღნიშნული აქტების როგორც ნორმატიული აქტების მიღების თარიღად განისაზღვროს ამ დადგენილების მიღების თარიღი, მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი, მათზე ხელმოწერა განხორციელდეს უფლებამოსილი პირის მიერ და „მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის) გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N158 ბრძანებით გათვალისწინებული წესით გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/92-2006 2006 წლის 3 ოქტომბერი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში  
მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლისა და 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია სამოქალაქო საქმეთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) სანივთო (ქონებრივი) სამართლებრივი დავები, გარდა საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების (გირავნობა, იპოთეკა) გამოყენებასთან დაკავშირებული დავებისა; იურიდიული პირების რეგისტრაცია-მართვასთან დაკავშირებული დავები; გაკოტრების საქმეთა წარმოება;

ბ) ვალდებულებით-სამართლებრივი დავები და აღნიშნულიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული დავები, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავებისა;

ბ<sup>1</sup>) საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული სესხის (მათ შორის ელექტრონული ფორმით დადებული სესხის) ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავები, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს და აღნიშნულიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული დავები;

გ) საოჯახო სამართლებრივი დავები; სამემკვიდრეო დავები;

დ) უდავო წარმოების საქმეები; გამარტივებული წარმოების საქმეები; შრომითი სამართლებრივი დავები; მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული დავები; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავები; პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავები; ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის და საავტორო უფლების მფლობელთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები;

ე) კომერციული დავები (ამ გადაწყვეტილების მიზნებისთვის, კომერციულ დავას წარმოადგენს და მხოლოდ ამ ქვეპუნქტს განეკუთვნება ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიის ქონებრივ-სამართლებრივი დავა, გარდა საოჯახო სამართლებრივი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელებისა), თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს; სამეწარმეო სამართლებრივი დავები; ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები, გარდა ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის და საავტორო უფლების მფლობელთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ დავებისა.

2. განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია ადმინისტრაციულ საქმეთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე დავები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე დავები; ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების განხორციელების თაობაზე დავები; აღიარებითი სარჩელის თაობაზე დავები;

სააღსრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები; საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>-VII<sup>4</sup>, VII<sup>6</sup>-VII<sup>10</sup> და VII<sup>13</sup>-VII<sup>15</sup> თავებით განსაზღვრული დავები;

ბ) ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების თაობაზე დავები; საგადასახადო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები (სხვა დავები); საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>-VII<sup>5</sup> და VII<sup>7</sup>-VII<sup>16</sup> თავებით განსაზღვრული დავები;

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის თაობაზე დავები; შრომითი დავები; საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>-VII<sup>4</sup>, VII<sup>7</sup>-VII<sup>10</sup> და VII<sup>13</sup>-VII<sup>15</sup> თავებით განსაზღვრული დავები;

დ) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები; მიწის კანონმდებლობიდან და სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები; საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>-VII<sup>4</sup>, VII<sup>7</sup>-VII<sup>10</sup> და VII<sup>13</sup>-VII<sup>15</sup> თავებით განსაზღვრული დავები;

ე) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განსახილველი საქმეები.

3. ეს გადაწყვეტილება, გარდა მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს 2006 წლის 1 ნოემბრიდან.

4. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2008 წლის 1 სექტემბრიდან.

## **ვალერი ცერცვაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**  
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**N1/150-2007      2007 წლის 9 აგვისტო      ქ. თბილისი**

**რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ**

ეს გადაწყვეტილება, “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიებს, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობას.

**თავი I**  
**რაიონული (საქალაქო) სასამართლოები**

**მუხლი 1.** ამოღებულია

**მუხლი 2.** ამოღებულია

**მუხლი 3. ამბროლაურის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ამბროლაურის რაიონული სასამართლო.
2. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ამბროლაურის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 2 მოსამართლით.
4. ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ონის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 4. ახალქალაქის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ახალქალაქის რაიონული სასამართლო.
2. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 4 მოსამართლით.
4. ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

**5. ახალციხის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ახალციხის რაიონული სასამართლო.
2. ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ახალციხის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. ახალციხის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 7 მოსამართლით.
4. ახალციხის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 3 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატის მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატის მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტში;

გ) 1 მაგისტრატის მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 6.** ამოღებულია

**მუხლი 7.** ამოღებულია

**მუხლი 8. ბათუმის საქალაქო სასამართლო**

1. შეიქმნას ბათუმის საქალაქო სასამართლო.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის – ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 16 მოსამართლით.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 7 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 5 მოსამართლით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – 3 მოსამართლით.

6. ბათუმის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატის მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 9.** ამოღებულია

**მუხლი 10. ბოლნისის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ბოლნისის რაიონული სასამართლო.

2. ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ბოლნისის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 7 მოსამართლით.

4. ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატის მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატის მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატის მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 11.** ამოღებულია

**მუხლი 11<sup>1</sup>. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო**

1. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე შეიქმნას გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო.

2. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს

უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელდეს აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, ონის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ტყიბულის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხელვაჩაურის, ხობის, ხონისა და ხულოს მუნიციპალიტეტების, თვითმმართველი ქალაქების - ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე.

3. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 1 მოსამართლით.

4. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

## **მუხლი 12. ამოღებულია**

### **მუხლი 13. გორის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას გორის რაიონული სასამართლო;

2. გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - გორის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, აგრეთვე „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (გარდა ახალგორისა და თიღვის მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიით.

3. გორის რაიონულ სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

4. გორის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 11 მოსამართლით.

5. გორის რაიონული სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 4 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 5 მოსამართლით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 1 მოსამართლით.

6. გორის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

### **მუხლი 13<sup>1</sup>. გურჯაანის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას გურჯაანის რაიონული სასამართლო.

2. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. გურჯაანის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 6 მოსამართლით.

4. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ყვარლის მუნიციპალიტეტში.



**მუხლი 14.** ამოღებულია

**მუხლი 15.** ამოღებულია

**მუხლი 16.** ამოღებულია

**მუხლი 17.** ამოღებულია

**მუხლი 18. ზესტაფონის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ზესტაფონის რაიონული სასამართლო.

2. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 5 მოსამართლით.

4. ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 19. ზუგდიდის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ზუგდიდის რაიონული სასამართლო.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ზუგდიდის, ზუგდიდის, მესტიის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 8 მოსამართლით.

4. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 3 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში;

გ) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 20. თბილისის საქალაქო სასამართლო**

1. შეიქმნას თბილისის საქალაქო სასამართლო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

**4. ამოღებულია**

**5. ამოღებულია**

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 126 მოსამართლით.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 51 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში - 43 მოსამართლით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 32 მოსამართლით.

### **მუხლი 21. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.
2. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 3 მოსამართლით.
4. თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს წალკის მუნიციპალიტეტში.

### **მუხლი 22. თელავის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას თელავის რაიონული სასამართლო.
2. თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - თელავის, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. თელავის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 6 მოსამართლით.
4. თელავის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 23.** ამოღებულია

**მუხლი 24.** ამოღებულია

**მუხლი 25.** ამოღებულია

**მუხლი 26.** ამოღებულია

**მუხლი 27.** ამოღებულია

**მუხლი 28.** ამოღებულია

**მუხლი 29.** ამოღებულია

### **მუხლი 30. მცხეთის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას მცხეთის რაიონული სასამართლო.
2. მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - მცხეთის, მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. მცხეთის რაიონულ სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:
  - ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.
  - ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია.
  - გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.
4. მცხეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 9 მოსამართლით.
5. მცხეთის რაიონული სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
  - ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 1 მოსამართლით;
  - ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 2 მოსამართლით;
  - გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – 2 მოსამართლით.
6. მცხეთის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის რაოდენობა განისაზღვროს 4 მოსამართლით, რომელთაგან:
  - ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ახალგორის მუნიციპალიტეტში.
  - ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტში.
  - გ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს თიანეთის

მუნიციპალიტეტში.

დ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

7. მაგისტრატი მოსამართლეების სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

### **მუხლი 31. ოზურგეთის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ოზურგეთის რაიონული სასამართლო.

2. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ოზურგეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 5 მოსამართლით.

4. ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

### **მუხლი 32. ამოღებულია**

### **მუხლი 33. რუსთავის საქალაქო სასამართლო**

1. შეიქმნას რუსთავის საქალაქო სასამართლო.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:

ა)სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბ)სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

გ)ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 13 მოსამართლით.

5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 5 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 4 მოსამართლით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – 2 მოსამართლით.

6. რუსთავის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომლებიც უფლებამოსილებას განახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

### **მუხლი 34. ამოღებულია**

### **მუხლი 35. სამტრედიის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას სამტრედიის რაიონული სასამართლო.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 5 მოსამართლით.

4. სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:

- ა) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტში;
- ბ) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ხონის მუნიციპალიტეტში.

### **მუხლი 36. საჩხერის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას საჩხერის რაიონული სასამართლო.
2. საჩხერის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. საჩხერის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 2 მოსამართლით.
4. საჩხერის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

### **მუხლი 37. სენაკის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას სენაკის რაიონული სასამართლო.
2. სენაკის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს სენაკის, აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. სენაკის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 4 მოსამართლით.
4. სენაკის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:
  - ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს აბაშის მუნიციპალიტეტში;
  - ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს მარტვილის მუნიციპალიტეტში.

### **მუხლი 38. სიღნაღის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას სიღნაღის რაიონული სასამართლო.
2. სიღნაღის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 5 მოსამართლით.
4. სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომელთაგან:
  - ა) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში;
  - ბ) 1 მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.

### **მუხლი 38<sup>1</sup>. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო**

1. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე შეიქმნას სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო.
2. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელდეს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დმანისის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, წალკისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების, “დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, თვითმმართველი ქალაქების - თბილისისა და რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებზე.
3. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 2 მოსამართლით.

4. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განისაზღვროს ქ. თბილისი.

**მუხლი 39.** ამოღებულია

**მუხლი 40. ფოთის საქალაქო სასამართლო**

1. შეიქმნას ფოთის საქალაქო სასამართლო.
2. ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის – ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. ფოთის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 4 მოსამართლით.
4. ფოთის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 41.** ამოღებულია

**მუხლი 42.** ამოღებულია

**მუხლი 43. ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

1. შეიქმნას ქუთაისის საქალაქო სასამართლო.
2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.
3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:
  - ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;
  - ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;
  - გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.
4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 13 მოსამართლით.
5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
  - ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 3 მოსამართლით;
  - ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 4 მოსამართლით;
  - გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – 3 მოსამართლით.“;
6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 3 მოსამართლით, რომელთაგან:
  - ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში;
  - ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში;
  - გ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 44.** ამოღებულია

**მუხლი 45.** ამოღებულია

**მუხლი 46.** ამოღებულია

**მუხლი 47.** ამოღებულია

**მუხლი 48. ცაგერის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ცაგერის რაიონული სასამართლო.

2. ცაგერის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ცაგერის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 2 მოსამართლით.

4. ცაგერის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ლენტეხის მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 49.** ამოღებულია

**მუხლი 50.** ამოღებულია

**მუხლი 51.** ამოღებულია

**მუხლი 52.** ამოღებულია

**მუხლი 53. ხაშურის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ხაშურის რაიონული სასამართლო.

2. ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ხაშურის, ქარელისა და თიღვის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 5 მოსამართლით.

4. ხაშურის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს ქარელისა და თიღვის მუნიციპალიტეტებში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ქარელისა და თიღვის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

**მუხლი 54. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო**

1. შეიქმნას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო.

2. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 4 მოსამართლით.

4. ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 3 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტში;

გ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტში.

**მუხლი 55.** ამოღებულია

**მუხლი 56.** ამოღებულია

**მუხლი 57.** ამოღებულია

## თავი II

### თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები

**მუხლი 58. თბილისის სააპელაციო სასამართლო**

1. შეიქმნას თბილისის სააპელაციო სასამართლო.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნოს: ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 81 მოსამართლით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

- ა) სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 33 მოსამართლის შემადგენლობით;
- ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში - 19 მოსამართლის შემადგენლობით;
- გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში - 22 მოსამართლის შემადგენლობით;
- დ) საგამოძიებო კოლეგიაში - 7 მოსამართლის შემადგენლობით.

### **მუხლი 59. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო**

1. შეიქმნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლო.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნოს: ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 22 მოსამართლით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

- ა) სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 8 მოსამართლის შემადგენლობით;
- ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში - 7 მოსამართლის შემადგენლობით;
- გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში - 5 მოსამართლის შემადგენლობით;
- დ) საგამოძიებო კოლეგიაში - 2 მოსამართლის შემადგენლობით.

## **თავი III**

### **გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 60. გორის რაიონული სასამართლოს შექმნამდე გორის, კასპისა და ჯავის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები და მოსამართლეთა რაოდენობა**

ამ გადაწყვეტილების მე-13 მუხლით გათვალისწინებული გორის რაიონული სასამართლოს შექმნამდე:

ა) შეიქმნას გორის რაიონული სასამართლო. გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით, აგრეთვე “დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (გარდა ახალგორისა და თიღვის მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიით. გორის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს ხუთი მოსამართლით.

ბ) შეიქმნას კასპის რაიონული სასამართლო. კასპის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. კასპის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს ორი მოსამართლით.

გ) შეიქმნას ჯავის რაიონული სასამართლო. ჯავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ჯავის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრებით. ჯავის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს ოთხი მოსამართლით.

**მუხლი 61. გორის რაიონული სასამართლოს ამოქმედებისათვის გასატარებელი ღონისძიებები**

1. 2007 წლის 17 სექტემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს გორის, კასპისა და ჯავის რაიონული სასამართლოები. გორის, კასპისა და ჯავის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2007 წლის 17 სექტემბრამდე კანონმდებლობით დადგენილი

წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი გორის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) განხორციელდეს გორის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციასა და გორის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

2. კასპის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2007 წლის 17 სექტემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო გორისა და ჯავის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე კასპის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2007 წლის 17 სექტემბრიდან გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 62. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია გორის რაიონული სასამართლოს ამოქმედებამდე**

გორის რაიონული სასამართლოს ამოქმედებამდე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნოს: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დმანისის, თეთრიწყაროს, თელავის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, წალკის, ხაშურის, ჯავის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

## **მუხლი 62<sup>1</sup>. ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2009 წლის 21 აპრილიდან ლიკვიდირებულ იქნეს ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2009 წლის 21 აპრილამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ახალციხის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ახალციხის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

2. ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2009 წლის 21 აპრილიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2009 წლის 21 აპრილიდან გადაეცეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.







რაიონული, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოებისათვის გადაცემის ორგანიზება;

დ) გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოების საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

ე) სასამართლოების ლიკვიდაციასა და გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

2. გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული, გალის რაიონული და გულრიფშის რაიონული, ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეები 2009 წლის 19 ოქტომბრიდან გადაეცეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები 2009 წლის 19 ოქტომბრიდან გადაეცეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

**მუხლი 62<sup>4</sup>. ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, თელავის, ახმეტისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2009 წლის 2 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2009 წლის 2 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ბოლნისის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

2. 2009 წლის 2 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2009 წლის 2 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ზესტაფონის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

3. 2009 წლის 2 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს თელავის, ახმეტისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2009 წლის 2 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი თელავის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის

ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს თელავის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და თელავის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

4. დმანისისა და მარნეულის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2009 წლის 2 დეკემბრიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე დმანისისა და მარნეულის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2009 წლის 2 დეკემბრიდან გადაეცეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2009 წლის 2 დეკემბრიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2009 წლის 2 დეკემბრიდან გადაეცეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ახმეტისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2009 წლის 2 დეკემბრიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თელავის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ახმეტისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2009 წლის 2 დეკემბრიდან გადაეცეს თელავის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს ამ მუხლში აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

### **მუხლი 62<sup>5</sup>. ქუთაისის საქალაქო, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2010 წლის 22 სექტემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს ქუთაისის საქალაქო, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2010 წლის 22 სექტემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ქუთაისის საქალაქო სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

2. ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2010 წლის 22 სექტემბრიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2010 წლის 22 სექტემბრიდან გადაეცეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო აღნიშნული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები, ასევე გურჯაანის მაგისტრატი სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები 2011 წლის 1 ნოემბრიდან გადაეცეს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. თელავის რაიონული სასამართლოს (გარდა გურჯაანის მაგისტრატი სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეებისა) წარმოებაში არსებული საქმეები 2011 წლის 1 ნოემბრიდან გადაეცეს თელავის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს ამ მუხლში აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

#### **მუხლი 62<sup>8</sup>. გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2011 წლის 2 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით, 2011 წლის 2 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი გურჯაანის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

2. ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2011 წლის 2 დეკემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო აღნიშნული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2011 წლის 2 დეკემბრიდან გადაეცეს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს ამ მუხლში აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

#### **მუხლი 62<sup>9</sup>. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2012 წლის 11 სექტემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2012 წლის 11 სექტემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი რუსთავის საქალაქო სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

2. გარდაბნის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 11 სექტემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე გარდაბნის რაიონული სასამართლოს წარმოებაში



ბ) განხორციელდეს ფოთის საქალაქო სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ფოთის საქალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

5. წალკის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 20 ნოემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე წალკის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2012 წლის 20 ნოემბრიდან გადაეცეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ვანისა და ხონის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 20 ნოემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო სამტრედიის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ვანისა და ხონის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2012 წლის 20 ნოემბრიდან გადაეცეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 20 ნოემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო სიღნაღის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2012 წლის 20 ნოემბრიდან გადაეცეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხობის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 20 ნოემბრიდან წარმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ხობის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2012 წლის 20 ნოემბრიდან გადაეცეს ფოთის საქალაქო სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს ამ მუხლში აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

### **მუხლი 62<sup>11</sup>. ზუგდიდის, მესტიის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2012 წლის 21 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს ზუგდიდის, მესტიის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2012 წლის 21 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ზუგდიდის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.



2. 2012 წლის 21 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნეს ცაგერისა და ლენტეხის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2012 წლის 21 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ცაგერის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ცაგერის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ცაგერის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

3. მესტიის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 21 დეკემბრიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე მესტიის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2012 წლის 21 დეკემბრიდან გადაეცეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ლენტეხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2012 წლის 21 დეკემბრიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ცაგერის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ლენტეხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2012 წლის 21 დეკემბრიდან გადაეცეს ცაგერის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს ამ მუხლში აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

### **მუხლი 63. გადაწყვეტილების ამოქმედება**

1. ეს გადაწყვეტილება, გარდა მე-13 მუხლის, 58-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს “რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის N649, “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის N651 და “თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიებისა და სასამართლო პალატებსა და კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 ოქტომბრის N857 ბრძანებულებების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

2. მე-13 მუხლი და 58-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 17 სექტემბრიდან.

3. 61-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 10 აგვისტოდან.

*ვალერი ცერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
 N1/203-2007 2007 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

**სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ**

1. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა თანდართული ესკიზებისა და აღწერილობის მიხედვით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს "სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის N200 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

*ვალერი ცერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
 უმაღლესი საბჭოს მდივანი

**სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა**

**პ ლ ა ნ შ ე ტ ი 1**

**1. დათბუნებული ქურთუკი** – საშუალო სიგრძის, მდგარი საყელოთი, საყელო – მოსახსნელი ბეწვით, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, მარცხენა კალთა შიგნით გაჭრილი ჯიბით, მარჯვენა მკლავზე სამკლავური ნიშნით, მარცხენა მხარეს – სამკერდე ნიშნით. ქურთუკის ბოლო მუშავდება რეზინიანი ქამრით მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე. მზადდება საზედაპირე ქსოვილისაგან – 100% პოლიესტერი, სამშრიანი წყალგაუმტარი. 1მ<sup>2</sup> ქსოვილის წონა - არანაკლებ 200 გრამისა.

**2. პულოვერი უსახელო** - შავი ფერის, ამოღებული გულით. მზადდება ნახევრად შალის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობა: შალი - 45% (+/-5%), პოლიესტერი - 55% (+/-5%).

**3. პერანგი გრძელმკლავიანი და მოკლემკლავიანი** – ჩალისფერი, სახელო ჩაკერებული, რომელიც ბოლოვდება მანქეტით. საყელო კლასიკური, ზურგის კალთა კოკეტკებზეა და კოკეტკის ქვევით კეთდება 2 მინაკეტი. მარჯვენა წინა კალთაზე ჯიბის ზემოთ ოქროსფერასოებიანი წარწერა სახელითა და გვარით, საყელოზე ორივე მხარეს ოქროსფერასოებიანი წარწერა „სმს“, მარცხენა მხარეს სამკერდე ნიშნით, მარჯვენა მკლავზე სამკლავური ნიშნით. წინა კალთაზე 2 ჯიბეა განლაგებული მკერდის მიდამოებში, ჯიბეების შუაში ვერტიკალურად გასდევს ორმაგი მინაკეტი, ჯიბეების ზევით სარქველებია განლაგებული. მზადდება ბამბა პოლიესტერის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობაში ბამბა უნდა იყოს არანაკლებ 18%-ისა.

**4. მაისური** – თეთრი ფერის. მზადდება ბამბა პოლიესტერის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობაში ბამბა უნდა იყოს არანაკლებ 80%-ისა. 1 მ<sup>2</sup> ქსოვილის წონა – არანაკლებ 145 გრამისა.

**5. ჰალსტუხი** – კლასიკური, შავი ფერის, შერეული ბოჭკოს ქსოვილისაგან დამზადებული, რეზინის შესაკრავით.

**6. შარვალი ზაფხულის და ზამთრის** – კლასიკური, შავი ფერის, სწორი სილუეტის, წინა ნახევარზე ქამრის მიკერების ადგილას მინაკეტით, დახრილი ჯიბეებით, მიკერებული ქამრით,

ქამარი დამუშავებულია კორსაჟით, 6 საქმრით, უკანა მარჯვენა ნახევარზე ორკანტიანი ჯიბით, შარვლის წინა ნახევრები დამუშავებულია სარჩულზე. მზადდება ვისკოზა პოლიესტერის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობა: ვისკოზა – 35% (+/- 3%), პოლიესტერი – 65% (+/- 3%). 1 მ<sup>2</sup> ქსოვილის წონა ზაფხულის შარვლისათვის – არანაკლებ 180 გრამისა, ზამთრის შარვლისათვის – არანაკლებ 250 გრამისა.

**7. საზაფხულო ფეხსაცმელი** – შავი ფერის, ნატურალური ტყავის, კლასიკური ფორმის, დაბალი ყელით, დათბუნვის გარეშე.

**8. ზამთრის ფეხსაცმელი** – შავი ფერის, ნატურალური ტყავის, ნახევრადმაღალი, დათბუნებული, ჩამოსხმული ძირი, გამოყოფილი ქუსლი.

**9. საწვიმარი ლაბადა** – შავი ფერის, თავისუფალი, სწორი სილუეტის, წინ ჩახსნილი, ელვა შესაკრავით ან/და კნოპებით. სიგრძე – მუხლსქვევით, თავსაბურავით („კაპიუმონით“) – მოსაჭიმი სარეგულირებელი თასმებით, კლასიკური საყელოთი, ლაბადის სახელოების დაბოლოებაზე სახელოს შიგნით განთავსებული ფარული რეზინის მანჟეტებით, მარცხენა მხარეს სამკერდე ნიშნით, მარცხენა მკლავზე სამკლავური ნიშნით. ყველა ნაკერი დამუშავებულია ორმაგი ჩაკეტილი ნაკერით, წყალგაუმტარი მასალით; ქსოვილი: წყალგაუმტარი, შრიანი 100% პოლიესტერი, გარსით დაფარული.

**10. ზაფხულის ქუდი (კეპი)** – შავი ფერის, საზედაპირე ქსოვილი 100% ბამბა არანაკლებ 220 გრამი მ<sup>2</sup>, ქუდის საშუბლე ნაწილზე სამკლავური ნიშნით. კეპი უნდა იყოს ქარხნული, სპეციალურ დანადგარებზე ნაკერი.

**11. ზამთრის ქუდი** – შავი ფერის, საზედაპირე ქსოვილი 100% პოლიესტერი ან ნეილონი არანაკლებ 150 გრამი მ<sup>2</sup>, წინაფრიანი, კლასიკური (ე.წ. „ნემკა“ ან „ვატსონი“ სტილი), მრგვალი, მყარი და მდგრადი ფორმის, ქუდის საშუბლე ნაწილზე სამკლავური ნიშნით. წინაფრა - მკვრივი, დრეკადი, ელასტიკური, პლასტიკური მასალა, ცენტრალური ნაწილიდან წინ, ქსოვილით დაფარული, წინაფრის წინა მესამედზე ორი წრიული გასაფორმებელი გვირისტი. ქუდის უკანა ნაწილის სიმაღლე ხელოვნური ბეწვით გაფორმებული, ქუდის უკანა ნაწილს წინაფრის დაბოლოებებიდან უკანა მხარეს გასდევს ყურების და კისრის დამცავი, ჩამოსაშლელი ხელოვნური ბეწვით (ხელოვნური ბეწვი შავი ფერის, მბზინავი, დაბალი) გაფორმებული (დამუშავებული) ორსამაგრიანი სარქველით, რომელიც წარმოადგენს ქუდის ძირითადი ნაწილის გაგრძელებას და მაგრდება ქუდის ძირითად ნაწილზე, აკეცილ მდგომარეობაში მარჯვნიდან და მარცხნიდან თითო უჟანგავი მასალისაგან დამზადებული კნოპით და იძლევა საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს როგორც მათბუნებელი საშუალება მისი ჩამოშლის შემთხვევაში.





## პლანშეტი 2

1. **სამკერდე ნიშანი** – შვიდქიმიანი ოქროსფერი ვარსკვლავი შავ დისკოზე, დისკოში გამოსახულია ოქროსფერი სასწორი და ოქროსფერი შემოკლებული წარწერა “ს მ ს”.

2. **სამკლავური ნიშანი** – შავ ველზე, რომელსაც გარს არტყია ოქროსფერი კანტი, გამოსახულია მინიატურული ოქროსფერი სვეტებიანი შენობა თავზე ოქროსფერი სასწორით და ოქროსფერი წარწერით “სასამართლოს მანდატურის სამსახური”.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N1/204-2007 2007 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის თანდართული ფიცის ტექსტი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს “საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 აგვისტოს N458 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

*ვალერი გერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

**საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცი**

ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, ყოველივეს ვილონებ, რათა:

- ღირსვმსახურებდე სიმართლესა და სამართლიანობას;
- ერთგულად ვიცავდე ადამიანის უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს;
- განვსჯიდე უანგაროდ, ცოდნითა და რწმენით;
- ვიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი;
- პირნათლად ვასრულებდე მოსამართლის მაღალ დანიშნულებას!

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N1/206-2007 2007 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანდართული დებულება (დანართი 1);

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები (დანართი 2);

გ) დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო (დანართი 3).

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს “საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 20 აგვისტოს N344 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

*ვალერი ცერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი 1

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის  
დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი (შემდგომში – აპარატი) ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

2. აპარატი თავის საქმიანობას ახორციელებს “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციები და ამოცანები, ხელმძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ჩამონათვალი განისაზღვრება ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4. აპარატში იქმნება დეპარტამენტები, სამმართველოები, სამსახურები და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

5. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენენ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილებით, აპარატის მოხელე შესაძლებელია იმავდროულად ასრულებდეს აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეულის მოხელის მოვალეობას “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## **მუხლი 2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის კომპეტენცია**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის კომპეტენციაა:

ა) მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საკითხების მომზადება;

ბ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისა და მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

გ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების შემუშავება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ<sup>1</sup>) საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცედურის სრულყოფილად წარმართვის ხელშეწყობა;

დ) კანონით გათვალისწინებული წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება;

ე) სასამართლო რეფორმის საკითხებზე წინადადებების შემუშავება;

ვ) სასამართლო პრაქტიკის და მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ზ) საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესის შემუშავება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

თ) სასამართლოს სტატისტიკის ანალიზის მასალების განხილვა;

ი) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და სტრუქტურის, აგრეთვე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების თაობაზე წინადადებების მომზადება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

კ) საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) აპარატების სტრუქტურისა და საშტატო რაოდენობის შედგენა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ) საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების შემუშავება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

## **მუხლი 3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისგან 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებების განხორციელების პარალელურად, ანაზღაურების გარეშე.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი:



ა) ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ- ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეებს, აპარატის სხვა მოსამსახურეებს, გარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის მოხელეებისა და სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარისა;

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით, 3 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და სხვა ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტებს, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს; საჭიროების შემთხვევაში ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს, განსაზღვრავს მათ შემადგენლობასა და ფუნქციებს;

ე) ამზადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს;

ვ) ორგანიზებას უწევს მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის განაწილებას;

ზ) ორგანიზებას უწევს სხდომის მასალების საბჭოს წევრებისათვის დროულ მიწოდებას;

თ) ორგანიზებას უწევს საქმის წარმოებასა და აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;

ი) ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში;

კ) ორგანიზებას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტაციის დაგზავნას;

ლ) ორგანიზებას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების სამუშაო შეხვედრებს;

მ) წყვეტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს;

ნ) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### **მუხლი 4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა**

1. აპარატი შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;

ბ) ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;

გ) სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი;

დ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;

ე) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

ვ) მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი.

ზ) დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატი;

თ) სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.

ი) **ამოღებულია**

2. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებობს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).

#### **მუხლი 5. სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი**

1. სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართალშემოქმედებით საქმიანობას, პარლამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის კოორდინაციას;

ბ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებას, ახორციელებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას და

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საჩივრების მომზადებას განსახილველად;

გ) ახორციელებს სასამართლო დავებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობას, უზრუნველყოფს სასამართლო დავების ანალიზს, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას, აღრიცხვას და ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას, ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში;

დ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადებას;

ე) შეიმუშავებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთიან ბიუჯეტს და წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად ახორციელებს საბიუჯეტო ასიგნებათა განაწილებას, მართვასა და ანგარიშგებას;

ვ) დადგენილი წესით განკარგავს და აღრიცხავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებსა და საბჭოსათვის მიზნობრივი მოხმარება-განკარგვისათვის გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს;

ზ) ასრულებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამუშაოებს;

თ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს და შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლს;

ი) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე რიცხული მატერიალური ფასეულობებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენობის მოვლა-პატრონობას, სწორ ექსპლოატაციას, ინვენტარიზაციასა და აღრიცხვას, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზება-ზედამხედველობას, ასევე შენობაში სანიტარიული და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას, ელექტროობის, გათბობისა და წყალმომარაგების სისტემების გამართულ მუშაობას;

კ) წარმართავს ბუღალტრულ საქმიანობას ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შემადგენლობაშია სამართლებრივ საკითხთა სამმართველო და საფინანსო-სამეურნეო სამმართველო.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

## **მუხლი 5<sup>1</sup>. ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი**

1. ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი:

ა) აწესრიგებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მისი აპარატის (გარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატისა) სამსახურებრივი დოკუმენტების რეგისტრაციასა და დაგზავნას, ორგანიზებას უწევს აპარატში ერთიან საქმისწარმოებას და უზრუნველყოფს საჭირო პირობების შექმნას თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის დასამუშავებლად;

ბ) უზრუნველყოფს საიდუმლო კორესპონდენციის მიღებას, რეგისტრაციას, მოძრაობის გაფორმებას, გაგზავნას, დავალებათა შესრულების კონტროლს, საქმეთა ფორმირებას, არქივში დოკუმენტების ჩაბარებასა და დაცვას;

გ) უზრუნველყოფს საქმეთა ნომენკლატურის შემუშავებას, საქმეთა შენახვის და ჩამოწერის ორგანიზებას, აგრეთვე არქივის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებას, არქივში დაცული დოკუმენტების მოძიებასა და ასლების გაცემას;

დ) **ამოღებულია**

ე) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობისა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, აღნიშნულთან დაკავშირებით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;

ვ) ახორციელებს სხვა შესაბამის ღონისძიებებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

2. ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის შემადგენლობაშია კანცელარია და მანდატურის სამსახური.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

## **მუხლი 6. სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი**

1. სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი:

ა) საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ნორმატიული აქტების საფუძველზე ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას;

ბ) დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების დროს უფლებამოსილია გაეცნოს სასამართლოში არსებულ საქმის მასალებს, მიიღოს საქმის მასალების ასლები;

გ) უფლებამოსილია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, ახსნა-განმარტება ჩამოართვას საჩივრის (განცხადების) ავტორს, სასამართლოს აპარატის თანამშრომელს, მიიწვიოს სხვა პირი და მიღოს მისგან დამატებითი ინფორმაცია;

დ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის დაუცველად საჩივრის (განცხადების) წარმოდგენის შემთხვევაში უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე 10 დღის ვადაში წერილობით აცნობოს საჩივრის (განცხადების) ავტორს;

ე) იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი (განცხადება) ანონიმური ხასიათისაა, ან მიმართულია ყოფილი მოსამართლის წინააღმდეგ, ან მასში მითითებული საფუძველით მოსამართლის მიმართ უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება, საჩივრის (განცხადების) მიღებიდან 10 დღის ვადაში მოხსენებითი ბარათით მიმართავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ან საბჭოს წევრს დისციპლინური სამართალწარმოების არდაწყების თაობაზე;

ვ) ამზადებს დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საბჭოს მდივნისა და საბჭოს წევრის დოკუმენტების პროექტებს;

ზ) ახორციელებს დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მოწვევისა და გამართვის ორგანიზებას;

თ) ამოღებულია

ი) ამოღებულია

კ) ამოღებულია

ლ) აწარმოებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკას და უზრუნველყოფს მის განზოგადებას.

2. სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი შედგება სამი სამმართველოსაგან: სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო; სამოქალაქო საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო; ადმინისტრაციულ საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

4. აუცილებლობის შემთხვევაში დეპარტამენტის მოხელეს შეიძლება დაევალოს სხვა კატეგორიის საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება.

## **მუხლი 7. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი**

1. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი:

ა) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატისა და საერთო სასამართლოებისათვის შეიმუშავებს საკადრო პოლიტიკას და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიას;

ბ) ახორციელებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენასა და წარმოებას;

გ) აწარმოებს საერთო სასამართლოების აპარატის მოსამსახურეთა და სტაჟიორთა საკადრო აღრიცხვას და საინფორმაციო ბანკის მართვას;

დ) ამზადებს მოსამართლეთა და საბჭოს აპარატის მოხელეთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების, შვებულებისა და მივლინების შესახებ ბრძანებების პროექტებს;

ე) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა სამუშაოს ანალიზის საფუძველზე ადგენს სამუშაო აღწერილობებს, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობებისა და სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმებს, ამუშავებს შეფასების შედეგებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

ვ) ორგანიზებას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატსა და საერთო სასამართლოების სისტემაში მოხელეთა შერჩევის პროცესს, კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსისა და ატესტაციის გამართვას, უზრუნველყოფს სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას;

ზ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატისა და საერთო სასამართლოების მოხელეთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავებას, შეფასების შედეგების გათვალისწინებით იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად შეიმუშავებს შესაბამის გეგმებსა და სასწავლო პროგრამებს, უზრუნველყოფს ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

თ) ახორციელებს საერთო სასამართლოების სისტემაში საკადრო საქმიანობის მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას, აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებასა და საერთო სასამართლოებში იმპლემენტაციას;

ი) ახორციელებს საკვალიფიკაციო გამოცდების მოწყობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საქმიანობას;

კ) ახორციელებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მოწყობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საქმიანობას;

ლ) ამზადებს დოკუმენტაციას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მისი აპარატის მოხელეებისათვის სახელმწიფო სპეციალურ წოდებათა მინიჭების თაობაზე, ახორციელებს კონტროლს სპეციალური წოდებების თანმიმდევრულ და დროულ მინიჭებაზე;

მ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეთა და მოსამართლეთა სოციალური საკითხების გადაწყვეტასა და საპენსიო საბუთების გაფორმებას ნამსახურობის მიხედვით;

ნ) ორგანიზებას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების ჩატარებას;

ო) შეიმუშავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის შინაგანაწესს და ახორციელებს კონტროლს მის შესრულებაზე, აკონტროლებს თანამშრომელთა შრომის დისციპლინას, უზრუნველყოფს სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივ შემოწმებას, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანისათვის წარდგენას;

პ) აწარმოებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების, ასევე საბჭოს მდივნის ბრძანებების რეესტრს.

2. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის შემადგენლობაშია ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვისა და ანალიზის სამმართველო.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

## **მუხლი 7<sup>1</sup>. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი**

1. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი:

ა) ახორციელებს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში მათ წარმომადგენლობებთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის დამყარებას და მის შემდგომ წარმართვას;

ბ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე ამზადებს ანგარიშებს და წარადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე;

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წინადადებების შემუშავებას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ეროვნული სამოქმედო გეგმების შექმნისა და იმპლემენტაციის პროცესში;

ე) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის პროექტების წარდგენას, მონაწილეობს ან კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების, ასევე უცხო ქვეყნების სათანადო პრაქტიკის მოძიებასა და შესწავლას;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის შემადგენლობაშია საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას.

## **მუხლი 7<sup>2</sup>. მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი**

1. მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცედურების მართვის დეპარტამენტი:

ა) ახორციელებს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცედურის სრულყოფილად წარმართვის ხელშეწყობას კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ტექნიკურ დახმარებას უწევს შემფასებელ საბჭოს წევრს და ასრულებს მის ცალკეულ დავალებებს კონკრეტული კრიტერიუმით მოსამართლის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსამიებლად;

ბ) აღრიცხავს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებულ მოსამართლეებს და აკონტროლებს მოსამართლის საქმიანობის შეფასების პერიოდების დაცვას; თანამდებობაზე მისი ყოფნის 3-წლიანი ვადის დაწყებისთანავე აცნობებს მოსამართლეს შეფასების პროცედურებს და იმ გარემოებებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მისი ცალკეული კრიტერიუმებით შეფასებისას და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;

გ) შეფასების თითოეული პერიოდის დასრულებისთანავე უზრუნველყოფს მოსამართლის შეფასების ანგარიშების დალუქული სახით შენახვას და მოთხოვნის შემთხვევაში მათი შესაფასებელი მოსამართლისათვის გაცნობას;

დ) ამზადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტებს მოსამართლის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით; მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე საჩივარს თანდართულ მასალებთან ერთად გადასცემს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას.

ე) მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას ახორციელებს მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმებას.

2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

## **მუხლი 7<sup>3</sup>. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატი**

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატი:

ა) საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ნორმატიული აქტების საფუძველზე ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას;

ბ) დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების დროს უფლებამოსილია გაეცნოს სასამართლოში არსებულ საქმის მასალებს, მიიღოს საქმის მასალების ასლები;

გ) უფლებამოსილია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, ახსნა-განმარტება ჩამოართვას საჩივრის (განცხადების) ავტორს, სასამართლოს აპარატის თანამშრომელს, მიიწვიოს სხვა პირი და მიღოს მისგან დამატებითი ინფორმაცია;

დ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის დაუცველად საჩივრის (განცხადების) წარმოდგენის შემთხვევაში უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე 10 დღის ვადაში წერილობით აცნობოს საჩივრის (განცხადების) ავტორს;

ე) იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი (განცხადება) ანონიმური ხასიათისაა, ან მიმართულია ყოფილი მოსამართლის წინააღმდეგ, ან მასში მითითებული საფუძველით მოსამართლის მიმართ უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება, საჩივრის (განცხადების) მიღებიდან 10 დღის ვადაში მოხსენებითი ბარათით მიმართავს დამოუკიდებელ ინსპექტორს დისციპლინური სამართალწარმოების არდაწყების თაობაზე;

ვ) ამზადებს დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტების პროექტებს;

ზ) ახორციელებს დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მოწვევისა და გამართვის ორგანიზებას;

თ) შეისწავლის საერთაშორისო გამოცდილებას სასამართლო ეთიკისა და მოსამართლეთა დისციპლინური დევნის საკითხებზე და შესაბამის წინადადებებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

ი) აწარმოებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკას და უზრუნველყოფს მის განზოგადებას.

კ) აწესრიგებს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სამსახურებრივი დოკუმენტების რეგისტრაციასა და დაგზავნას, უზრუნველყოფს კორესპონდენციის (მათ შორის, საიდუმლო/კონფიდენციალური) მიღებას, რეგისტრაციას, მოძრაობის გაფორმებას, გაგზავნას, დავალებათა შესრულების კონტროლს, საქმეთა ფორმირებას, არქივში დოკუმენტების ჩაბარებასა და დაცვას.

## **მუხლი 7<sup>4</sup>. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი**

1. საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტზე ზედამხედველობის მიზნით, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი ახორციელებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებისა, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი:

ა) შეიმუშავებს სასამართლო საქმისწარმოების ფორმებს;

ბ) საერთო სასამართლოებისა და მოსამართლეთა დატვირთულობის დადგენისა და სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის, საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვის თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით უზრუნველყოფს სასამართლო სტატისტიკის მასალების ანალიტიკურ დამუშავებას, განზოგადებას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის განსახილველად წარდგენას;

გ) შეისწავლის საპროცესო ვადების დაცვის თაობაზე და საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზებთან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან გადმოგზავნილ მასალებს, განაზოგადებს მათ და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს შესაბამისი მოხსენებითი ბარათით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს;

დ) განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემის საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს საერთო სასამართლოების სისტემის საქმიანობის სტანდარტებს, ყოველწლიურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს;

ე) უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და საერთო სასამართლოების მოხელეებისათვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და ადეკვატური პროცედურების დანერგვას, მათ პერმანენტულად გამარტივებას, ხარისხის კონტროლსა და გაუმჯობესებას;

ვ) ქმნის ხარისხის ჯგუფს და კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახდენს საერთო სასამართლოებში არსებული პრობლემებისა და პოზიტიური გამოცდილების იდენტიფიცირებას, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საერთო სასამართლოების სისტემის საქმიანობის აუდიტს; თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ამოწმებს საერთო სასამართლოების სისტემის საქმიანობის ხარისხის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან, ამ მიზნით ახორციელებს პერიოდულ ვიზიტებს საერთო სასამართლოებში;

თ) ქმნის და სისტემატურად აუმჯობესებს მოქალაქეებისა და მოხელეებისაგან მიღებული უკუკავშირის (საჩივრების, შენიშვნების, იდეების, პრობლემების) ეფექტური მართვის მექანიზმს; უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების მომსახურებით მოქალაქეების კმაყოფილების დონის შესწავლას და ამ მიზნით სპეციალური კვლევების ჩატარებას;

ი) ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს საერთო სასამართლოების სისტემის საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწავლობს სასამართლოს მოხელეთა ტრენინგ-საჭიროებებს, ხელს უწყობს მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას და მოტივაციის ზრდას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ლ) იკვლევს სერვისებისა და პროცედურების ხარისხთან დაკავშირებით არსებულ საუკეთესო პრაქტიკას; უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების სისტემის საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით მოქალაქეებისა და მოხელეთა ინფორმირებას, ბუკლეტებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადებას, განთავსებასა და პერიოდულ განახლებას;

მ) ახორციელებს საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემაში მოსამართლეთა შესაბამის კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციას, რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანას, რეგისტრაციის მონაცემების გაუქმებას, ასევე, უზრუნველყოფს მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას;

ნ) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისათვის ერთიანი კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებების წარმართვას და ამ მიზნით ინფორმაციის ურთიერთგაცვლის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებას;

ო) ზედამხედველობს საერთო სასამართლოების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ერთიანი კომპიუტერული ქსელის მოხმარებას, ქსელის ტექნიკურ ექსპლუატაციას, ახორციელებს მრავალწერტილიანი კომპიუტერული (ლოკალური) ქსელის, სისტემური ინფრასტრუქტურის, ციფრული სატელეფონო და საკონფერენციო სისტემების ადმინისტრირებას, მათ შორის, კომპიუტერული პარკისა და პერიფერიული მოწყობილობების შესაბამისობის განსაზღვრას, ამ მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი აღსრულების კონტროლს;

პ) უზრუნველყოფს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების, აგრეთვე საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი საქმისწარმოების სამუშაოების ავტომატიზებული სისტემების კომპიუტერული პროგრამების დანერგვასა და გამოყენებას, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი აღსრულების კონტროლს;

ჟ) ქმნის ერთიან საინფორმაციო-კომპიუტერულ ბაზას, ახორციელებს მონაცემთა ცალკეული ბაზების (ბაზებში დაცული ინფორმაციის) მართვას, საერთო სასამართლოების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის

კომპიუტერულ (ლოკალურ) ქსელში შემავალი და სასამართლოებიდან გამავალი ინფორმაციული ნაკადების ადმინისტრირებას;

რ) ორგანიზებას უწევს საერთო სასამართლოების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებგვერდის ადმინისტრირებას, ვებგვერდის მონაცემთა ბაზების ფორმირებასა და განვითარებას, ვებგვერდის პროგრამული საშუალებების სრულყოფას;

ს) ახორციელებს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების მეთოდურ ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფს მათთვის და საერთო სასამართლოების თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას, საჭიროების შემთხვევაში, საერთო სასამართლოების ინტერესების გათვალისწინებით, კოორდინაციას უწევს საერთო სასამართლოების საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების საქმიანობას და უფლებამოსილია მისცეს მათ მითითებები საერთო სასამართლოების ერთიანი კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 7<sup>5</sup>. ამოღებულია

## მუხლი 8. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

დანართი 2

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის რანგი	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
	სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	სამართლებრივ საკითხთა სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2200
II	საფინანსო-სამეურნეო სამმართველო			



1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	მთავარი ბუღალტერი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2600
3.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
4.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
	სულ		11	
	<b>ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი</b>			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	კანცელარია			
1.	კანცელარიის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	2600
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2500
3.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	15	1600
II	მანდატურის სამსახური			
1.	სამსახურის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	2000
2.	მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	5	1500
	სულ		24	
	<b>სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი</b>			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
II	სამოქალაქო საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500

III	ადმინისტრაციულ საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2500
	სულ		6	
	<b>ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი</b>			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვისა და ანალიზის სამმართველო			
1.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
2.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	2200
	სულ		7	
	<b>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</b>			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	4000
I	საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
	სულ		6	
	<b>მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი</b>			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი	III	4	2200

	სპეციალისტი			
	სულ		7	
	<b>დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატი</b>			
1.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2500
2.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	5	2200
	სულ		8	
	<b>სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი</b>			
1.	დეპარტამენტის თავმჯდომარე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2200
	სულ		7	
	სულ ჯამში		76	

დანართი 3

**დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო**

თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
დამოუკიდებელი ინსპექტორი	5350

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/208-2007 2007 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის  
დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანდართული რეგლამენტი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს “საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 20 აგვისტოს N341 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

*ვალერი გერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
რეგლამენტი

თავი I

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი,  
შემადგენლობა და წევრთა უფლებამოსილების ვადა

**მუხლი 1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი**

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - იუსტიციის უმაღლესი საბჭო) შექმნილია სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, საერთო სასამართლოების საბიუჯეტო, მატერიალურ-ტექნიკური და სასამართლო ადმინისტრირების საკითხთა კოორდინირებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე.

## **მუხლი 2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს 8 წევრს კანონით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობრივად არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით არჩეული წევრები.

3. საქართველოს საერთო სასამართლოებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრი, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო სასამართლოს მოსამართლე. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება), უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე ან სასამართლოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

4. საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრს ირჩევს კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე. ზემოაღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაცია უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს არაუმეტეს 3 კანდიდატურისა. საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლისა და პროკურორის კანდიდატად წარდგენა არ შეიძლება. კანდიდატურების წარდგენის, ამ პუნქტითა და მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის, მათი განხილვისა და საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენის წესი და ვადა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს კონკურსის საფუძველზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 1 თვისა და არაუგვიანეს 1 კვირისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში - უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა. პირველ შემთხვევაში კანდიდატურები საქართველოს პრეზიდენტს წარედგინება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 30-ე დღიდან 10 დღის განმავლობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში - მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში. კონკურსის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარმდგენი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს ამ

მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული ორგანიზაცია უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს არაუმეტეს 1 კანდიდატურისა.

### **მუხლი 3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის აუცილებელი პირობები**

საქართველოს პარლამენტმა/საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩიოს/დანიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევისას საჭიროა წევრობის კანდიდატის წინასწარი თანხმობა.

### **მუხლი 4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს (დანიშნოს) ზედიზედ ორჯერ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა არ შეიძლება შეასრულოს თავისი მოვალეობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს (დანიშნოს) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრის არჩევისას ეს ვადები მთლიანად ან ნაწილობრივ დაემთხვა საქართველოს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდს, ამ პუნქტით არჩევნებისთვის განსაზღვრული ვადა შესაბამისი დროით გაგრძელდება.

### **მუხლი 5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის დაწყება**

1. ახლად არჩეული/დანიშნული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება იწყება თანამდებობაზე მყოფი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან, თუ იგი არჩეულ იქნა ამ ვადის გასვლამდე, ხოლო არჩევის მომდევნო დღიდან, თუ არჩეულ იქნა ამ ვადის გასვლის შემდეგ. ანდა თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილება ვადამდე იქნა შეწყვეტილი.

2. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი უფლებამოსილების ვადა შეწყდება მომდევნო სამუშაო დღის 18 საათზე.

### **მუხლი 6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ/საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, უშუალოდ ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებას ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

### **მუხლი 7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

- ბ) მისი თანხმობით სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან არჩევა;
- გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- დ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- ვ) კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;
- ზ) გარდაცვალება;
- თ) წელიწადში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა;
- ი) მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- კ) შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
- ლ) წევრად არჩევა ან დანიშვნა არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ ან ამ კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს პრეზიდენტი. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს პრეზიდენტი ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“-„ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია კენჭს უყრის გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სრული მემადგენლობის უმრავლესობით.

3. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, მოსამართლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია მოსამართლის თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება (გადაყენება).

**მუხლი 8. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის სოციალური დაცვის გარანტიები**

1. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული/საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 6700 ლარს.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლებელია დაუწესოს დანამატები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები ფინანსდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

**თავი II**  
**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება**

**მუხლი 9. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია**

იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს, სააპელაციო სასამართლოს პალატისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეს;

ა<sup>1</sup>) თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორსა და სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს; განსაზღვრავს დამოუკიდებელი ინსპექტორისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლების მიერ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესს, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესს, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების, ასევე სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესს;

ა<sup>2</sup>) საქართველოს პარლამენტს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურებს;

ბ) ამტკიცებს:

ბ.ა) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურას და მოსამსახურეთა სამტატო ნუსხას;

ბ.ბ) დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელის თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს;

ბ.გ) საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) აპარატების სტრუქტურას, აპარატის მოხელეთა სამტატო რაოდენობას, თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს;

ბ.გ<sup>1</sup>) იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სტაჟირების გავლის წესს;

ბ.გ<sup>2</sup>) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების აპარატების მოსამსახურეთა შეფასების წესს;

ბ.დ) საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს;

ბ.ე) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესსა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას;

ბ.ვ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და დებულებას;

ბ.ზ) მოსამართლის ფიცის ტექსტს;

ბ.თ) სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივ ფორმას და სამკერდე ნიშანს;

ბ.ი) მოსამართლის თანამდებობრივ განმასხვავებელ ნიშნებს და მოსამართლის ჩაცმულობის ფორმას;

ბ.კ) მოსამართლის სამსახურებრივი მოწმობის ფორმას.

გ) განსაზღვრავს:

გ.ა) რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიას;

გ.ბ) რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობას;

გ.გ) მაგისტრატი მოსამართლეების სამოქმედო ტერიტორიას და რაოდენობას;

გ.დ) მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში;

გ.ე) სასამართლო კოლეგიების შემადგენლობას;

გ.ვ) სააპელაციო სასამართლოს პალატებსა და საგამომიებო კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობას და შემადგენლობას;

გ.ზ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა სპეციალიზაციას;

გ.თ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობას;

დ) ქმნის:

დ.ა) რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებს;

დ.ბ) სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებს;

დ.გ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას;

ე) საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, უფლებამოსილია განახორციელოს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია;

ვ) ადგენს სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობას;



- ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს;
- თ) განიხილავს სასამართლოს სტატისტიკის ანალიზის მასალებს;
- ი) კანონით გათვალისწინებული წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას;
- კ) ისმენს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიშს;
- ლ) იღებს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილი წესით მოსამართლეების წახალისების შესახებ;
- მ) შეიმუშავებს წინადადებებს სასამართლო რეფორმის საკითხებზე;
- ნ) თანხმობას აძლევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნაზე;
- ო) რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას აცხადებს კონკურსს და განსაზღვრავს მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას;
- პ) განიხილავს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს სასამართლო პრაქტიკის, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადების შესახებ, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში;
- ჟ) ამოღებულია
- რ) ატარებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენლად მისაღებ კონკურსს;
- ს) საქართველოს მთავრობას წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტს;
- ს<sup>1</sup>) ადგენს საერთო სასამართლოს მოსამართლისა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს;
- ტ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიას და რეგლამენტს, აგრეთვე სამოსამართლო ეთიკის კოდექსს.
- უ) იღებს გადაწყვეტილებებს საერთო სასამართლოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აღნიშნული საფუძვლით საერთო სასამართლოების დეპარტამენტს აძლევს შესაბამის დავალებებს.
- ფ) განიხილავს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკის თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხებს.

## **მუხლი 10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა უფლებამოსილებანი**

1. კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად იუსტიციის უმაღლესი საბჭო:
  - ა) შეიმუშავებს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონპროექტებს;
  - ბ) განიხილავს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონპროექტებს და შეიმუშავებს სათანადო დასკვნებს;
  - გ) უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს მოსამართლეთა კონფერენციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ მის წინაშე დასმულ საკითხებზე;
  - გ<sup>1</sup>) უზრუნველყოფს სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში, აგრეთვე მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კონფერენციებში მოსამართლეთა ფართო ჩართულობას, მიუხედავად სასამართლოების ინსტანციურობისა და სამოქმედო ტერიტორიისა;
  - დ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციების ეფექტურად განსახორციელებლად ქმნის დროებით კომისიებს;
  - ე) ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამუშაო გეგმებს;

ე<sup>1</sup>) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მიზნით შეიმუშავებს ადაპტირების სამოქმედო გეგმას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტებსა და მეთოდოლოგიას;

ვ) შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციებთანაა დაკავშირებული;

ზ) შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელიც საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესთანაა დაკავშირებული;

თ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

### 3. ამოღებულია

4. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში თავმჯდომარის დანიშვნამდე, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სხვა მოსამართლისათვის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრებისა და დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისაგან გათავისუფლების შესახებ.

## თავი III

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღება

#### მუხლი 11. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მოწვევა

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, იწვევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას ან სხვა შემთხვევაში, თუ არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მოწვევის კანონით დადგენილი აუცილებლობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომას იწვევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნითაც.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებული, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, თანდართულ მასალებთან ერთად ეცნობება საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, რომლებიც აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ სასამართლოს შენიშვნებსა და წინადადებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს როგორც წერილობით, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე სასამართლოს წარმომადგენლის მიერ უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

#### მუხლი 11<sup>1</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის საჯაროობა

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სხდომის აუდიო-, ვიდეოჩაწერა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს საჯარო სხდომის აუდიო-, ვიდეოჩაწერის დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შესაძლებელია განახორციელონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გახსნის ფოტოგადაღება და ვიდეო-, აუდიოჩაწერა.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილების შესახებ ინფორმაცია და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია განთავსდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

## **მუხლი 12. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესი**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მის სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება.

3. სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს მოსამართლედ დანიშნავს, თუ მის კანდიდატურას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

## **მუხლი 13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საკითხთა განხილვის წესი**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში და გამოთქვას მოსაზრება დღის წესრიგის ყველა საკითხზე.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ან საბჭოს წევრთა წინასწარი შეთანხმებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მოწვეულ იქნეს გარეშე პირი.

3. პირადი განცხადების საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების (უფლებამოსილების შეწყვეტის), ასევე მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების საკითხის გადაწყვეტისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია საბჭოს სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

## **მუხლი 13<sup>1</sup>. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის განხილვის წესი**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე.

2. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი კონკურსის გარეშე შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის გამოყენება ემსახურება მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად, შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების ინტერესს.

4. საკითხის ინიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სასამართლოში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის არარსებობა ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა;

ბ) ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით ვაკანტურ ადგილებზე ახალი კონკურსის გამოუცხადებლობა ან კონკურსის დადგენილ ვადაში ჩატარების შეუძლებლობა;

გ) მოსამართლის განცხადება სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის თაობაზე.

5. იმავე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება კონკრეტული სასამართლოს საჭიროება, მოსამართლის საცხოვრებელი ადგილი, მისი ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენა და სხვ.

6. მოსამართლეთა დაწინაურების უფლების უზრუნველყოფის, მოსამართლეთა კორუფციის მობილურობისა და მოქმედ მოსამართლეთა გამოცდილების რესურსის ეფექტიანი გამოყენების ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სააპელაციო სასამართლოში ვაკანსიების არსებობისას, კონკურსის პარალელურად ან მის გარეშე, უფლებამოსილია განსაზღვროს იმ ვაკანტურ ადგილთა რაოდენობა, რომელიც განკუთვნილი იქნება მოსამართლეთა დაწინაურებისათვის.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. განაცხადის წარდგენის უფლება აქვს საერთო სასამართლოების ნებისმიერ მოსამართლეს. განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში.

9. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახდენს განაცხადების განხილვას და იწვევს კანდიდატს გასაუბრებაზე.

10. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნებით.

11. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს მოსამართლე, რომელიც თავისი კომპეტენციით, გამოცდილებით, საქმიანი და მორალური რეპუტაციით შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას და აქვს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება.

12. მოსამართლეს, რომლის მიმართ დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, ეზღუდება ზემდგომი ინსტანციის მოსამართლედ დაწინაურების უფლება.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტში მითითებული დაწინაურების კრიტერიუმების მიხედვით მოსამართლის შეფასებას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

14. საბჭოს წევრი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მოსამართლის საქმიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობას, დასრულებულ საქმეთა სირთულეს, საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვას, გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვას, გადაწყვეტილებათა სტაბილურობას, სამუშაო დისციპლინას, მოსამართლის ავტორიტეტს კოლეგებს შორის, მის მონაწილეობას ახალგაზრდა მოსამართლეებისა და იურისტების მენტორობასა და სწავლებაში, მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი საკითხების განხილვაში მის აქტიურ როლს, მის ორგანიზაციულ ნიჭს, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, მისი მხრიდან სამოსამართლო ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების დაცულობას, მისი პროფესიული ზრდის ტენდენციებს და სხვა.

15. მოსამართლის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხედველობაში იღებს „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის №1/226 გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელებულ ბოლო 1 წლის საქმიანობის შეფასების შედეგებს.

16. მოსამართლე უფლებამოსილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წერილობით წარუდგინოს თვითშეფასება და თავისი საქმიანობის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელების მოტივაცია.

17. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ შესაბამის სტატისტიკურ და სხვა ინფორმაციას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია თავად მოიძიოს პირის შესახებ ინფორმაცია.

18. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების ინტერესებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია, ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მოსამართლის შესაბამისობის დადგენისას იხელმძღვანელოს ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით, მხარი დაუჭიროს იმ მოსამართლეს, რომელიც თავისი კვალიფიკაციითა და მორალური თვისებებით სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად შეესაბამება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას, არ დაუშვას თვითნებური და დისკრიმინაციული მიდგომის გამოყენება.

19. იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს სხვა სასამართლოს მოსამართლედ დანიშნავს, თუ მის კანდიდატურას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

**მუხლი 13<sup>2</sup>. თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების წესი, რომელსაც სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს**

1. 2017 წლის 1 ივლისამდე თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული, სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხის განხილვის დაწყების საფუძველია მოსამართლის წერილობითი განცხადების წარდგენა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

2. წარდგენილ განცხადებათა რაოდენობიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს მათი განხილვის პრიორიტეტულობა და რაოდენობა მოსამართლის საქმიანობის შეფასების პერიოდის დაწყების თარიღის გათვალისწინებით.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეულ განცხადებებთან დაკავშირებით მომზადებულ ინფორმაციას მოსამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის თაობაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც წესი, აღნიშნულ საკითხს განიხილავს მოსამართლის დაუსწრებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოიწვიოს მოსამართლე გასაუბრებაზე შესაბამისი განმარტების მისაღებად.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს ინფორმაციას კონკრეტულ მოსამართლეთა მიმართ შეფასების პროცედურების შეწყვეტის თაობაზე. იმ მოსამართლის მიმართ, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რაც წერილობით ეცნობება მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ გრძელდება შეფასების პროცედურები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარი ხელს არ უშლის მოსამართლეს განმეორებით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ განცხადებით იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებიც საფუძველად დაედო განცხადების განხილვაზე უარს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პროცედურის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მოსამართლის მიერ განხილულ, საერთო სასამართლოების საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ 5

საქმეს, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული, მათ შორის, არანაკლებ 2 საქმეს, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმეთა შერჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში შემთხვევითობის პრინციპით მათ შერჩევას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოდან მიღებული საქმეთა ნუსხის მიხედვით. ამ ფორმით საქმეთა შერჩევის შეუძლებლობისას საქმეთა შერჩევის წესს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

6. მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის“ 12<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად ახორციელებს მოსამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. მოსამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიების დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა ინფორმაციის მოძიების შედეგები წარედგინება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქმეები, მოძიებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები სრულყოფილად შეისწავლოს 1 თვის ვადაში. შესწავლის პროცესის დასრულებისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს მოსამართლეებთან გასაუბრებას.

7. გასაუბრების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი დამოუკიდებლად ავსებს „მოსამართლის საქმიანობის შეფასების ფორმის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 1 დეკემბრის №1/104 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მოსამართლის საქმიანობის შეფასების ფორმას.

8. შეფასების ფორმაში შეტანილ ინფორმაციას 3 სამუშაო დღის ვადაში აჯამებს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი, რის შემდეგაც იგი შეჯამების შედეგებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. შეჯამების შედეგების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მოსამართლეს თანამდებობაზე უვადოდ გასამწესებლად.

9. მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გასამწესებლად კენჭი ეყრება მხოლოდ იმ მოსამართლეს, რომლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია.

10. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეს თანამდებობაზე უვადოდ გაამწესებს, თუ ამ გადაწყვეტილებას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

11. თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილების განხორციელებას გააგრძელებს 3-წლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის ფარგლებში.

#### **მუხლი 14. კენჭისყრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით. საკითხს კენჭისყრაზე აყენებს სხდომის თავმჯდომარე.

2. კენჭისყრა ღიაა, გარდა მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ფარული კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს სხვა საკითხებზეც. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 2/3-ის თანხმობით, ფარული კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმის მიცემა (ეთანხმება, ეთანხმება შენიშვნით, არ ეთანხმება), გარდა ფარული კენჭისყრის შემთხვევისა, ფიქსირდება შეთანხმების ფურცელზე ხელმოწერით.

### **მუხლი 14<sup>1</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით ჩაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომა. გაფართოებული სხდომის მოწვევა დასაშვებია ნებისმიერ საკითხზე, რაც უკავშირდება ძირეული მიდგომების, პრინციპებისა თუ მეთოდოლოგიის შემუშავებას სასამართლო რეფორმის, მართლმსაჯულების შეუფერხებელი საქმიანობის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ამაღლების, სასამართლოს სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოსამართლო დისციპლინისა და ეთიკის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე ამ სფეროებში გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებს.

2. გაფართოებული სხდომის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. განსახილველი საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს საერთო სასამართლოს ნებისმიერი მოსამართლე, ყოფილი მოსამართლე, მოსამართლეთა გაერთიანება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, სხვა უწყების (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, საგანმანათლებლო დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია) თუ აკადემიური წრეების წარმომადგენელი და სხვა პირი (ამა თუ იმ დარგის ექსპერტი, სპეციალისტი და სხვა).

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს წამოაყენოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევ პირთა კანდიდატურები ან დაასახელოს უწყება, რომლის წარმომადგენლის მოწვევაც მიაჩნია მიზანშეწონილად.

5. საერთო სასამართლოების ნებისმიერ მოსამართლეს ან მოსამართლეთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ უწყებას ან სხვა პირს, უფლება აქვს წერილობით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამა თუ იმ საკითხზე საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევის წინადადებით და დაასაბუთოს მისი მიზანშეწონილობა. მათ ასევე აქვთ უფლება, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართონ საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობის მიღების თხოვნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომაზე განიხილავს მოსამართლეების, სხვა უწყებების ან გარეშე პირების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს გაფართოებული სხდომის მოწვევისა თუ მასში მონაწილეობის თაობაზე.

6. საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მოსაწვევი პირებისა და უწყებების სიას ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ რომელიმე უწყების წარმომადგენლის მოწვევის თაობაზე წინადადება დაყენებულია კანდიდატურის ვინაობის დასახელების გარეშე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიმართავს (წერილობით ან ზეპირად) შესაბამის უწყებას თხოვნით, საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოავლინოს თავისი წარმომადგენელი და ამასთან, განუმარტავს განსახილველი საკითხის შინაარსსა და მნიშვნელობას.

### **მუხლი 14<sup>2</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება**

1. ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის დღის წესრიგის შესახებ ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომა ტარდება საბჭოს სხდომების ჩატარებისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. ნებისმიერ მოწვეულ პირს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი განსახილველ საკითხზე, წარმოადგინოს თავისი წერილობითი

მოსაზრება ან სხვა დოკუმენტი (ანგარიში, პროექტი, მოხსენება, სტატისტიკური მასალა, კვლევა, უწყების ოფიციალური პოზიცია და სხვა) და მოითხოვოს მათი დართვა სხდომის ოქმზე.

3. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე დაყენებული წინადადებებისა თუ გამოთქმული მოსაზრებების სიმრავლის შემთხვევაში, ან როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამას საჭიროდ მიიჩნევს, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით დომინანტური პოზიციების გამოვლენის მიზნით სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოაწყოს სარეიტინგო გამოკითხვა, რომლის შედეგებიც აისახება ოქმში. სარეიტინგო გამოკითხვაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ მონაწილეობს.

4. გაფართოებულ სხდომაზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. გაფართოებულ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები და სარეიტინგო გამოკითხვის შედეგები არ არის სავალდებულო იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის, თუმცა საბჭო უფლებამოსილია მათ საფუძველზე მიიღოს და დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

### **მუხლი 14<sup>3</sup>. საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევის წესი**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეთაგან, რომლებსაც აქვთ საერთო სასამართლოების მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, ირჩევს საპროკურორო საბჭოს 2 წევრს.

2. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებისმიერ წევრს. წარდგინებას უნდა დაერთოს კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საპროკურორო საბჭოს ახალ წევრს ირჩევს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საპროკურორო საბჭოს ახალი წევრი აირჩევა შესაბამისი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

4. საპროკურორო საბჭოს თოთოეული წევრის ასარჩევად კენჭისყრა ტარდება ცალ-ცალკე. კენჭისყრა ტარდება სპეციალური ბარათების (ბიულეტენების) მეშვეობით, რომლებზეც აღინიშნება საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სია. კენჭისყრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ბიულეტენში შემოხაზავს საპროკურორო საბჭოს ერთ კანდიდატს.

5. არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, რომელსაც ღია კენჭისყრით მხარს დაუჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. თუ კენჭისყრის შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს ყველა მათგანი.

## **თავი IV**

### **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტები და მათი მომზადების, მიღების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგადი წესები**

#### **მუხლი 15. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტები**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტებია:

ა) გადაწყვეტილება;

ბ) წარდგინება;

გ) წინადადება;

დ) რეკომენდაცია;

ე) კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები.



3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტებს შეიძლება დაერთოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი ან რამდენიმე წევრის განსხვავებული აზრი.

### **მუხლი 16. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტებზე ხელმოწერა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა, წარდგინებას, წინადადებას, რეკომენდაციას და მოსამართლისადმი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კერძო სარეკომენდაციო ბარათს ხელს აწერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

2. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან განთავისუფლების, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების, სასამართლოს (სასამართლო კოლეგიის ან პალატის) თავმჯდომარის უფლებამოსილების, აგრეთვე სასამართლოს ლიკვიდაციის და მოსამართლის თანამდებობის შემცირების დროს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების ან დაკისრებული უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

### **მუხლი 17. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების რეკვიზიტები**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეულ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

- ა) გადაწყვეტილების სათაური;
- ბ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
- გ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარი, სახელი და ხელმოწერა;
- დ) სარეგისტრაციო ნომერი.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას (გარდა გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების შემთხვევისა) თან უნდა დაერთოს მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ფურცელი.

### **მუხლი 18. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნება**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე კონსოლიდირებული სახით განთავსებას, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტები, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გადაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და იმ პირებს, ვისაც ეს დოკუმენტი პერსონალურად ეხება.

### **მუხლი 19. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტების აღრიცხვა და სისტემატიზაცია**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტები საჭიროებენ სავალდებულო აღრიცხვას და სისტემატიზაციას, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისად საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების და სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტები.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების აღრიცხვა და სისტემატიზაცია მოიცავს შემდეგი მონაცემების აღრიცხვას:

- ა) აქტის სათაური;
- ბ) აქტის მიღების თარიღი და ადგილი;
- გ) აქტისათვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი;

დ) აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის თარიღი.

### **მუხლი 20. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და ოქმის შემდგენი პირი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ოქმს ხელს აწერს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. ოქმის შედგენას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ავალეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეს.

3. ოქმში უნდა აისახოს, თუ ვის მიერ იქნა სხდომა მოწვეული, სხდომის მოწვევის თარიღი, დაწყების დრო და ხანგრძლივობა, სხდომის მონაწილეთა და თავმჯდომარის ვინაობა, საკითხის მომხსენებლისა და კამათში მონაწილეთა სიტყვების შინაარსი, გამოთქმული არგუმენტები, მიღებული გადაწყვეტილება და ისიც, თუ ვინ რას მისცა ხმა.

## **თავი V**

### **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის შესაქმნელად და კონკურსის მოსაწყობად**

#### **მუხლი 21. საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისია**

1. საგამოცდო დავალებების შედგენის მეთოდოლოგიისა და მისი სირთულის დონის განსაზღვრის, დავალებების ბაზის მართვისა და ფორმირების, წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმების დადგენის, საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთა ცოდნის შემოწმებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შეფასების მიზნით იქმნება საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისია.

2. საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის წევრი.

#### **მუხლი 22. საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მუშაობის, გამოცდების მოწყობის წესისა და საგამოცდო პროგრამების შემუშავება და დამტკიცება**

საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის საქმიანობის წესს, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესსა და საკვალიფიკაციო პროგრამას ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

#### **მუხლი 23. მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მოწყობის წესი**

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის წესს განსაზღვრავს კონკურსის დებულება, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

## **თავი VI**

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან მოსამართლის ჩამოცილებისა და დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისას**

## **მუხლი 24. საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან მოსამართლის ჩამოცილება**

1. მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მოსამართლე ჩამოცილებული უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან.

2. მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გამო მისი საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილების საფუძველია შესაბამისი ორგანოდან შემოსული შეტყობინება.

3. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი წარდგინების საფუძველზე იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ მოსამართლეთა ჩამოცილება საქმის განხილვისაგან ავტომატურად იწვევს მოსამართლეთა ჩამოცილებას სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან.

5. მოსამართლის საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თუ ეს აუცილებელია, იღებს ზომებს მოსამართლის მოვალეობის სხვა მოსამართლისათვის დაკისრების მიზნით.

6. მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოდან ან გამოძიების ორგანოდან იღებს სათანადო დოკუმენტაციას. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ამოწმებს, ხომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისათვის.

7. იმის მიუხედავად, მოსამართლის მიმართ აღიძვრება თუ არა დისციპლინური დევნა, მოსამართლის გამართლების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლისათვის თანამდებობრივ უფლებამოსილებათა აღდგენის შესახებ.

## **მუხლი 25. დისციპლინური სამართალწარმოება**

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

## **მუხლი 25<sup>1</sup>. ამოღებულია**

## **თავი VII**

### **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი**

## **მუხლი 26. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა და მისი უფლებამოსილება**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მის მიერ არჩეულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთაგან. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებების განხორციელების პარალელურად, ანაზღაურების გარეშე.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი:

ა) ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ - ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ბ) ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეებს, აპარატის სხვა მოსამსახურეებს, გარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის მოხელეებისა და სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარისა;

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს;

დ) ამზადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს და სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ვ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის ანაწილებს საკურატორო სფეროებს;

ზ) ორგანიზაციას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განაწილებას;

თ) უზრუნველყოფს სხდომის მასალების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დროულ მიწოდებას;

ი) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენობაში ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

კ) ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შინაგანაწესს;

ლ) ორგანიზაციას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტაციის დანიშნულებისამებრ დაგზავნას;

მ) ორგანიზაციას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების სამუშაო შეხვედრებს;

ნ) წყვეტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს;

ო) გამოსცემს ბრძანებას მოსამართლის შვებულების, ახალი კალენდარული წლის დაწყებამდე შვებულების მომდევნო სამუშაო წელს გადატანის, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოსამართლის შვებულებიდან გამოძახების, მოსამართლის მივლინების, აგრეთვე შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნისას მოსამართლის მიმართ სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ;

ო<sup>1</sup>) საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს;

პ) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს მდივნის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

## თავი VIII

### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

#### მუხლი 27. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურას და მოხელეთა საშტატო ნუსხას, აგრეთვე აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 27<sup>1</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

1. მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოკვლევისა და წინასწარი შემოწმების ჩატარების მიზნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იქმნება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური (შემდგომში – ინსპექტორის სამსახური).

2. ინსპექტორის სამსახურს ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელსაც 5 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

### 3. ამოღებულია

4. ინსპექტორის სამსახურის საქმიანობას უზრუნველყოფს ინსპექტორის სამსახურის აპარატი, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

5. ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამოუკიდებელი ინსპექტორი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## **მუხლი 27<sup>2</sup>. დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აცხადებს კონკურსს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. დამოუკიდებელ ინსპექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და მაღალი რეპუტაცია.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი ინსპექტორობის კანდიდატის საკითხს განიხილავს ორ ეტაპად.

4. კონკურსის პირველი ეტაპი გულისხმობს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური მხარის შემოწმებას და კონკურსის მეორე ეტაპზე გასვლის უფლების მქონე კანდიდატთა შერჩევას.

5. კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატებთან გასაუბრებასა და ამ მუხლის მე-6-მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით გადაწყვეტილების მიღებას.

6. გასაუბრების დასრულების შემდეგ ტარდება კენჭისყრა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

7. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს ყველა მათგანი. თუ ხელახალი კენჭისყრისას კვლავ ვერ შეირჩა კანდიდატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განმეორებით აცხადებს კონკურსს საერთო წესის მიხედვით.

8. კენჭისყრის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, თითოეულ კანდიდატს წერილობით ეცნობება მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

9. დამოუკიდებელი ინსპექტორობის კანდიდატის თანამდებობაზე არჩევა ფორმდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

10. იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე გონივრული ვადით ადრე უზრუნველყოფს კონკურსის გამოცხადებასა და უფლებამოსილების გასვლიდან არაუგვიანეს 1 კვირისა ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევას, ხოლო დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ინსპექტორის ასარჩევად კონკურსის ორგანიზებას უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

### **მუხლი 27<sup>3</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი**

1. საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი (შემდგომში – მენეჯმენტის დეპარტამენტი), რომელიც წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

2. მენეჯმენტის დეპარტამენტის საქმიანობის წესი განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით.

3. მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

4. მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

5. მენეჯმენტის დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

### **მუხლი 27<sup>4</sup>. მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის არჩევის წესი**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აცხადებს კონკურსს მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ასარჩევად.

2. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩიოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის საკითხს განიხილავს ორ ეტაპად.

4. კონკურსის პირველი ეტაპი გულისხმობს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური მხარის შემოწმებას და კონკურსის მეორე ეტაპზე გასვლის უფლების მქონე კანდიდატთა შერჩევას.

5. კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატებთან გასაუბრებასა და ამ მუხლის მე-6-მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით გადაწყვეტილების მიღებას.

6. გასაუბრების დასრულების შემდეგ ტარდება კენჭისყრა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

7. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერცერთმა კანდიდატმა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს ყველა მათგანი. თუ ხელახალი კენჭისყრისას კვლავ ვერ შეირჩა კანდიდატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განმეორებით აცხადებს კონკურსს საერთო წესის მიხედვით.

8. კენჭისყრის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა თითოეულ კანდიდატს წერილობით ეცნობება მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

9. მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის თანამდებობაზე არჩევა ფორმდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

### **მუხლი 28. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**

1. საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

2. დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს 3 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით.

3. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დეპარტამენტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**  
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**N1/308 2009 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი**  
**მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის თანდართული წესი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/213-2007 გადაწყვეტილება.

*ვალერი გერცვაძე*  
 საქართველოს იუსტიციის  
 უმაღლესი საბჭოს მდივანი

**მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი**

**თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მოსამართლეობის კანდიდატს**

1. მოსამართლეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

2. მოსამართლის თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი, აგრეთვე ის პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღარ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც პირი გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან) ან იმავე მუხლის იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

3. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან გათავისუფლების შემთხვევები განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

4. სპეციალობით მუშაობად ჩაითვლება მუშაობა შემდეგ თანამდებობებზე:

- ა) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრი;
- ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- გ) მოსამართლე;
- დ) მოსამართლის თანაშემწე;
- ე) სასამართლოს სხდომის მდივანი;
- ვ) სასამართლო აღმასრულებელი;



ზ) პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, პროკურატურის მრჩეველი, პროკურატურის სტაჟიორი;

თ) გამომძიებელი;

ი) ნოტარიუსი;

კ) ადვოკატი.

5. სპეციალობით მუშაობად ჩაითვლება მუშაობა აგრეთვე თანამდებობებზე, რომელთა დასაკავებლად აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლება (ასეთი მოთხოვნები დგინდება საკანონმდებლო ან სხვა უწყებრივი სამართლებრივი აქტებით), კერძოდ:

ა) საქართველოს პარლამენტის, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს აპარატის საჯარო მოხელე;

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს აპარატის საჯარო მოხელე;

გ) საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საჯარო მოხელე;

დ) საერთო სასამართლოს აპარატის საჯარო მოხელე;

ე) სახალხო დამცველის აპარატის საჯარო მოხელე;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს აპარატის საჯარო მოხელე;

ზ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელე;

თ) სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების იურისკონსულტები და თანამდებობრივად მათთან გათანაბრებული პირები;

ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლისმცოდნეობის პროფესორ-მასწავლებელი და მეცნიერი მუშაკი;

კ) ასპირანტურასა და დოქტორანტურაში სპეციალობით სწავლა სამართალმცოდნეობის განხრით;

ლ) იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია ჩათვალოს სპეციალობით მუშაობად საქმიანობა თანამდებობებზე, რომლებიც ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით არ არის გათვალისწინებული.

## **მუხლი 2. ამოღებულია**

### **მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში – იუსტიციის უმაღლესი საბჭო) რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას აცხადებს კონკურსს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით.

2. პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის პირველი მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მოსამართლეობის კანდიდატად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც წარადგენს განცხადებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის განცხადებების წარდგენის ვადას. ეს ვადა არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება.

4. კონკურსი ტარდება მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

5. თუ კონკურსის საფუძველზე ვერ შეირჩა მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში აცხადებს ახალ კონკურსს ამ მუხლით დადგენილი წესით.

## **მუხლი 4. სამდივნო**

1. მე-3 მუხლით გათვალისწინებული განცხადებების მიღების მიზნით, სარეგისტრაციო ვადის დაწყებამდე 3 დღით ადრე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმნის სამდივნოს.
2. სამდივნო იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისაგან.
3. სამდივნოს მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
4. სამდივნოს ევალება მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და კონკურსის მოსამზადებლად ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, კანდიდატების განცხადებების მიღება, მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება.
5. სამდივნო არსებობას წყვეტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დანიშვნის შემდეგ.

#### **მუხლი 5. რეგისტრაციის დროს წარსადგენი საბუთები**

1. მოსამართლეობის კანდიდატი, როგორც წესი, რეგისტრაციას გადის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია დოკუმენტების მატერიალური სახით წარდგენაც.
2. მოსამართლეობის კანდიდატმა ელექტრონულ პროგრამაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) განაცხადი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე (დანართი №1);
  - ბ) დიპლომის ასლი თანდართული ნიშნების ფურცლით;
  - გ) საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ გაცემული ცნობა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;
  - დ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
  - ე) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
  - ვ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
  - ზ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.
3. მოსამართლეობის კანდიდატის მიერ კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს პირის თანხმობას (დანართი №2) ამ წესის 12<sup>2</sup> მუხლით დადგენილ წესით ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების გადამოწმების/მოძიების თაობაზე.
4. მოსამართლეობის კანდიდატმა განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა საჯარო სამსახურის ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაობაზე.
5. მოსამართლეობის კანდიდატი უფლებამოსილია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინოს სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, მის მიერ მომზადებული მოხსენებების, კვლევების, სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების თუ სხვა პროექტების ასლები.

#### **მუხლი 6. მოსამართლეობის კანდიდატის მიერ განცხადების წარდგენა**

1. პირი უფლებამოსილია კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადება შეიტანოს მისთვის სასურველ მოსამართლის ერთ ან რამდენიმე ვაკანტურ თანამდებობაზე და თითოეულ ვაკანტურ თანამდებობას შესაბამისი პრიორიტეტი მიანიჭოს. ვაკანტური პოზიციების პრიორიტეტულობა განისაზღვრება კანდიდატის მიერ მითითებული მათი რიგითობის მიხედვით. მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოსამართლის ვაკანტური თანამდებობისათვის პრიორიტეტის მინიჭება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ავალდებულებს, თავდაპირველად სწორედ ამ თანამდებობაზე გასამწესებლად უყაროს კენჭი მოსამართლეობის კანდიდატს.
2. მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადის განმავლობაში, მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს გამოიტანოს განცხადება ან შეცვალოს სასურველი ვაკანტური ადგილი (ადგილები) შესაბამისი განცხადებით.

#### **მუხლი 7. კონკურსის ჩატარების პრინციპები**

კონკურსი უნდა ჩატარდეს ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსამართლეობის

კანდიდატთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა.

### **მუხლი 8. კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმები**

1. მოსამართლეობის კანდიდატი შეირჩევა ორი ძირითადი კრიტერიუმის – კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის – საფუძველზე.

2. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

ა) სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატისთვის:

ა.ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ა.ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

ა.გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

ა.დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ბ) სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატისთვის:

ბ.ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ.ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

ბ.გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

ბ.დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ბ.ე) ფინანსური ვალდებულება.

3. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

ა) სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატისთვის:

ა.ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ა.ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

ა.გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

ა.დ) პროფესიული თვისებები;

ა.ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

ა.ვ) პროფესიული აქტივობა;

ბ) სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატისთვის:

ბ.ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ.ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

ბ.გ) წერის უნარი;

ბ.დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

ბ.ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში;

ბ.ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

ბ.ზ) პროფესიული აქტივობა.

4. სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის (გარდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი წევრისა) შეფასებისას სავალდებულოა მის მიერ განხილული 5 საქმის შეფასება, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული (მათ შორის, არანაკლებ 2 საქმის (არსებობის შემთხვევაში) შეფასება, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა). შესაფასებელი საქმეები შემთხვევითობის პრინციპის დაცვით შეირჩევა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქმის/გადაწყვეტილების შესწავლის მიზანია, შეფასდეს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ცოდნის დონე, მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე, გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

საქმის/გადაწყვეტილების შესწავლისას ასევე ფასდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაუქმებულ/ნაწილობრივ გაუქმებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული სამართლებრივი შეცდომის ხასიათი და სერიოზულობა

### **მუხლი 9. შერჩევის მახასიათებლების განმარტებები**

ამ წესის მე-8 მუხლით დადგენილი შერჩევის მახასიათებლებით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება:

**ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის გადახდისას, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას), ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე სიმართლისმოყვარეობა;

**ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:** პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, ქცევა მის მიმართ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა;

**გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა:** კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას;

**დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხარისხი;

**ე) ფინანსური ვალდებულება:** ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას;

**ვ) სამართლის ნორმების ცოდნა:** მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე. აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე მოსამართლეობის კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე;

**ზ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:** მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას - ასევე მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა;

**თ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი:** წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა;

**ი) წერის უნარი:** აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი;

**კ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი:** გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა;

**ლ) პროფესიული თვისებები:** პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები;

**მ) პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში:** პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები;

**ნ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:** სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;

**ო) პროფესიული აქტივობა:** ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას - ასევე სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციებისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა.

## **მუხლი 9<sup>1</sup>. შერჩევის კრიტერიუმების შეფასება**

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას, გაითვალისწინება ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით.

3. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატისთვის:

ა.ა) სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

- ა.ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;
- ა.გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 20 ქულა;
- ა.დ) პროფესიული თვისებები – 15 ქულა;
- ა.ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;
- ა.ვ) პროფესიული აქტივობა – 5 ქულა;
- ბ) სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატისთვის:
  - ბ.ა) სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;
  - ბ.ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;
  - ბ.გ) წერის უნარი – 20 ქულა;
  - ბ.დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;
  - ბ.ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში – 15 ქულა;
  - ბ.ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;
  - ბ.ზ) პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

### **მუხლი 10. კრიტერიუმების შეფასების პრინციპები**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ვალდებული არიან ამ წესით გათვალისწინებული შეფასების ძირითადი კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატების შეფასებისას იხელმძღვანელონ ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით და გამოიყენონ შეფასების ერთგვაროვანი სტანდარტი ყველა კანდიდატთან მიმართებაში.

2. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება ხორციელდება კანდიდატის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი დოკუმენტაციის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ წესის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციისა და მოსამართლეობის კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

### **თავი III. მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა**

#### **მუხლი 11. ამოღებულია**

#### **მუხლი 12. ამოღებულია**

#### **მუხლი 12<sup>1</sup>. დოკუმენტაციის შემოწმება**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ინფორმაციას კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან მოსამართლეობის კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების შესაბამისობის თაობაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც წესი, აღნიშნულ საკითხს განიხილავს მოსამართლეობის კანდიდატის დაუსწრებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოიწვიოს მოსამართლეობის კანდიდატი გასაუბრებაზე შესაბამისი განმარტების მისაღებად.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით შერჩეულ კანდიდატთა სიას. განხილვის დასრულებისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოსამართლეობის იმ კანდიდატების შესახებ, რომელთა დოკუმენტებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოსამართლეობის კანდიდატის განათლების, მისი სამუშაო გამოცდილების, პროფესიული და აკადემიური მიღწევების შესახებ. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 14 დღისა, უფლება აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ. ასეთი ინფორმაცია მხედველობაში მიიღება მხოლოდ მისი გადამოწმების შემდეგ.

3. პირს, რომლის დოკუმენტებიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეხსნება მოსამართლეობის კანდიდატის სტატუსი და წერილობით ეცნობება აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი საფუძვლის მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

### **მუხლი 12<sup>2</sup>. ინფორმაციის მოძიება**

1. ამ წესის მე-8-მე-9 მუხლებით დადგენილ შერჩევის კრიტერიუმებთან მოსამართლეობის კანდიდატების შესაბამისობის დადგენის, მათი ობიექტური და სრულფასოვანი შეფასების მიზნით, გასაუბრების ჩატარებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) ამ მუხლით დადგენილი წესით ახორციელებს მათ შესახებ სანდო ინფორმაციის მოძიებას.

2. დეპარტამენტი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას საფუძვლიანად სწავლობს მათ პროფესიულ რეპუტაციასა და საქმიანობას, ამოწმებს მათ მიერ წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს, მოსამართლეობის კანდიდატთა მიმართ წარსულში არსებული სისხლისსამართლებრივი/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების, ასევე სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეობის კანდიდატის მონაწილეობის თაობაზე ინფორმაციას.

3. ამ მუხლის შესაბამისად მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ მოსამართლეობის კანდიდატების შესაფასებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინოს მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია.

4. ინფორმაციის მოძიებისას დეპარტამენტი გამოითხოვს მონაცემებს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან - მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან - ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსამართლეობის კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტიდან - სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან - სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე;

ე) იმ სასამართლოდან, სადაც მოსამართლეობის კანდიდატი ახორციელებს/ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას ან სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან - შემთხვევითობის პრინციპის დაცვით შერჩეულ 5 საქმეს, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული (მათ შორის, არანაკლებ 2 საქმე (არსებობის შემთხვევაში), რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა);

ვ) სს „კრედიტიწფო საქართველოდან“ - მოსამართლეობის კანდიდატის მიმდინარე და ვადაგადაცილებული დავალიანების თაობაზე;

ზ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიიდან - ეთიკის კომისიის მიერ შეფარდებული სახდელების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან - სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ნაშრომს, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ო) რეკომენდატორებისგან (არანაკლებ ორი) - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის შესახებ, რეკომენდაციის სტანდარტული ფორმის მეშვეობით;

კ) თანამშრომლებისგან, ყოფილი დამსაქმებლებისა და კოლეგებისგან, შესაბამისი სასწავლებლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისგან - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის შესახებ, სპეციალური კითხვარის მეშვეობით;

ლ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან - მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე კანდიდატის მიერ მიღებულ შეფასებებს, კანდიდატის პროფესიულ წვრთნასა და პროფესიულ აქტივობებთან დაკავშირებულ მონაცემებს;

მ) სასამართლოდან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან - ბოლო სამი წლის სტატისტიკურ მონაცემებს საქმეთა განხილვის რაოდენობრივი მაჩვენებლების, საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“;

4<sup>1</sup>. დეპარტამენტი მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოიძიებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;

ბ) მედიასა და ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომ ინფორმაციას;

გ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებულ ინფორმაციას;

დ) სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაციას;

ე) წინა კონკურსების მიმდინარეობის პერიოდში დადგენილი წესით მოპოვებულ იმ ინფორმაციას, რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე არ საჭიროებს გადამოწმებას ან განახლებას;

ვ) სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიერ ჩატარებული სასამართლო სხდომების ვიდეოჩანაწერებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის სურვილის შემთხვევაში.

5. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოსამიებლად დეპარტამენტი იყენებს რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმასა (დანართი №3) და სპეციალურ კითხვარს (დანართი №4). დეპარტამენტმა გამონაკლისის სახით შეიძლება ინფორმაციის მიმწოდებელს დამატებითი შეკითხვებით მიმართოს ან/და ინფორმაციის მისაღებად მის მიმწოდებელთან ზეპირი კომუნიკაცია გამოიყენოს, რაც წერილობით უნდა გაფორმდეს და ინფორმაციის მიმწოდებელმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს.

6. დეპარტამენტი უფლებამოსილია გამოიყენოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ წინა კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ამ მუხლით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე არ საჭიროებს გადამოწმებას ან განახლებას.

7. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოსამიებლად განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და კომუნიკაცია ერთიან შემაჯამებელ ოქმში უნდა აისახოს. დეპარტამენტი ქმნის მოსამართლეობის კანდიდატის პირად საქმეს, სადაც აისახება კანდიდატის შესახებ მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის თავად მოსამართლეობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი.

### **მუხლი 12<sup>3</sup>. ინფორმაციის გაცნობა**

1. დეპარტამენტი მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების დაწყებიდან არაუადრეს 1 კვირისა და არაუგვიანეს 1 თვისა ინფორმაციის მოძიების შედეგებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრების ჩატარებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე უზრუნველყოს მოსამართლეობის



კანდიდატისათვის მის შესახებ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მოსამართლეობის კანდიდატს ასევე უფლება აქვს, გასაუბრების დასრულების შემდეგ ნებისმიერ დროს გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. ინფორმაციის წყარო კონფიდენციალურია. მოსამართლეობის კანდიდატი აღნიშნულ ინფორმაციას ეცნობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას.

3. მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ წერილობით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან/და სათანადო წესით გააბათილოს მის შესახებ მოძიებული მონაცემები.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია მისთვის მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის წარდგენიდან 1 თვის ვადაში სრულყოფილად შეისწავლოს ეს ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები. ამ ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლის დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებას.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან გაეცნონ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას და გაითვალისწინონ დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადაწყვეტილების მიღებისას.

#### **მუხლი 12<sup>4</sup>. ინფორმაციის კონფიდენციალურობა**

1. მოსამართლეობის კანდიდატის პირად საქმეში დაცული ინფორმაცია, გარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებისა, ასევე ინფორმაციის მოძიების შედეგად კანდიდატის შესახებ მიღებული მონაცემები კონფიდენციალურია და მათი რაიმე ფორმით გამჟღავნება დაუშვებელია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები და დეპარტამენტის მოსამსახურეები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია დალუქული ინახება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ დაცულ ადგილას არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

3. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ წინამდებარე წესის შესაბამისად მიღებული/მოძიებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატის შეფასების მიზნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია შეფასების პროცესში გაითვალისწინოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ დეპარტამენტის, ასევე თავად მის მიერ მოძიებული ინფორმაცია.

4. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ წინამდებარე წესის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია ვერ დაედება საფუძვლად კანდიდატის შეფასებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება.

#### **მუხლი 12<sup>5</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვალდებულებები**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ვალდებული არიან:

ა) კონკურსის დროს იხელმძღვანელონ სამართლიანობის პრინციპითა და მართლმსაჯულების ინტერესებით, მხარი დაუჭირონ მოსამართლეობის იმ კანდიდატებს, რომლებიც თავიანთი კვალიფიკაციითა და მორალური თვისებებით სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად შეესაბამებიან მოსამართლის მაღალ წოდებას; არ დაუშვან თვითნებური და დისკრიმინაციული მიდგომების გამოყენება და იმავდროულად გაითვალისწინონ კონკრეტული ვაკანტური ადგილის მიმართ მოსამართლეობის ამა თუ იმ კანდიდატის შესაფერისობა;

ბ) არ დაუშვან ისეთი ინფორმაციის მოძიების მცდელობა, რომელიც არ უკავშირდება წინამდებარე წესით დადგენილი ამა თუ იმ კრიტერიუმით შეფასებას;

გ) არ დაუშვან შესაბამისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება, მათ შორის, ინფორმაციის წყაროს იძულება ან ინფორმაციის ნებაყოფლობითი გაცემის მოთხოვნის სხვაგვარი დარღვევა, ვინმესათვის მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე ცრუ ინფორმაციის

ან/და დადებითი თუ უარყოფითი აზრის წარმოდგენის მოთხოვნა;

დ) ინფორმაციის წყაროებთან კომუნიკაციის დროს არ გამოთქვან თავიანთი აზრი მოსამართლეობის კანდიდატის ღირსება-ნაკლოვანებებზე;

ე) მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე მიღებული თუ მოძიებული ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ მოსამართლის თანამდებობასთან კანდიდატის შესატყვისობის შეფასების მიზნით;

ვ) შესაბამის შემთხვევებში დაიცვან ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობა; ასევე, სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებს, რომლებიც ინფორმაციის მოძიების მიზნით საბჭოს წევრის დავალებებს ასრულებენ.

## **მუხლი 12<sup>6</sup>. კომუნიკაციის შეზღუდვა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში თავი უნდა შეიკავონ მოსამართლეობის კანდიდატთან ინდივიდუალური, განკერძოებული შეხვედრებისაგან, სატელეფონო ან სხვაგვარი კონტაქტებისაგან და *ex parte* (ცალმხრივი) კომუნიკაციისაგან, ასევე იმ პირთა თუ ორგანიზაციებთან *ex parte* (ცალმხრივი) კომუნიკაციისაგან, რომლებსაც სურთ საკუთარი ინიციატივით ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ თუ საზიანოდ ადვოკატირება ან ინფორმაციის გადაცემა. საბჭოს წევრებმა უნდა განუმარტონ თავიანთი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და ახლობლებს მათთან ასეთივე შეხვედრების შეზღუდვის აუცილებლობა.

2. მოსამართლეობის კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან *ex parte* კომუნიკაციისაგან. კანდიდატმა უნდა განუმარტოს თავის მეგობრებს, ნათესავებსა და კოლეგებს, არ მოახდინონ საბჭოს წევრებთან მათ სასარგებლოდ *ex parte* კომუნიკაციის ინიცირება.

3. ამ მუხლით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის განხორციელების ფაქტი მხედველობაში მიიღება მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

## **მუხლი 12<sup>7</sup>. გასაუბრება**

1. მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრება ტარდება ამ წესის მე-8-მე-9 მუხლებში მითითებული კრიტერიუმებით მათი შეფასების მიზნით.

2. მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დახურულ სხდომაზე.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატებთან გასაუბრებას, როგორც წესი, უთმობს დაახლოებით თანაბარ დროს, აძლევს მათ საბჭოს წინაშე საკუთარი თავის წარმოდგენისა და მოტივაციის დასაბუთების შესაძლებლობას. გასაუბრებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან დაუსვან მოსამართლეობის კანდიდატს წინასწარ შემუშავებული, მსგავსი შინაარსის კითხვები, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს პირადად მიიღონ ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, კვალიფიკაციასა და თეორიულ ცოდნაზე, ასევე, იმ ცნობების დაზუსტების შესაძლებლობას, რომლებიც საბჭოს წევრებისთვის ცნობილი გახდა კანდიდატის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შედეგად. საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს კანდიდატი დამატებით გასაუბრებაზე.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია კანდიდატებთან გასაუბრება ჩაატაროს პროფესიონალი ფსიქოლოგის თანდასწრებით, რომელსაც უფლება აქვს შეკითხვები დაუსვას მოსამართლეობის კანდიდატს. ფსიქოლოგი საკუთარ მოსაზრებას მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ გააცნობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, ამასთან, მას არა აქვს უფლება აღნიშნული მოსაზრება გაამჟღავნოს მოსამართლეობის კანდიდატის თანდასწრებით. ფსიქოლოგის მოსაზრებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

## **5. ამოღებულია**

## **მუხლი 12<sup>o</sup>. ინტერესთა შეუთავსებლობა**

1. მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისას მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება, თუ არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის საბჭოს ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას.

2. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს შესაბამისი მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მონაწილეობას ვერ მიიღებს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის პროცედურებში, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, თუ იგი თავად მონაწილეობს მოსამართლის ამ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრაში არ მონაწილეობს საბჭოს ის წევრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება.

## **მუხლი 12<sup>o</sup>. შეფასების შედეგების შეჯამება**

1. გასაუბრების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი ავსებს თითოეული მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფურცელს (დანართები №№5-6), რომელშიც შეიტანება მოსამართლეობის კანდიდატის ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების შედეგები.

2. მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების ფურცლებში შეტანილ ინფორმაციას 3 სამუშაო დღის ვადაში აჯამებს დეპარტამენტი, რის შემდეგაც იგი შეჯამების შედეგებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. შეჯამების შედეგების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მოსამართლეობის კანდიდატს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად.

## **მუხლი 13. ამოღებულია**

## **მუხლი 14. კენჭისყრისა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. მოსამართლეობის კანდიდატთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

1<sup>1</sup>. მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭი ეყრება მხოლოდ იმ მოსამართლეობის კანდიდატს, რომლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია.

1<sup>2</sup>. იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილი პირის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული შერჩევის კრიტერიუმების დაკმაყოფილების თაობაზე.

1<sup>3</sup>. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ეფუძნება თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის, სტაჟირების გავლის, სემინარული მუშაობისა და დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებებს, სტაჟირების ხელმძღვანელისა და სკოლის

მასწავლებელთა შეფასებებს, იუსტიციის მსმენლის მიერ სტაჟირების გავლისას შედგენილი წერილობითი ანგარიშისა და შესრულებული ნაშრომის შეფასებებს, იუსტიციის მსმენლის დისციპლინას.

1<sup>4</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს დანიშნავს, თუ მის კანდიდატურას კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

2. კენჭისყრა ტარდება სპეციალური ბარათების (ბიულეტენების) მეშვეობით, რომლებზეც აღინიშნება კონკრეტულ რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში არსებული ვაკანტური თანამდებობის დასახელება და იმ კანდიდატთა სია, რომლებიც აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში იღებენ მონაწილეობას.

3. თითოეული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ცალ-ცალკე იმართება კენჭისყრა. სასამართლოების რიგითობა განისაზღვრება შემდეგი წესით: თბილისის სააპელაციო სასამართლო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, ბათუმის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოები ანბანის მიხედვით.

4. კენჭისყრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია ბიულეტენში შემოხაზოს მხოლოდ ერთი კანდიდატი.

5. კენჭისყრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ კანდიდატს. შეფასებისას ხელმძღვანელობს ამ წესის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი კანდიდატის შეფასების კრიტერიუმებითა და შეფასებათა სახეებით.

6. თუ კენჭისყრის შედეგად ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხმათა რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს ყველა მათგანი. თუ ხელახალი კენჭისყრისას კვლავ ვერ შეირჩა კანდიდატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განმეორებით აცხადებს კონკურსს საერთო წესის მიხედვით.

7. ყოველი კონკრეტული კენჭისყრის დამთავრებისთანავე ცხადდება კენჭისყრის შედეგი და ფიქსირდება ოქმში. კანდიდატს, რომელიც გაიმარჯვებს კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭისყრისას, სხვა ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭი აღარ ეყრება.

8. კენჭისყრის დამთავრებიდან ორი დღის ვადაში კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო სხვა კანდიდატებს მათ შესახებ კენჭისყრის შედეგების თაობაზე ინფორმაცია ეცნობებათ წერილობით.

### **მუხლი 15. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება**

1. მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარი ფორმდება გადაწყვეტილებით. თანამდებობაზე გამწესების შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლო და ის კოლეგია ან პალატა, სადაც გამწესდება კანდიდატი.

2. მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატს გადაეცემა გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა.

3. მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შემთხვევაში ამ წესის 12<sup>9</sup> მუხლით გათვალისწინებული მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფურცელი და მასში შეტანილი ინფორმაციის შეჯამების შედეგები საჯარო ინფორმაციაა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს მათი ასლები კანონით დადგენილი წესით.

## **მუხლი 16. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება**

1. მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ:

- ა) კონკურსის ჩატარებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო;
- ბ) კონკურსის ჩატარებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო;
- გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა მოსამართლეობის კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;
- დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, არსებითად მცდარია, რის დასადასტურებლადაც მოსამართლეობის კანდიდატმა შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა;
- ე) კონკურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით ჩატარდა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

2. საჩივარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში წარედგინება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც მიღებულ საჩივარს თანდართულ მასალებთან ერთად 3 დღის ვადაში გადასცემს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას.

3. საქმის განხილვის შედეგად უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;
- ბ) მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

4. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის დადგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის აზრით, შესაბამისმა დარღვევამ გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე და გამოიწვია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

5. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით ხელახლა განიხილავს მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ.

6. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საკითხის ხელახლა განხილვის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თაობაზე და კონკურსის შედეგად შესაბამისი თანამდებობა კვლავ ვაკანტურია, მოსამართლეობის კანდიდატი ამ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლედ გამწესდება.

7. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საკითხის ხელახლა განხილვის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თაობაზე და კონკურსის შედეგად შესაბამისი თანამდებობაზე უკვე გამწესებულია სხვა მოსამართლე,

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს მოსამართლეობის კანდიდატის იმავე ან სხვა სასამართლოში დანიშვნა.

8. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ განმეორებით მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

9. თუ კონკურსის შედეგად მოსამართლის თანამდებობა კვლავ ვაკანტურია, მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში ამ თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი გამოცხადდება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემდეგ, ხოლო უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების განმეორებით მიღების შემდეგ.“;

დანართი №1

**მოსამართლეობის კანდიდატის  
გ ა ნ ა ც ხ ა დ ი**

**სასურველი ვაკანსია, ვაკანსიები**

№	ვაკანსიის დასახელება
1.	

**პერსონალური მონაცემები**

სახელი: \_\_\_\_\_

გვარი: \_\_\_\_\_

სახელის/გვარის შეცვლის

შემთხვევაში

მიუთითეთ ძველი

სახელი/გვარი

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

სქესი:

მამრობითი

მდედრობითი

მონიშნეთ

დაბადების თარიღი, ადგილი: / /   \_\_\_\_\_

ოჯახური სტატუსი:

დასაქორწინებელი

განქორწინებული

დაქორწინებული

ქვრივი

სხვა

საქართველოს მოქალაქის

პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

პირადობის მოწმობა/

გაცემის თარიღი: \_\_\_\_\_

ID ბარათი:

მოქმედების ვადა: \_\_\_\_\_

საქართველოს მოქალაქის პასპორტი:	დოკუმენტ. ნომერი:	_____
	გამცემი ორგანო:	_____
	პასპორტის ნომერი:	_____
	გაცემის თარიღი:	_____
	მოქმედების ვადა:	_____
რეგისტრაციის მისამართი:	გამცემი ორგანო:	_____
	ქალაქი/მუნიციპ.: _____	_____
	სოფელი/დაბა:	_____
	ქუჩა/მკრ.რაიონი:	_____
საცხოვრებელი მისამართი:	კორპუსი/ზინა:	_____
	ქალაქი/მუნიციპ.: _____	_____
	სოფელი/დაბა:	_____
	ქუჩა/მკრ.რაიონი:	_____
ტელეფონი:	ბინა:	_____
	მობილური:	_____
ელექტრონული მისამართი:	_____	

**ინფორმაცია განათლების შესახებ**

საშუალო განათლება:	საჯარო/კერძო სკოლა:	_____
	სწავლ. დაწყება:	_____
	სწავლ. დამთავრება:	_____

უმალესი განათლება:	ბ	სასწ. დაწესებულება:	_____
	ა	ფაკულტეტი:	_____
	კ	სწავლ. დაწყება:	_____
	ა	სწავლ. დამთავრება:	_____
	ლ	აკადემიური ხარისხი:	_____
	ა		
	კ		
	რ		
	ი		
	ა		
ტ			
ი			

კვალიფ. დამადასტ.	_____
დოკუმენტის სახე:	_____
გაცემის თარიღი/ნომერი:	_____

მ	სასწ. დაწესებულება:	_____
ა	ფაკულტეტი:	_____
ბ	სწავლ. დაწყება:	_____
ი	სწავლ. დამთავრება:	_____
ს	აკადემიური ხარისხი:	_____
ტ	კვალიფ. დამადასტ.	_____
რ		

ა დოკუმენტის სახე: \_\_\_\_\_  
 ტ გაცემის თარიღი/ნომერი: \_\_\_\_\_  
 უ  
 რ  
 ა

დ სასწ. დაწესებულება: \_\_\_\_\_  
 ო ფაკულტეტი: \_\_\_\_\_  
 ქ სწავლ. დაწყება: \_\_\_\_\_  
 ტ სწავლ. დამთავრება: \_\_\_\_\_  
 ო აკადემიური ხარისხი: \_\_\_\_\_  
 რ დისერტაციის თემა: \_\_\_\_\_  
 ა ხარისხის მიმნიჭებელი  
 ნ აკადემიური საბჭო: \_\_\_\_\_  
 ტ  
 უ  
 რ  
 ა

მიუთითეთ ერთი ან რამდენიმე პროფესორი/პედაგოგი, ვინც ყველაზე უკეთ იცნობს თქვენს აკადემიურ შესაძლებლობებსა და მიღწევებს:

სახელი, გვარი	სამუშაო ადგილი, თანამდებობა	ტელეფონი, ელ. ფოსტა

**სამუშაო გამოცდილება**

შენიშვნა: მიუთითეთ სამუშაო გამოცდილება კვალიფიკაციის მინიჭებამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მუშაობის წლები	თანამდებობა	ორგანიზაცია	ორგანიზაციის მისამართი

შენიშვნა: მიუთითეთ სამუშაო გამოცდილება კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ

მუშაობის წლები	თანამდებობა	ორგანიზაცია/ მისამართი	ხელფასი	უშუალო ხელმძღვ. სახელი/გვარი, ტელ., ელ. ფოსტა	წამოსვლის მიზეზი	საქმიანობის შინაარსი

**დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა**

შენიშვნა: მიუთითეთ ინფორმაცია გავლილი სტაჟირების, ტრენინგების, სემინარების, კურსების, ვორქშოპებისა და ა.შ. შესახებ



თემა	ხანგრძლივობა	ადგილი	ორგანიზაციის დასახელება	დაფინანსების წყარო
------	--------------	--------	-------------------------	--------------------

***იუსტიციის უმაღლესი სკოლა***

სწავლის პერიოდი	სპეციალიზაცია, სკოლის დამამთავრებელი გამოცდის მიხედვით	დამამთავრებელი გამოცდის შეფასება	ადგილი საკვალიფიკაციო სიაში
-----------------	--------------------------------------------------------	----------------------------------	-----------------------------

***ინფორმაცია მიღწევების შესახებ***

ეწევით თუ არა პედაგოგიურ საქმიანობას ან ხართ დიახ არა  
 თუ არა რაიმე სამართლებრივი სალექციო კურსის ავტორი?

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ კურსის დასახელება, უმაღლესი სასწავლებელი, კურსის ხანგრძლივობა)

ხომ არ ხართ ან ყოფილხართ სამართლებრივი დიახ არა  
 ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი ან ხომ არ  
 გაქვთ გამოქვეყნებული სამართლებრივი  
 სტატიები?

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სახელწოდება, გამოცემა, თარიღი)

ხართ თუ არა სამართლებრივი მონოგრაფიის/  
 წიგნის ავტორი ან თანაავტორი? დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სახელწოდება, გამომცემელი, გამოცემის წელი, თანაავტორი)

მოგიმზადებიათ თუ არა სამართლებრივი ან სხვა დიახ არა  
 პროექტი, განგიხორციელებიათ მისი პრეზენტაცია  
 ან გამოსულხართ სამართლებრივი მოხსენებით?

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ პროექტის/პრეზენტაციის/ მოხსენების სახელწოდება, თემა, თარიღი)

ხართ თუ არა რაიმე ჯილდოს ან საპატიო წოდების დიახ არა  
 მფლობელი?

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სახე/მინიჭების თარიღი)

***ენების ცოდნა***

მიუთითეთ ენა	კითხვა	მინიმალური	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
	საუბარი	მინიმალური	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
	წერა	მინიმალური	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი

**კომპიუტერული პროგრამების ცოდნა**

მიუთითეთ კომპ. პროგრამა	მინიმალური	საშუალო	კარგი
-------------------------------	------------	---------	-------

არის თუ არა თქვენი სამსახურებრივი საქმიანობა დაკავშირებული კომპიუტერის ყოველდღიურ სავალდებულო გამოყენებასთან?

დიახ არა

რამდენად ხშირად იყენებთ კომპიუტერს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ყოველდღიურად კვირაში რამდენჯერმე თვეში რამდენჯერმე

**სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება**

სამხედრო ვალდებული: დიახ არა

კადრის ოფიცერი: დიახ არა

საკონტრაქტო/პროფესიული: დიახ არა

რეზერვი: დიახ არა

მონაწილეობა საქართველოს თავდაცვით ბრძოლებში:  
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

ორგანო, სადაც გაიარეთ სამხედრო სამსახური	სამხედრო ნაწილი	წოდება	სამსახურის ადგილი	სამსახურის ვადა	ხელმძღვანელი ოფიცერი

**პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა**

იყავით ან ხომ არ ხართ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი: დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

პოლიტიკური პარტია: \_\_\_\_\_  
წევრობის პერიოდი: \_\_\_\_\_  
თანამდებობა: \_\_\_\_\_

**ხომ არ ხართ რომელიმე დიახ არა**  
**საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი:**  
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

ორგანიზაცია: \_\_\_\_\_  
წევრობის პერიოდი: \_\_\_\_\_  
თანამდებობა: \_\_\_\_\_

**ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ**

როგორ შეაფასებდით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას? ძალიან კარგი    საშუალო  
კარგი    სუსტი

გაქვთ თუ არა რაიმე ქრონიკული ან სხვა დაავადება, მათ შორის მეტყველების, სმენის ან მხედველობის პრობლემები, რომლებიც ხელს შეგიშლით სამოსამართლო მოვალეობების სრულყოფილად განხორციელებაში?  
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ) დიახ    არა

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ხომ არ იყავით საავადმყოფოში მოთავსებული დაზიანების ან სერიოზული გონებრივი თუ ფიზიკური ავადმყოფობის, ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო ან ხომ არ იყავით მოწყვეტილი სამუშაოს ან სხვაგვარად უნარ წართმეული 20 დღეზე მეტის ხნის განმავლობაში?  
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ მიზეზი/ თარიღი და დღევანდელი ვითარება) დიახ    არა

**ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ**

**შენიშვნა:** მიუთითეთ ინფორმაცია მშობლების, მეუღლის, შვილების, და-ძმის, მეუღლის მშობლებისა და მეუღლის და-ძმის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მიუთითეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პირები თქვენთან ერთად არ ცხოვრობენ. ასევე, მიუთითეთ ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც არ არიან თქვენთან ნათესაურ კავშირში, მაგრამ მუდმივად ცხოვრობენ თქვენთან ერთად.

ნათესაური | სახელი, გვარი | დაბად. | სამუშაო ადგილი, | საცხ. მისამართი | ტელეფონი,

კავშირი		თარიღი, ადგილი	თანამდებობა		ელ. ფოსტა

**ინფორმაცია ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ**

სახელი, გვარი	განაჩენის თარიღი	გამომტანი სასამართლო	სსკ-ის მუხლი, სასჯელის სახე და ზომა	ნასამ. მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი

**ინფორმაცია ქონებისა და ბიზნეს აქტივობის შესახებ**

**შენიშვნა:** მიუთითეთ ინფორმაცია მშობლების, მეუღლის, შვილების, და-ძმის, მეუღლის მშობლებისა და მეუღლის და-ძმის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მიუთითეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პირები თქვენთან ერთად არ ცხოვრობენ.

მონაწილეობთ თუ არა თქვენ ან შენიშვნაში მითითებული დიახ არა  
რომელიმე პირი სამეწარმეო საქმიანობაში?

სახელი, გვარი	საწარმოს სახელწოდება, მისამართი, რეგისტრაციის თარიღი	საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა	ბოლო 1 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი

ხართ თუ არა თქვენ ან შენიშვნაში მითითებული რომელიმე დიახ არა  
პირი უძრავი ქონების მფლობელი?

სახელი, გვარი	ქონების სახეობა	ქონების ადგილმდებარეობა, ფართობი

**სამართალწარმოება თქვენს მიმართ**

ხართ თუ არა ნასამართლევი?

დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ განაჩენის თარიღი, გამომტანი სასამართლო, სსკ-ის მუხლი, ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი)

გაქვთ თუ არა ნასამართლობა გაქარწყლებული ან დიახ არა  
მოხსნილი:

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ განაჩენის თარიღი, გამომტანი სასამართლო, სსკ-ის მუხლი, ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი)

---

**ხომ არ ყოფილხართ მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი სასამართლო დავაში:** დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სამართალწარმოებაში თქვენი სტატუსი, გადაწყვეტილების თარიღი, გამომტანი სასამართლო, დავის არსი და შედეგი)

---

**გაქვთ თუ არა ამჟამად რომელიმე ქართული ან უცხოური ბანკის სესხი:** დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ ბანკის დასახელება, სესხის აღების თარიღი, სესხის გასტუმრების თარიღი, სესხის თავდაპირველი და დარჩენილი ოდენობები)

---

**დაგკისრებიათ თუ არა საურავის სესხის გადაუხდელობის გამო:** დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ ბანკის დასახელება, საურავის ოდენობა)

---

**ხომ არ გქონიათ პრობლემები გადასახადის გადაუხდელობის, დაგვიანებით გადახდის ან წარმოქმნილი საურავის გამო:** დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ მიზეზი, ჯარიმის/ საურავის ოდენობა)

---

**ხომ არ ყოფილხართ დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის:** დიახ არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

---

**ხომ არ გქონიათ დაკისრებული დისციპლინური სახდელი:**

დიახ არა  
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ თარიღი, საფუძველი, დაკისრებული სახდელი)

---

**არის თუ არა დისციპლინური სახდელი**

გაქარწყლებული?

დიახ

არა

მოჰყოლია თუ არა თქვენს წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს თქვენი გაფრთხილება, საყვედური, უფლებამოსილების დროებით შეჩერება, გამოსაცდელ ვადაზე გადაყვანა, დაჯარიმება, სავალდებულო ტრენინგზე გაგზავნა, დასჯა, სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა, სამსახურის დატოვება ან სხვა სანქცია თუ ზემოქმედების ღონისძიება?

დიახ

არა

(იგულისხმება სხვა შემთხვევები, რომელიც არ გაქვთ მითითებული წინა შეკითხვის პასუხში)

თვითშეფასება

რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად კარიერაში?

მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი ხედვა ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით:

- მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმებიდან მიუთითეთ სულ მცირე სამი კრიტერიუმი რომელშიც წარმატებულად გრძნობთ თავს.
- რატომ არის მოსამართლედ მუშაობა თქვენთვის მნიშვნელოვანი და რა წარმოდგენა გაქვთ ზოგადად მოსამართლის სტატუსზე.
- თქვენი დანიშვნის შემთხვევაში რა სარგებლის მოტანა შეგიძლიათ სასამართლო სისტემისთვის და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

არსებობს თუ არა პირად ცხოვრებასთან ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სხვა გარემოება ან ინფორმაცია, რომელიც მიგაჩნიათ რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ? (დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

დიახ

არა

*(დამატებითი კითხვები მათთვის, ვისაც გააჩნია მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება)*

ინფორმაცია სამოსამართლო საქმიანობის შესახებ

მოსამართლედ მუშაობის ბოლო 5 წლის განმავლობაში იყავით თუ არა მიცემული დისციპლინურ პასუხისმგებში?

დიახ

არა

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ გადაცდომის სახე, გადაწყვეტილების თარიღი, სახდელის ზომა)

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში ხომ არ ყოფილა თქვენს წინააღმდეგ შეტანილი

დიახ

არა

**საჩივარი არაეთიკური და არაპროფესიონალური ქცევის გამო?**  
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ შინაარსი)

თქვენს მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხილული საქმეები სპეციალიზაციების მიხედვით გამოხატეთ დაახლოებით პროცენტული მაჩვენებლით:

ა) სისხლი	%
ბ) სამოქალაქო	%
გ) ადმინისტრაციული	%

თქვენს მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის ხარისხი გამოხატეთ დაახლოებით პროცენტული მაჩვენებლით, განხილულ საქმეთა რაოდენობასთან მიმართებით:

ა) ძალაში დარჩა	%
ბ) შეიცვალა	%
გ) გაუქმდა	%

**რეკომენდატორები**

**შენიშვნა:** მიუთითეთ რეკომენდატორები (არანაკლებ 3), რომლებთანაც შესაძლებელი იქნება დაზუსტდეს თქვენი კვალიფიკაციისა და სხვა უნარების შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია. გთხოვთ, რეკომენდატორებად ნუ მიუთითებთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

სამსახ. ან პირადი დამოკიდებულება: \_\_\_\_\_

ტელეფონი: \_\_\_\_\_

ელ. ფოსტა: \_\_\_\_\_

მე ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ შევსებული ინფორმაცია არის სწორი და შეესაბამება ჩემს ცოდნასა და რწმენას.

შევსების ადგილი, თარიღი: \_\_\_\_\_

**ხელმოწერა:** \_\_\_\_\_

დანართი №2

**მოსამართლეობის კანდიდატის თანხმობა  
კვალიფიკაცია, კომპეტენცია, პირადი და პროფესიული კეთილსინდისიერება**

ვალდარებ და ვადასტურებ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წარმომადგენლებს უფლება აქვთ გადაამოწმონ მოსამართლეობის კანდიდატობის თაობაზე ჩემი განაცხადით წარდგენილი ინფორმაციისა და სხვა დოკუმენტაციის სიზუსტე და სისრულე.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ საბჭოს გააჩნია ჩემი კეთილსინდისიერებისა და პროფესიული კვალიფიკაციის სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება ჩემი პირადი და პროფესიული ღირსების პატივისცემის დაცვით. ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ ასეთი გამოკვლევის განხორციელებისას, საბჭოს წარმომადგენლები შეიძლება დაუკავშირდნენ და

გაესაუბრონ სხვადასხვა პირებს, მათ შორის, ყოფილ და ამჟამინდელ კოლეგებსა და თანამშრომლებს, დამქირავებლებს, ყოფილ და ამჟამინდელ სამუშაო ხელმძღვანელებს, საბანკო დაწესებულებებს, სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, სახელისუფლო დაწესებულებებისა და დისციპლინური ორგანოების აპარატის მოხელეებს, სამართლის პედაგოგებსა და სხვა პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ამა თუ იმ ინსტიტუტებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოხსენიებული მაქვს წინამდებარე განაცხადში, ასევე გამოითხოვენ ჩემი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმ სამეწარმეო სუბიექტისგან, რომელიც საქმიანობს საკრედიტო ინფორმაციის სფეროში. (27.03.2017 N1/33)

მე სახელდებით ვაძლევ საბჭოს და მისი სახელით მოქმედ კომპეტენტურ პირებს ნებართვას, დაუკავშირდნენ და ინტერვიუ ჩამოართვან ყველა იმ პირს, რომლებიც საბჭოს შესაბამისად მიაჩნია ჩემი კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პატიოსნების გამოსაკვლევად. მე სპეციალურად ვრთავ ნებას ყველა პირს, გულწრფელად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას და უზრუნველყოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ინფორმაცია პერსონალური ან კონფიდენციალური.

### **კონფიდენციალურობა**

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ ჩემი განაცხადის მხარდასაჭერად წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები, ისევე როგორც საბჭოს მიერ გამოკვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაცია, ასევე სხვა პირებისა თუ დაწესებულებების მიერ საბჭოსათვის გადაცემული ინფორმაცია იქნება კონფიდენციალური და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ სამოსამართლო თანამდებობაზე ჩემი შესატყვისობის შემოწმების მიზნით, რომლის დასაკავებლადაც მე საბჭოს მივმართე.

მე ასევე ვეთანხმები, რომ საბჭო მიიღებს ყველა საჭირო ზომას ჩემი პერსონალური მონაცემების დასაცავად, სულ მცირე იმ ხარისხით, რომელიც გამომდინარეობს პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისაგან ინდივიდების დაცვის თაობაზე ევროპული კონვენციის პრინციპების გამოყენებიდან, და რომ მხოლოდ საბჭოს წევრებსა და მისი მხრიდან სათანადოდ ავტორიზებულ პირებს ექნებათ ჩემი პერსონალური მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობა.

თარიღი: -----

ხელმოწერა: -----

დანართი №3

### **კონფიდენციალური რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ესაჭიროება თქვენი შეფასება მოსამართლეობის კანდიდატთან დაკავშირებით. გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე რეკომენდაცია და დაუბრუნოთ იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა: ტექსტი უნდა შეივსოს ქართული ანბანით, 11-იანი შრიფტით

რეკომენდატორის სახელი, --  
გვარი: \_\_\_\_\_

რეკომენდატორის --  
თანამდებობა: \_\_\_\_\_

რეკომენდატორის ტელეფონი, --  
ელექტრონული ფოსტა: \_\_\_\_\_



მოსამართლეობის კანდიდატის სახელი, გვარი: -- \_\_\_\_\_

საიდან და რამდენი ხანია იცნობთ მოსამართლეობის კანდიდატს? -- \_\_\_\_\_

მის პირად თვისებებს: --არ იცნობთ -- იცნობთ საშუალოდ -- იცნობთ კარგად  
მის პროფესიულ კვალიფიკაციას: --არ იცნობთ -- იცნობთ საშუალოდ -- იცნობთ კარგად

გთხოვთ, მოსამართლეობის კანდიდატი შეაფასოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კეთილსინდისიერება

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი
- 

- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა
- 

- პიროვნული და პროფესიული ქცევა
- 

- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია
- 

კომპეტენტურობა

- სამართლის ნორმების ცოდნა
- 

- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია
- 

- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი
- 

- პროფესიული თვისებები
- 

- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა
- 

- პროფესიული აქტივობა
- 

გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ დამატებით შეკითხვებს:

დაასახელეთ კანდიდატის ყველაზე გამორჩეული დადებითი თვისებები: -- \_\_\_\_\_

დაასახელეთ კანდიდატის სისუსტეები და ნაკლოვანებები: -- \_\_\_\_\_

როგორ შეაფასებდით მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატის შესაბამისობას? \_\_\_\_\_

თარიღი:

ხელმოწერა:

დანართი №4

კონფიდენციალური სპეციალური კითხვარის ფორმა

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ესაჭიროება თქვენი პასუხები მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად. გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე კითხვარი და დაუბრუნოთ იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა: ტექსტი უნდა შეივსოს ქართული ანბანით, 11-იანი შრიფტით

რესპოდენტის სახელი, გვარი: --

დაწესებულება: --

მოსამართლეობის კანდიდატის სახელი, გვარი: --

--მოსამართლეობის აღნიშნულ კანდიდატთან ბოლო პერიოდში არ მქონია ურთიერთობის რაიმე გამოცდილება და არ მაქვს კომენტარის გაკეთების სურვილი.

საიდან და რამდენი ხანია იცნობთ მოსამართლეობის კანდიდატს? --

მის პირად თვისებებს: --არ იცნობთ -- იცნობთ საშუალოდ -- იცნობთ კარგად

მის პროფესიულ კვალიფიკაციას: --არ იცნობთ -- იცნობთ საშუალოდ -- ცნობთ კარგად

ის არის თქვენი: --ყოფილი ან ამჟამინდელი თანამშრომელი

(შესაძლებელია ორი ან მეტი გრაფის აღნიშვნა) --კოლეგა -- ყოფილი სტუდენტი

--სხვა --  
(დააკონკრეტეთ)

გთხოვთ, მოსამართლეობის კანდიდატი შეავსოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კეთილსინდისიერება

1. პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას, სიმართლისმოყვარეობა:

--არ აკმაყოფილებს -- აკმაყოფილებს -- სრულად აკმაყოფილებს -- მიჭირს შეფასება

2. პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, ასევე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა:

--არ აკმაყოფილებს -- აკმაყოფილებს -- სრულად აკმაყოფილებს -- მიჭირს შეფასება

3. თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დაგები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა, სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას:

--არ აკმაყოფილებს -- აკმაყოფილებს -- სრულად აკმაყოფილებს -- მიჭირს შეფასება

4. საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი:

--არ აკმაყოფილებს -- აკმაყოფილებს -- სრულად აკმაყოფილებს -- მიჭირს შეფასება

### კომპეტენტურობა

1. მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) ცოდნის დონე:

--ცუდი -- მინიმალური -- საშუალო -- კარგი -- ძალიან კარგი -- მიჭირს შეფასება

2. ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა:

--ცუდი -- მინიმალური -- საშუალო -- კარგი -- ძალიან კარგი -- მიჭირს შეფასება

3. აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა:

--ცუდი -- მინიმალური -- საშუალო -- კარგი -- ძალიან კარგი -- მიჭირს შეფასება

4. პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები:

--ცუდი -- მინიმალური -- საშუალო -- კარგი -- ძალიან კარგი -- მიჭირს შეფასება

5. სიახლეების მიმართ ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება:

--ცუდი -- მინიმალური -- საშუალო -- კარგი -- ძალიან კარგი -- მიჭირს შეფასება

6. ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება:

--ცუდი -- მინიმალური -- საშუალო -- კარგი -- ძალიან კარგი -- მიჭირს შეფასება

თარიღი:

ხელმოწერა:

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ----- შეფასების შედეგი:  
(სახელი, გვარი)

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		--
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		--
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		--
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა		25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია		25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი		20
პროფესიული თვისებები		15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა		10
პროფესიული აქტივობა		5
<b>ქულათა ჯამი</b>		<b>100</b>

თარიღი:

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ----- შეფასების შედეგი:  
(სახელი, გვარი)

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		--
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		--
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		--
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა		20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია		20

წერის უნარი		20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი		15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში		15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა		5
პროფესიული აქტივობები		5
<b>ქულათა ჯამი</b>		<b>100</b>

თარიღი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N1/456 2009 წლის 8 დეკემბერი ქ. თბილისი

სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის  
ფორმათა დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 201-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 367-ე მუხლის, 373-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის თანდართული ფორმები:

- ა) სარჩელი სამოქალაქო საქმეზე (დანართი 1);
- ბ) მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე (დანართი 2);
- გ) სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე (დანართი 3);
- დ) სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე (დანართი 4);
- ე) საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე (დანართი 5);
- ვ) საკასაციო პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე (დანართი 6);
- ზ) სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 7);
- თ) მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 8);
- ი) სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 9);
- კ) სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 10);
- ლ) საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 11);
- მ) საკასაციო პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 12).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმათა ნიმუშების დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 16 იანვრის N1/6 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

*ვალერი ცერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

#1/200

2010 წლის 8 ნოემბერი

ქ. თბილისი

სასამართლოში სამართალდამრღვევის დაკავების ოქმის, სასამართლო სხდომის დარბაზში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის დაკავების ოქმის, სასამართლოში დაკავებული სამართალდამრღვევის პოლიციისათვის გადაცემის, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის პოლიციისათვის ან ბადრაგირების დანაყოფისათვის გადაცემის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის, „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს:

- ა) სასამართლოში სამართალდამრღვევის დაკავების ოქმი (დანართი №1);
- ბ) სასამართლო სხდომის დარბაზში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის დაკავების ოქმი (დანართი №2);
- გ) სასამართლოში დაკავებული სამართალდამრღვევის პოლიციისათვის გადაცემის, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის პოლიციისათვის ან ბადრაგირების დანაყოფისათვის გადაცემის ოქმი (დანართი №3).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასამართლოში სამართალდამრღვევის დაკავების ოქმის, სასამართლო სხდომის დარბაზში ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის დაკავების ოქმის, არაიდენტიფიცირებული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ოქმის, სასამართლოში დაკავებული სამართალდამრღვევის პოლიციისათვის გადაცემის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის პოლიციისათვის ან ბადრაგირების დანაყოფისათვის გადაცემის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 14 მაისის №1/94-2007 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2010 წლის 22 ნოემბრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

# სასამართლო სამართალდამრღვევის დაკავების ოქმი

№-----

„-----“ „-----“ 201- წ. -----

ოქმის შედგენის ადგილი

სასამართლოს მანდატურის თანამდებობა, სახელი, გვარი

ცნობები დაკავებული პირის შესახებ: ა)-----

სახელი, გვარი

ბ)-----

მისამართი

გ)----- დ)-----

დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია, № და პირადი №

ე)-----

დაკავების დრო (საათი, წუთი)

დაკავების ადგილი: ა)სასამართლო

ბ)სასამართლო სხდომის დარბაზი

დაკავების საფუძველი: ა)სხდომის თავმჯდომარის მითითება

ბ)სასამართლოში წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატა შემდეგში: -----

-----  
-----  
-----  
-----  
-----

გ)სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა რაც გამოიხატა შემდეგში: -----

-----  
-----

დ)სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა შემდეგში: -----

-----  
-----  
-----  
-----



**სასამართლო სხდომის დარბაზში აღმინისტრაციული  
სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და  
მსჯავრდებულის დაკავების ოქმი**

№-----

### ინსტრუქცია სასამართლოს მანდატურებისათვის

ეს ოქმი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ, ბრძანება (დადგენილება, განჩინება) თავისუფლებაში მყოფი ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის შესახებ ან განაჩენი (განჩინება) თავისუფლებაში მყოფი ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის, მსჯავრდებულისათვის) სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშნის შესახებ და ამ პირთა ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში (ჰაუპტვახტი) ან სასჯელადსრულების დაწესებულებაში დაუყოვნებლივ ეტაპირება შეუძლებელია პოლიციის უფლებამოსილი მოსამსახურის ან ბადრაგირების დანაყოფის უფლებამოსილი პირების სასამართლოში არყოფნის

სასამართლოში დაკავებული სამართალდამრღვევის პოლიციისათვის გადაცემის, აღმინისტრაციული  
სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის პოლიციისათვის ან  
ბაღრაბირების დანაშაულისათვის გადაცემის ოქმი

№-----

„-----“ „-----“ 201- წ.

ოქმის შედგენის ადგილი და დრო (საათი, წუთი)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N1/69 2011 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის

## დამტკიცების შესახებ

1. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმა - მანტია დანართის შესაბამისად.

2. ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმით - მანტიით მოსამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა განხორციელდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ გადაწყვეტილების ამოქმედების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/211-2007 გადაწყვეტილება 2012 წლის 1 იანვრიდან.

5. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2011 წლის 11 აპრილიდან.

*ვალერი ცერცვაძე*

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

### მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმა – მანტია

საქმის სასამართლო განხილვაში მოსამართლე მონაწილეობს განსაკუთრებული ჩაცმულობით – მანტიით.

მანტია არის სწორი სილუეტის, იატაკიდან 20 სმ-ით დაცილებული. კალთა და ზურგი დამუშავებულია კოკეტკებით, კოკეტკის ქვემოთ კალთაზე თითოეულ მხარეს სამ-სამი ნაკეცით, ზურგზე შუაში ერთი შემხვედრი ნაკეცით, ხოლო გვერდებზე ორი შემხვედრი და თითო განიერი ნაკეცით.

კალთისა და ზურგის კოკეტკა სახელოს ჩაკერების ადგილას გაფორმებულია 4 სმ-იანი დაგოფრილი დეტალით. სახელო ჩაკერებულია ნაკეცებით, ერთი შემხვედრი ნაკეცი შუაში და თითო-თითო აქეთ-იქეთ. სახელოს ბოლო დამუშავებულია 7 სმ-ის სიგანის მანჟეტით.

მანტია იკვრება ფარული ღილით და ღილკილოთი, საყელო დგარი. მანტიას ახლავს ორი ცალი თეთრი საყელო, რომელიც გაფორმებულია წითელი კანტით. მანტიის საყელო მაგრდება ღილით და ღილკილოთი.

მანტია იკვრება აბრეშუმის ტიპის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობაა: 63%(+/- 2%) პოლიესტერი, 32%(+/- 2%) ვისკოზა, 5%(+/- 2%) ელასტინი (ლიკრა), ქსოვილის გრამაჟი 220-250 გრ/მ<sup>2</sup>.

მანტიის ფერია მუქი შავი.

დანართი 11

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

N1/126

2011 წლის 20 სექტემბერი

ქ. თბილისი

**ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე**

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების თანდართული წესი.
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2011 წლის 1 ოქტომბრიდან.

**ვალერი გერცვაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმადლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2011 წლის 20 სექტემბრის №1/126 გადაწყვეტილებით

**ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ეს წესი განსაზღვრავს ნაფიცი მსაჯულისათვის (მსაჯულობის კანდიდატისათვის) ანაზღაურებადი ხარჯების ჩამონათვალს, მათ ოდენობასა და გადახდის ფორმას.
2. ამ წესის მიზანია ნაფიც მსაჯულთა (მსაჯულობის კანდიდატთა) მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას წარმოქმნილი ხარჯების ანაზღაურება.

**მუხლი 2. ანაზღაურებადი ხარჯები**

ნაფიც მსაჯულსა და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს აუნაზღაურდება მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯები.

**მუხლი 3. დღიური ხარჯი**

1. დღიური ხარჯი მოიცავს ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის კვების ხარჯებს.
2. კვების ხარჯის დღიური ნორმა განისაზღვრება 15 ლარის ოდენობით.
3. დღიური ხარჯის ანაზღაურების ნაცვლად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის დღეს მსაჯულობის კანდიდატის, ასევე უფლებამოსილების განხორციელებისას ნაფიცი მსაჯულის კვება შესაძლებელია უზრუნველყოს შესაბამისმა სასამართლომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნორმის ფარგლებში.

**მუხლი 4. სამგზავრო ხარჯები**

1. სამგზავრო ხარჯი მოიცავს ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის მგზავრობის ხარჯებს საცხოვრებელი ადგილიდან საქმის განმხილველ სასამართლომდე (ორმხრივი მგზავრობა).
2. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯული ან მსაჯულობის კანდიდატი ცხოვრობს იმ თვითმმართველ ქალაქში, სადაც მდებარეობს საქმის განმხილველი სასამართლო, მგზავრობის ხარჯი ანაზღაურდება 5 ლარის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო უზრუნველყოფს ნაფიცი მსაჯულების გადაყვანას საგანგებოდ გამოყოფილი ტრანსპორტით მათი საცხოვრებელი ადგილიდან შესაბამის სასამართლომდე და უკან.

3. ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში მგზავრობის შემთხვევაში, სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება 15 ლარის ოდენობით.

4. ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მგზავრობის შემთხვევაში, სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება 25 ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, ქალაქ რუსთავისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებიდან მგზავრობის, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, ქალაქ თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებიდან მგზავრობის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის, საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია გულისხმობს „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულის საქმეებზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ტერიტორიას.

#### **მუხლი 5. სხვა პირდაპირი ხარჯები**

1. სხვა პირდაპირი ხარჯები მოიცავს საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯს.

2. ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასამართლოს სისტემის სარგებლობაში არსებული შესაბამისი მატერიალური ბაზა, რა დროსაც ანაზღაურდება მხოლოდ დღიური და სამგზავრო ხარჯები.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულს აუნაზღაურდება საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი, ხოლო მე-4 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - საცხოვრებელი ფართობის დაქირავების საჭიროების აუცილებლობისას. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი აუნაზღაურდება საჭიროების შემთხვევაში.

4. ნაფიც მსაჯულსა და მსაჯულობის კანდიდატს საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი აუნაზღაურდება 60 ლარის ოდენობით, ხოლო თბილისის ან ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას - 75 ლარის ოდენობით.

#### **მუხლი 6. ხარჯების ანაზღაურება**

1. სასამართლოს მენეჯერი სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს დაუყოვნებლივ უგზავნის ინფორმაციას სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ ნაფიც მსაჯულთა (მსაჯულობის კანდიდატთა) შესახებ, მათთვის ასანაზღაურებელი თანხის მითითებით. აღნიშნულ ინფორმაციას უნდა დაერთოს ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიშის ნომერი.

2. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ხარჯების ანაზღაურებას ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის მიერ მოვალეობის შესრულების დღეს. საბანკო ანგარიშის არქონის შემთხვევაში ნაფიცი მსაჯული (მსაჯულობის კანდიდატი) ვალდებულია, არაუგვიანეს ერთი თვისა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წარუდგინოს საბანკო ანგარიშის ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ხარჯები არ ანაზღაურდება.

**დანართი 12**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**№1/127**

**2011 წლის 20 სექტემბერი**

**ქ. თბილისი**

**საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების თანდართული წესი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საზღვარგარეთ მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/233 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2011 წლის 10 ოქტომბრიდან.

**ვალერი ცერცვაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

**დამტკიცებულია**  
**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**  
**2011 წლის 20 სექტემბრის N 1/127 გადაწყვეტილებით**

**საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი**

**მუხლი 1.**

1. საერთო სასამართლოს მოსამართლისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურება და ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების დროს სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმების განსაზღვრა ხდება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ წესის მე-2 მუხლის, მე-3 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-8 პუნქტის პირველი წინადადების, მე-9, მე-10 (გარდა ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-11, მე-13, მე-14 (გარდა ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-15, მე-16, 23-ე, 24-ე, 27-ე, 28-ე პუნქტებისა და „ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების დროს სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ (დანართი №1) შესაბამისად.

2. ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯები არ ანაზღაურდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინებისას.



## **მუხლი 2.**

1. საერთო სასამართლოს მოსამართლის ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების შემთხვევაში სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება დღეში 20 ლარის ოდენობით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფს საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვას, მათ მიეცემათ მხოლოდ ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული დანამატი.

3. მივლინების დამთავრებიდან:

ა) არა უგვიანეს 60 დღისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა საერთო სასამართლოს მოსამართლემ და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები, ხოლო ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულმა თანამდებობის პირებმა დაწესებულებას ასევე უნდა წარუდგინონ ამავე მუხლით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები;

ბ) არა უგვიანეს 1 თვისა, ქვეყნის შიგნით მივლინებიდან დაბრუნებულმა საერთო სასამართლოს მოსამართლემ და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები.

4. ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს ამავე მუხლით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული ხარჯები შესაძლებელია აუნაზღაურდეთ შესაბამისი საბუთების ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენის შემთხვევაშიც.

## **მუხლი 3.**

ამ წესის პირველი მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირების მივლინების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის მივლინების საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ბ) რაიონული (საქალაქო), სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის მივლინების საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

## **მუხლი 4.**

1. ამ წესით დადგენილი მივლინების საკითხის განხილვის საფუძველი შეიძლება იყოს მიმწვევი მხარის მიერ ოფიციალური წესით გამოგზავნილი სამივლინებო მიწვევა, რომელიც უნდა იყოს ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და დადასტურებული შესაბამისი უწყების (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს) საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფის მიერ.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი საფინანსო სამსახურის დასკვნისა და მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მივლინების საკითხის განმხილველი პირების სათანადო ვიზის/რეზოლუციის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს შესაბამისი საკადრო საკითხთა სამსახური, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამივლინებო მიწვევის საფუძველზე, ამზადებს ბრძანების პროექტს. მასში სრულად უნდა მიეთითოს მივლინების ადგილი და ხანგრძლივობა. ბრძანება ძალაში შედის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერისთანავე.

3. სამივლინებო ხარჯების სრულად და შეუფერხებლად ანაზღაურების მიზნით, ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ბრძანების ასლი, როგორც წესი, მივლინებაში გამგზავრებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე წარედგინება შესაბამის საფინანსო სამსახურს.

4. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მივლინების ვადის გაგრძელება ხდება ამ წესის შესაბამისად.

**მუხლი 5.**

1. ამ წესით გათვალისწინებული მივლინების შემთხვევაში, სამივლინებო დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ხოლო სამივლინებო დელეგაციაში მათი არყოფნის შემთხვევაში მივლინების საკითხის განმხილველი პირის ბრძანებით - დელეგაციის ერთ-ერთი წევრი.

2. სამივლინებო დელეგაცია მივლინების დაწყებამდე ხვდება მივლინების საკითხის განმხილველ (ან მის მიერ უფლებამოსილ) პირს, რა დროსაც განიხილება მივლინების ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებები და მასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები.

3. მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ სამივლინებო დელეგაციის ხელმძღვანელი, ან მისი დავალებით სამივლინებო დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ამზადებს წერილობით ანგარიშს, სადაც აისახება მივლინების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგები. აღნიშნული წერილობითი ანგარიში და მივლინების ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარედგინება მივლინების საკითხის განმხილველ პირს.

**მუხლი 6.**

1. საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

№	მოსამსახურეთა თანამდებობრივი დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტებით
1	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	100
2	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	90
3	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	85
4	საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი	80
5	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	80
6	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრი	75
7	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი (გარდა ამ ცხრილის პირველი-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოსამართლეებისა)	75
8	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	70
9	რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე	60
10	საერთო სასამართლოს მოსამართლე	40

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილის, უზენაესი სასამართლოს წევრის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მივლინების პირველ სამ დღეზე სადღეღამისო ნორმის დანამატი (თითოეულ დღეზე) განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის - 300 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამის ვალუტაში;

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილის, უზენაესი სასამართლოს წევრისა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის - 150 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამის ვალუტაში.

## **მუხლი 7.**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეს, უზენაესი სასამართლოს წევრს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეულ/დანიშნულ წევრს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას მგზავრობისა და სასტუმროში დაქირავებული ნომრის ღირებულება აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით, წლიური საბიუჯეტო კანონით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ წესის მე-3 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მივლინების შემთხვევაზე.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აუნაზღაურდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, წლიური საბიუჯეტო კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 79<sup>3</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების, საშტატო ნუსხისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/205-2007 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2012 წლის 26 იანვრიდან.

### **პ. გერცვაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

## საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### **მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო**

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს, მართვის ორგანიზაციას, სტრუქტურას და კომპეტენციას, სახელმწიფო კონტროლის ფორმასა და ფარგლებს, საფინანსო საქმიანობის საფუძვლებს.

### **მუხლი 2. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**

1. დეპარტამენტი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს.

2. დეპარტამენტის სრული დასახელებაა „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“. დეპარტამენტი უფლებამოსილია გამოიყენოს დეპარტამენტის შემოკლებული დასახელება: „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“. დეპარტამენტის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ბეჭდებზე, ბლანკებზე, აბრეშებზე, სიმბოლიკაზე, ოფიციალურ დოკუმენტებზე, ვებგვერდზე, დეპარტამენტის თანამშრომლის სამსახურებრივ მოწმობასა და სხვა ნებისმიერ რეკვიზიტზე გამოყენებული დეპარტამენტის დასახელება დასაწყისში უნდა მოიცავდეს მითითებას „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“.

3. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით, ამ დებულებით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სამართლებრივი აქტებით.

4. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე.

5. დეპარტამენტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში და უფლებამოსილია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ.

6. დეპარტამენტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები, სიმბოლიკა, რომელსაც ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

7. დეპარტამენტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32.

### **მუხლი 3. დეპარტამენტის საქმიანობის საგანი და მიზნები**

1. დეპარტამენტი სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

2. დეპარტამენტის მიზნებია:

- ა) საერთო სასამართლოების საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება;
- ბ) საერთო სასამართლოთა საქმიანობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა გეგმური განაწილება, განკარგვა და მათი ხარჯვის კონტროლის განხორციელება;
- გ) საერთო სასამართლოების სათანადო შენობა-ნაგებობებით უზრუნველყოფა;
- დ) საერთო სასამართლოების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა;
- ე) მოსამართლეთა და საერთო სასამართლოების აპარატის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.

### **მუხლი 4. დეპარტამენტის ფუნქციები**

თავისი საქმიანობისა და მიზნების განხორციელების მიზნით დეპარტამენტი:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტს და განსახილველად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარუდგენს ანგარიშს საერთო სასამართლოების საბიუჯეტო პრინციპების, საერთო სასამართლოების ბიუჯეტის ხარჯვისა და სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;

გ) განკარგავს ფინანსებს საერთო სასამართლოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

დ) საერთო სასამართლოების დაფინანსების ფარგლებში გეგმავს და ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ<sup>1</sup>) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებით, ახორციელებს მონიტორინგს აღნიშნული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით;

ე) ადგენს კვარტალურ და წლიურ საფინანსო და სტატისტიკურ ანგარიშებს;

ვ) ამოღებულია;

ზ) ამოღებულია;

ზ<sup>1</sup>) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას, ადაპტირებული სერვისებისა და პროგრამების შეთავაზებას;

თ) მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორგანიზებას უკეთებს სასწავლო კურსებისა და სემინარების ჩატარებას სპეციალიზებული და თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენების სფეროში;

თ<sup>1</sup>) უზრუნველყოფს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფინანსურ მხარეს, ამ მიზნით განკარგავს შესაბამის ფინანსებს და ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ო) სასამართლოთა საჭიროების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს იურიდიული ლიტერატურის, სტატისტიკური კრებულებისა და ბიულეტენების, ასევე სხვა მასალების გამოცემას;

კ) განიხილავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე საერთო სასამართლოების წერილობით ან/და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებულ მოთხოვნებს და ოპერატიულად აცნობებს მათ არგუმენტირებულ ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;

ლ) უზრუნველყოფს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარეს;

მ) ახორციელებს საერთო სასამართლოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

### **მუხლი 5. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა**

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის თავმჯდომარე. დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები.

2. დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს 3 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით.

3. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კურირებენ დეპარტამენტში მათთვის მიკუთვნებულ სფეროებს. მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება თავმჯდომარის ბრძანებით.

4. დეპარტამენტის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბრძანების საფუძველზე ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო მოადგილეების არყოფნისას - დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

### **მუხლი 6. დეპარტამენტის თავმჯდომარე**

დეპარტამენტის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს დეპარტამენტს და შეუძლია დეპარტამენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება;

ბ) კანონმდებლობისა და ამ დებულების ფარგლებში ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

გ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონების, სხვა ნორმატიული აქტების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, რომლებიც განეკუთვნება დეპარტამენტის უფლებამოსილებების სფეროს;

დ) დეპარტამენტის სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დებს გარიგებებს;

ე) ამტკიცებს დეპარტამენტის შინაგანაწესს;

ვ) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვას, საშტატო განრიგს, სახელფასო ფონდს, მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობას;

ზ) ამტკიცებს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებსა და დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

თ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობაზე კონტროლს და მეთოდურ ხელმძღვანელობას;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის მოსამსახურეებს, მათ მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

კ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს;

ლ) დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი აქტების სრულყოფის მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადებას და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენას;

მ) შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის შესახებ, რომელიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;

ნ) ყოველწლიურად წარუდგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოსამართლეთა კონფერენციას;

ო) უფლებამოსილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას სათათბირო ორგანოები – კოლეგია, კომისია და სხვა, განსაზღვროს მათი შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და სხვა ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ჟ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

### **მუხლი 7. დეპარტამენტის სტრუქტურა**

1. დეპარტამენტი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

2. დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველო;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

გ) საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო;

დ) სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო;

ე) ადმინისტრაციული სამმართველო;

ე<sup>1</sup>) იურიდიული სამმართველო;

ვ) საერთო სასამართლოების არქივი;

ზ) ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველო;

თ) ლოჯისტიკის სამსახური.

### **მუხლი 8. დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველო**

დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველო:

ა) ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტის ფორმირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში მართლმსაჯულების განხორციელების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სწორ დაგეგმარებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა გეგმურ განაწილებას, კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშების მომზადებას, მონაწილეობას იღებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხარჯების გეგმის შედგენაში;

გ) შეიმუშავებს საერთო სასამართლოებისათვის საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის ძირითად პრინციპებს;

დ) დადგენილი წესით აღრიცხავს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს;

ე) ახორციელებს სხვა შესაბამის ღონისძიებებს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

### **მუხლი 9. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო**

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო:

ა) ახორციელებს დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების შენობა-ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ტექნიკური გადაიარაღებისა და სამშენებლო პროცესების ორგანიზებას და მიმდინარეობის კონტროლს, შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციების მომზადებას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების შენობა-ნაგებობების ტექნიკურ მომსახურებას;

გ) უზრუნველყოფს დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართულ მდგომარეობასა და საწვავის მიწოდებას, დადგენილი წესის შესაბამისად.

### **მუხლი 10. საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო**

1. საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო თავის საქმიანობას ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით;

ბ) საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის მოსამსახურეთა ხელფასების დარიცხვა და დროულად გაცემის უზრუნველყოფა;

გ) ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებაში მონაწილეობა, ინვენტარიზაციის შედეგებისა და აღრიცხვაში ასახვის დროული განსაზღვრა, ბუღალტრული ანგარიშების შედგენა, ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთა ნუსხების, მათი გაანგარიშებისა და სხვა საბუთების შენახვა.

### **მუხლი 11. სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**

სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება უზრუნველყოფს დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

### **მუხლი 12. ადმინისტრაციული სამმართველო**

ადმინისტრაციული სამმართველო:

ა) ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, საკადრო რესურსების ოპტიმიზაციასა და მართვას, საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, დისციპლინური წესით დასჯისა და წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ წინადადებებისა და ბრძანების პროექტების მომზადებას; დეპარტამენტის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენას, წარმოებას, მონაცემთა ბაზის შექმნას და სისტემატიზაციას;

გ) შეიმუშავებს დეპარტამენტის შინაგანაწესს;

დ) წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების/ინდიკატორების შესაბამისად უზრუნველყოფს თანამშრომელთა შეფასების, მოტივაციის და ანგარიშგების სისტემების შემუშავებას, დანერგვას, პერიოდულ განახლებას;

ე) უზრუნველყოფს სამუშაოს აღწერილობების შემუშავებას, ანალიზს, პერიოდულ განახლებას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების, აგრეთვე სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;



ზ) უზრუნველყოფს დეპარტამენტში ოფიციალურად შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტის წინაშე დასმული ამოცანებისა და საკითხების შესწავლა-ანალიზსა და განხილვაში მონაწილეობას;

ი) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას იღებს დეპარტამენტის სისტემაში შექმნილი კომისიების/სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში;

კ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ანგარიშების, პრესრელიზების მომზადებასა და გამოქვეყნებას, დეპარტამენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებას და პიარკამპანიის დაგეგმვას, დეპარტამენტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირებას, ღონისძიებების ფოტო და ვიდეოგადაღებას;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

მ) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით და დეპარტამენტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

### **მუხლი 12<sup>1</sup>. იურიდიული სამმართველო**

იურიდიული სამმართველო:

ა) ახორციელებს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების იურიდიულ კონსულტირებას;

ბ) უზრუნველყოფს დეპარტამენტში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებებისა და სხვა დოკუმენტების მომზადებას, სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და დეპარტამენტის სამართლებრივ აქტებთან;

გ) ახორციელებს დეპარტამენტის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში;

დ) ამზადებს დეპარტამენტის მიერ სასამართლოში წარსადგენ საპროცესო დოკუმენტაციას (სარჩელს, განცხადებას, შუამდგომლობას, შესაგებელს, საჩივარს და ა.შ) და უზრუნველყოფს მათ წარდგენას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში;

ე) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციას და ახდენს მასზე შესაბამის რეაგირებას;

ვ) მონაწილეობას იღებს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ძირითადი ქონების, საბრუნავი საშუალებებისა და სხვა მატერიალური ფასეულობის, კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგვისათვის სათანადო პროცედურების განხორციელებაში;

ზ) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს დეპარტამენტის სისტემაში შექმნილი კომისიების/სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში;

თ) უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებას და რეკომენდაციების წარდგენას დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის;

ი) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით და დეპარტამენტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

### **მუხლი 13. საერთო სასამართლოების არქივი**

საერთო სასამართლოების არქივი:

ა) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების ერთიანი საარქივო ფონდის კანონმდებლობით დადგენილი ვადით შენახვას, ცენტრალიზებულ აღრიცხვა-აღწერას, დაცვას და სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნით გამოყენებას;

ბ) საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საარქივო საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით.

### **მუხლი 14. ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველო**

ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველო:

ა) საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის ერთიანი კომპიუტერული ქსელის ტექნიკური ექსპლუატაციის მიზნით ახორციელებს მრავალწერტილიანი კომპიუტერული (ლოკალური) ქსელისა და კომპიუტერული პარკის ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებების აღსრულებას, მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნულ დეპარტამენტს აწვდის შესაბამის ინფორმაციას საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტში არსებულ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში შემავალი მატერიალური და არამატერიალური პროდუქტის შესახებ;

ბ) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების, აგრეთვე საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი საქმისწარმოების სამუშაოების ავტომატიზებული სისტემების კომპიუტერული პროგრამების ფუნქციონირების ფინანსურ - მატერიალურ მხარდაჭერას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებების საფუძველზე;

გ) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის შენობა-ნაგებობების გარე პერიმეტრის უსაფრთხოების მიზნით ვიდეო-აუდიო სამეთვალყურეო სისტემების შექმნასა და მონტაჟთან დაკავშირებული შესყიდვის პროცედურების წარმართვას;

დ) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში სასამართლო სხდომათა დარბაზების აუდიო გახმოვანებასთან დაკავშირებით შესაბამისი პროდუქციის შექმნასა და მონტაჟთან დაკავშირებული შესყიდვის პროცედურების წარმართვას;

ე) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის საოფისე ტექნიკის საექსპლუატაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული პროცესების წარმართვას, მათ შორის საბეჭდი ტექნიკისათვის სახარჯი მასალის შექმნას;

ვ) უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის შენობა-ნაგებობებში განთავსებული ანალოგური სატელეფონო და რადიო კავშირების საექსპლუატაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული პროცესების წარმართვას;

ზ) საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს შესაბამისი იურიდიული ხასიათის დოკუმენტაციის, პოლიგრაფიული, ბეჭდვითი ღონისძიებების წარმართვას.

## **მუხლი 15. ლოჯისტიკის სამსახური**

ლოჯისტიკის სამსახური:

ა) ახორციელებს დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას;

ბ) იღებს, აღრიცხავს და ასაწყობებს დეპარტამენტის მიერ შესყიდულ და დეპარტამენტისათვის გადმოცემულ საქონელს;

გ) ახორციელებს დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების გადაადგილებისა და გამოყენების კონტროლს.

## **მუხლი 16. დეპარტამენტის ქონება და ფინანსური უზრუნველყოფა**

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად დეპარტამენტს სახელმწიფოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაეცემა შესაბამისი ქონება, რომელიც აისახება მის ბალანსზე.

2. დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ქონება შედგება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, სხვა მატერიალური ფასეულობის, ფინანსური რესურსების და არამატერიალური აქტივებისაგან, რომელთა შექმნა და განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დეპარტამენტის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) დეპარტამენტის მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი;

გ) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

### **მუხლი 17. დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლი**

1. დეპარტამენტი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. დეპარტამენტის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს დეპარტამენტის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

4. დეპარტამენტმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სამტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე დეპარტამენტის მიერ შესამენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) დეპარტამენტის ქონებასთან დაკავშირებით სხვა ქმედებები, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

### **მუხლი 18. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 19. დასკვნითი დებულებები**

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

დანართი 14

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე  
საჩივრის (განცხადების) ფორმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის (განცხადების) ფორმა თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 სექტემბრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი



**საჩივარი  
(განცხადება)**

**მოსამართლის მიერ  
დისციპლინური გადაცდომის  
ჩადენის ფაქტზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს  
საბჭოს

*მხოლოდ საბჭოს მოხმარებისთვის*

*შტამპის ადგილი*

**საჩივრის (ბანცსადგმის) ავტორი: შენიშვნა-1**

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	
სახლის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

**მოსამართლე: შენიშვნა-2**

სახელი, გვარი	სასამართლო	საქმის ნომერი
---------------	------------	---------------

**დისციპლინური გადაცდომის სახე**

**მონიშნეთ გადაცდომის ის სახე, რომელიც მიგაჩნიათ, რომ ჩაიდინა მოსამართლემ:**

- კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა;
- მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბლალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;
- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;
- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება;
- დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა;
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

**გთხოვთ, უმისწავლეთ საჩივარი (ბანცსადგმა) და განაცხადებოთ დისციპლინური სამართალწარმოება**

საქმის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა<sup>3</sup>

**ფაქტები, რაშიც გამოიხატა მოსამართლის მიერ  
დისციპლინური გადაცდომის ჩადენა**

*შენიშვნა-<sup>4</sup>    შენიშვნა-<sup>5</sup>*

1. ფაქტი

შტკიცებულება:

ა. (დანართი № )

2. ფაქტი

შტკიცებულება:

ა. (დანართი № )

3. ფაქტი

შტკიცებულება:

ა. (დანართი № )

**საჩივრის (ბანცხადების) სამართლებრივი საფუძვლები**

*შენიშვნა-<sup>6</sup>*

# თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-7

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

ჩემი ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საფუძველზე, ფაქტები და გარემოებები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების განზრახ არასწორი ან/და არასრული მითითება და გთხოვთ, შეისწავლოთ ჩემს მიერ მითითებული ფაქტები და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

დდ/თთ/201 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შეხვედრის თარიღი

შეხვედრის ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანცელარიის მოხელეს ან გამოავაზნოთ ფოსტის მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანცელარია მუშაობს 10:00-დან 18:00 საათამდე (შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე), ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



## **გაითვალისწინეთ, რომ:**

- 1.** დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები, სახელმწიფო მოხელეები და მათი დამხმარე პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური სამართალწარმოების დროს, კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა.
- 2.** დისციპლინური სამართალწარმოების შედეგის შესახებ თქვენი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენს საჩივართან (განცხადებასთან) დაკავშირებით, გამოგვეზავნებთ შესაბამისი შეტყობინება, თუ საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობს იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.
- 3.** დაუშვებელია ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყება იმავე საფუძვლით, რომლითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.
- 4.** დისციპლინური სამართალწარმოების დროს აკრძალულია მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება.
- 5.** საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.
- 6.** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობს მხოლოდ მოსამართლის ქმედებაზე დისციპლინური სამართალწარმოების წესით და არ არის უფლებამოსილი შეფასება მისცეს სხვა პირთა ქმედებებს.
- 7.** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობს მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების წესით და არ არის სისხლის სამართლებრივი დევნის ან მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო.
- 8.** მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ საერთო სასამართლოები და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ან გააუქმოს სასამართლოს აქტი. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.
- 9.** საჩივარი (განცხადება), მისი ასევე ელექტრონულად წარმოდგენის შემთხვევაშიც, უნდა იყოს ხელმოწერილი უშუალოდ საჩივრის (განცხადების) ავტორის მიერ და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იდენტიფიცირება, რათა იგი არ ჩაითვალოს ანონიმურად. ანონიმური ხასიათის საჩივარი (განცხადება) არ განიხილება. ამასთან, თუ საჩივარი (განცხადება) შემოტანილია წარმომადგენლის (ადვოკატის) მიერ თავისი მარწმუნებლის სახელით, მას უნდა დაერთოს აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის ასლი, ხოლო თუ საჩივარი შემოტანილია წარმომადგენლის (ადვოკატის) მიერ თავისი სახელით, წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლის წარმოდგენა სავალდებულო არ არის.
- 10.** ფორმის დაუცველად შედგენილი საჩივარი (განცხადება) არ განიხილება, რის შესახებაც შესაბამისი მოხელის მიერ ეცნობება საჩივრის (განცხადების) ავტორს.
- 11.** თქვენ არ ხართ შეზღუდული და თუ მიგაჩნიათ, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ვერ აღწერეთ ამ ფორმაში ფორმატის სიმცირის გამო, უფლებამოსილი ხართ, აღწერთ მოკლედ და ლაკონურად და როგორც წესი, ნაბეჭდი სახით დაურთოთ საჩივარს (განცხადებას).

ფორმასთან დაკავშირებით შეკითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტს ნომერზე (+995 32) 227-31-12 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ([council@hcoj.gov.ge](mailto:council@hcoj.gov.ge)).



საჩივრის (განცხადების) შევსების ინსტრუქცია  
მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ინსტრუქციას, რომელიც შედგენილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორც საჩივრის (განცხადების) ფორმაშია.

- ✓ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ([www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)).
- ✓ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტს ნომერზე (+995 32) 227-31-12 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ([council@hcoj.gov.ge](mailto:council@hcoj.gov.ge)).

### **1. საჩივრის (განცხადების) ავტორი**

საჩივრის (განცხადების) ავტორის პირადი და საკონტაქტო მონაცემების (სახელის, გვარის, პირადი ნომრის, ძირითადი და ფაქტიური ადგილსამყოფელის) მითითება სავალდებულოა. ორი ან მეტი საჩივრის (განცხადების) ავტორის მითითებისას, თითოეული მათგანის მონაცემები, უნდა დაიწეროს და დაინომროს თანმიმდევრულად. ტელეფონის, ფაქსის, მობილურისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არ არის სავალდებულო, მაგრამ სასურველია, რაც ხელს შეუწყობს დისციპლინური სამართალწარმოებისას საჭიროების შემთხვევაში თქვენთან დროულად დაკავშირებას.

### **2. მოსამართლე**

მოსამართლის სახელის, გვარის, საქმის განმხილველი სასამართლოს (თუ საჩივარი (განცხადება) შეეხება კონკრეტულ საქმეს) მითითება სავალდებულოა. ორი ან მეტი მოსამართლის მითითებისას, თითოეულ მათგანზე მონაცემები უნდა დაიწეროს და დაინომროს თანმიმდევრულად. საქმის ნომრის მითითება არ არის სავალდებულო, მაგრამ სასურველია და აღნიშნული ხელს შეუწყობს კონკრეტული საქმის მასალების დროულად მოძიებას.

### **3. საქმის არსის მოკლე მიმოხილვა**

საქმის არსის მოკლე მიმოხილვა წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის შესახებ ფაქტობრივი გარემოებების მაქსიმალურად კონკრეტულ და ლაკონურ აღწერას. საჩივრის არსი გადმოეცით მოკლედ და ამასთან, კონკრეტულ საქმეზე მიუთითეთ მისი რეკვიზიტები.

### **4. ფაქტები, რაშიც გამოიხატა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა (I)**

წინამდებარე გრაფა წარმოადგენს „საქმის არსის მოკლე მიმოხილვის“ ერთგვარ რეზიუმეს, სადაც პუნქტობრივად მიუთითეთ მხოლოდ იმ კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებიც თქვენი შეფასებით მნიშვნელოვანია და მიუთითებს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე. არ უნდა მიუთითოთ იმ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტულ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან არ არის დაკავშირებული. ასეთ ფაქტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ მიიღებს მხედველობაში. ფაქტები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი ფაქტის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი ფაქტის მითითებისას ვალდებულნი ხართ დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

### **5. ფაქტები, რაშიც გამოიხატა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა (II)**

ფაქტების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ფაქტის დასადასტურებლად უნდა მიუთითოთ თქვენთვის ცნობილ ყველა მტკიცებულებაზე და უფლებამოსილი ხართ თქვენს ხელთ არსებული მტკიცებულებები დაურთოთ საჩივარს (განცხადებას) და მიუთითოთ დანართის სახით. მტკიცებულებების ჩამონათვალი ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება თანმიმდევრობით.

## **6. საჩივრის (განცხადების) სამართლებრივი საფუძვლები**

სამართლებრივი საფუძვლების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა გეძლევათ შესაძლებლობა, მიაწოდოთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თქვენი სამართლებრივი არგუმენტაცია. საჩივრის (განცხადების) სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. სამართლებრივი საფუძვლები მიუთითეთ სათითაოდ (პუნქტობრივად) და დანომრეთ თანმიმდევრულად. მიუთითეთ ის ნორმები, რომლებიც თქვენი აზრით მოსამართლემ დაარღვია. აღნიშნულზე, შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენი მოსაზრებები სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე დაყრდნობით.

## **7. თანდართული საბუთების ნუსხა**

საჩივარი (განცხადება) და თანდართული საბუთები (მტკიცებულებები) წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო (სამართალწარმოების) ენაზე. თანდართული საბუთების ნუსხა იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად. თითოეულის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს დააწერეთ დანართის ნომერი, რომელიც უნდა ემთხვეოდეს საჩივრის (განცხადების) ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

დანართი 15

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2013 წლის 1 თებერვალი

№1/9

ქ. თბილისი

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ**

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე, ამავე კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე დადგინდეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები შემდეგი სახით:

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები;

ბ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ამბროლაურის, ზესტაფონის, სამტრედიის, საჩხერისა და ცაგერის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

გ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ე) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ზუგდიდის, ოჩამჩირე-ტყვარჩელისა და გალი-გულრიფშის, სენაკის რაიონული სასამართლოებისა და ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები;

ვ) თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ზ) გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს გორის, ახალქალაქის, ახალციხის, მცხეთისა და ხაშურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

1<sup>1</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, აღმოსავლეთ საქართველოს მიეკუთვნება ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, ხოლო დასავლეთ საქართველოს - ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 თებერვლიდან.

გიორგი ოზგაიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესი თანდართული სახით.
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 თებერვლიდან.

### **ლევან მურუსიძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2013 წლის 6 დეკემბრის №1/209 გადაწყვეტილებით

## **საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესი**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი (რეგულირების სფერო)**

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის წესსა და პირობებს.
2. ელექტრონული საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის განხორციელებისას გამოიყენება წინამდებარე წესი, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ და მოქმედი კანონმდებლობა.
3. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვას და მათ შესრულებაზე კონტროლს, აგრეთვე ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შესაბამისი სასამართლოს მენეჯერი, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის უფროსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სასამართლოს კანცელარია.
4. საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მართვასა და აღნიშნული სისტემით სარგებლობის საფასურის განსაზღვრას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

### **მუხლი 2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია**

1. დოკუმენტების (საქმეების) ელექტრონული სახით მოძრაობა, მათი სასამართლოში ელექტრონული წესით მიღებიდან დაარქივებამდე ან გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნამდე, წარმოადგენს შესაბამისი სასამართლოს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას (საქმისწარმოებას).
2. ელექტრონული საქმისწარმოება სასამართლოში ხორციელდება საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

### **მუხლი 3. საქმისწარმოების დაწყება სასამართლოში**

1. საქმისწარმოება სასამართლოში შესაძლებელია დაიწყოს საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) მეშვეობით განცხადების ან სარჩელის შეტანის გზით. ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის მიზნით მომხმარებელმა უნდა შეავსოს ელექტრონულ სისტემაში არსებული მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადი, დაეთანხმოს ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობებს და გამოიყენოს ტელეფონზე მიღებული მომხმარებლის აქტივაციის ბმული. რეგისტრირებული მომხმარებელი პასუხისმგებელია ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაციის სისწორესა და უტყუარობაზე და ვალდებულია, მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ასახოს ელექტრონულ სისტემაში განახლებული მონაცემები. ასეთი ცვლილების განუხორციელებლობით დამდგარ შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგისტრირებულ მომხმარებელს.

2. სასამართლოში შემოსული დოკუმენტის (საქმის) მიღება-რეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს შესაბამისი სასამართლოს კანცელარია ან მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი. დოკუმენტის (საქმის) პირველადი დამუშავების პროცესი მოიცავს ელექტრონულად შემოსული დოკუმენტის (საქმის) ფორმალური მხარის შემოწმებას.

#### **მუხლი 4. ფორმალური მხარის შემოწმების წესი და ვადები**

1. დოკუმენტის (საქმის) ფორმალური მხარის შემოწმებისას ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარია ან მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი შემოსულ განცხადებას/სარჩელს ელექტრონული წესით უბრუნებს განმცხადებელს/მოსარჩელეს ელექტრონული წესით სარჩელის/განცხადების შემოსვლიდან არა უმეტეს 3 (სამი) საათის განმავლობაში.

2. ელექტრონული წესით შემოსული დოკუმენტი (საქმე) ითვლება სამუშაო საათებში რეგისტრირებულად, თუ ელექტრონულ პროგრამაში მისი რეგისტრაცია მოხდა 09.30 საათიდან 18.00 საათამდე.

3. თუ სამუშაო საათებში ელექტრონული წესით შემოსულ დოკუმენტს (საქმეს) სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი შემოსვლიდან 3 (სამი) საათის განმავლობაში ხარვეზის აღმოსაფხვრელად არ უბრუნებს ადრესატს, ითვლება, რომ დოკუმენტმა (საქმემ) გაიარა ელექტრონული წესით შემოსული დოკუმენტისათვის (საქმისათვის) საჭირო ფორმალური მხარის შემოწმების ეტაპი.

4. თუ განმცხადებელს/მოსარჩელეს ელექტრონული წესით შემოსული დოკუმენტი (საქმე) ფორმალური ხარვეზის აღმოსაფხვრელად უკან დაუბრუნდა, განმცხადებელი/მოსარჩელე უფლებამოსილია ხარვეზის გამოსწორება უბრუნველყოს იმავე დღის დასრულებამდე, 24 საათამდე.

5. მე-3 და მე-4 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება არასამუშაო საათებში შემოსული განცხადების/სარჩელის მიმართ.

6. ელექტრონული წესით შემოსული განცხადების/სარჩელის პირველადი დამუშავება, თუ განცხადება/სარჩელი შემოსულია სამუშაო დღის საათებში, ხდება დოკუმენტის (საქმის) შემოსვლის დღესვე 3 (სამი) საათის განმავლობაში.

7. არასამუშაო დღეებში ან/და არასამუშაო საათებში შემოტანილი განცხადების/სარჩელის ფორმალური მხარის შემოწმება ხდება პირველივე სამუშაო დღეს.

8. მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განცხადებაზე/სარჩელზე საპროცესო ვადები მხარეებს დაცულად ეთვლებათ ხარვეზის არსებობის შემთხვევაშიც.

#### **მუხლი 5. ელექტრონული დოკუმენტის ბრუნვა პირველადი დამუშავების შემდეგ**

1. ელექტრონული წესით შემოსულ ყოველ განცხადებას/სარჩელს დიფერენცირების მიზნით ენიჭება უნიკალური შტრიხკოდი.

2. სასამართლოში მატერიალური სახით (არაელექტრონული წესით) შემოტანილი დოკუმენტი (საქმე), საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში მისი შეტანის მიზნით,

სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს ელექტრონულ ფორმატში (დასკანირდეს).

3. ელექტრონული წესით შემოსული განცხადება/სარჩელი რეგისტრაციის გავლის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით ნაწილდება მოსამართლეზე.

4. სასამართლოს კანცელარია/მოქალაქეთა მომსახურეობის ცენტრი ელექტრონული წესით შემოსულ განცხადებას/სარჩელს მოსამართლეს აწვდის ელექტრონული სახით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში - ამობეჭდილი სახით.

#### **მუხლი 6. კორესპონდენციის მიღებისა და გაგზავნის წესი**

1. სასამართლო ყველა დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომლებიც ელექტრონული საქმისწარმოების წესით არის ნაწარმოები, გაცემს ელექტრონული ფორმით.

2. ინფორმაცია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ნაწარმოებია მატერიალური სახით, გაიცემა ამავე სახით ან ელექტრონული სახით.

#### **მუხლი 7. ცვლილებები ელექტრონული საქმისწარმოების წესში**

1. ელექტრონული საქმისწარმოების წესში ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მხარეთა ინფორმირება არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2. განხორციელებული ცვლილება, რომელიც შესულია ელექტრონული საქმისწარმოების წესში, მისი შეტანიდან 24 საათში უნდა განთავსდეს შესაბამის ვებ-გვერდზე, ასევე საჯაროდ გამოქვეყნდეს სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

3. წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში ნებისმიერი უზუსტობა უნდა გადაწყდეს მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის) სასარგებლოდ.

დანართი 17

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/225 2013 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი



**საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი თანდართული სახით.
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

**ლევან მურუსიძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2013 წლის 27 დეკემბრის №1/225 გადაწყვეტილებით

**საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით  
მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი**

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას (შემდგომში - „ნუსხა“).

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე.

3. ამ წესის მოქმედება ვრცელდება შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებზე:

- ა) საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- ბ) სააპელაციო სასამართლო;
- გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლო;
- დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

4. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებზე არ ვრცელდება ამ წესის დანართის მე-4 ნაწილის, მე-5 ნაწილის პირველი, მე-2, მე-8-მე-13 პუნქტებისა და მე-7 ნაწილის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

**მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს ამ წესის დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე.

2. ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ და დანართში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

3. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო

ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

### **მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტი**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

2. საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

### **მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, ელექტრონული რესურსის საშუალებით.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით, მომდევნო სამუშაო დღეს.

4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

### **მუხლი 5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (პირები)**

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები).

### **მუხლი 6. საჯარო ინფორმაციის გვერდი**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის გვერდის არსებობა.

2. ამ წესის დანართის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა განთავსდეს საჯარო ინფორმაციის გვერდზე.

### **მუხლი 7. გარდამავალი დებულებები**

1. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უზრუნველყონ ამ წესის დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 მარტამდე.

2. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება ვრცელდება ამ წესის დანართით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე, რომელიც შექმნილია 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა

№	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
<b>1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ</b>		
1.1	ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.2	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.3	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
1.4	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში
1.5	ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, წევრების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების (საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი ხელმძღვანელისა და მოადგილეების) შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.6	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
<b>2. საჯარო ინფორმაციის გვერდი</b>		
2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.3	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების ფორმა, ნიმუში და შევსების ინსტრუქცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.4	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.5	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
2.6	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-	ქვეყნდება კვარტალურად

	ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	
<b>3. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ</b>		
3.1	ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.3	ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად
<b>4. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ</b>		
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად
4.2	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	ქვეყნდება კვარტალურად
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად
4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად
<b>5. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ</b>		
5.1	ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ქვეყნდება კვარტალურად
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად
5.3	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად
5.4	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად
5.5	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.8	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული	ქვეყნდება

	უძრავი ქონების ჩამონათვალი	ყოველწლიურად
5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.11	ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად
5.13	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში
<b>6. სამართლებრივი აქტები</b>		
6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში
<b>7. სხვა საჯარო ინფორმაცია</b>		
7.1	ადმინისტრაციული ორგანოს სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
7.3	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
7.4	ინფორმაცია სასამართლოთა, მათ შორის მაგისტრატ სასამართლოთა რაოდენობის, აგრეთვე გენდერული ასპექტის გათვალისწინებით სასამართლოს თავმჯდომარეთა, კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეთა რაოდენობისა და მოსამართლეთა საერთო რაოდენობის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში

**შენიშვნა:**

1. ნუსხის მიზნებისათვის „თანამდებობის პირი“ გულისხმობს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ პირებს.

2. კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია – წლის

დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება იმ კატეგორიის ინფორმაციაზე, რომელიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, დაკავშირებულია ან შეიძლება იყოს დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან, სისხლისსამართლებრივ დევნასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოებასა და/ან თავდაცვასთან.

4. თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.

დანართი 18

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/104 2014 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი

მოსამართლის საქმიანობის შეფასების ფორმის ნიმუშის  
დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ საფუძველზე, დამტკიცდეს მოსამართლის საქმიანობის შეფასების ფორმის ნიმუში თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

მოსამართლის საქმიანობის შეფასების ფორმის ნიმუში

მოსამართლე ----- საქმიანობის შეფასების შედეგი:  
(სახელი, გვარი)

შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით	

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა		20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია		20
წერის უნარი		20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი		15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში		15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა		5
პროფესიული აქტივობა		5
<b>ქულათა ჯამი</b>		<b>100</b>

შემფასებლის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი 19

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/232 2015 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის  
დამტკიცების შესახებ



1. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი თანდართული დანართით.
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

### **ლევან მურუსიძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

## **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი**

### **მუხლი 1. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის პირობები**

არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლე ვალდებულია გავლილი ჰქონდეს შემდეგი ტრენინგები:

- ა) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- ბ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;
- გ) ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;
- დ) ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
- ე) დაზარალებული და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებანი,

### **მუხლი 2. ტრენინგების მოდულის მიზნები**

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დანერგილი სიახლეები, განსაკუთრებული მიდგომები და სტანდარტები.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები.

3. ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტების მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, ბავშვის განვითარების, ასაკობრივი თავისებურებებისა და ტრავმული გამოცდილების გავლენა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებაზე.

4. ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს ძალადობის ძირითადი ფორმები და ძალადობაგანცდილი ბავშვის ფიზიკური და ქცევითი ინდიკატორები, ძალადობით გამოწვეული სტრესისა და ტრავმის გავლენა ბავშვის განვითარებაზე.

5. დაზარალებული და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებანის მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები.

### **მუხლი 3. მოსამართლის სპეციალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა**

1. მოსამართლეებისათვის ამ გადაწყვეტილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ასევე უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის პირველი მუხლით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებას.

3. ტრენინგების გავლის შემდეგ მოსამართლეს გადაეცემა ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ტრენინგთა გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ტრენინგების კურსის ბოლოს ამზადებს ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია სერტიფიცირებულ მოსამართლეთა შესახებ, ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი, მონაწილეთა დასწრების შედეგები, ასევე პროგრამის განხორციელების პარტნიორთა დაკვირვებების შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებული ანგარიში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

დანართი 20

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/56 2017 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 8 თებერვლის ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების თანდართული წესი.

2. ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება საპილოტო რეჟიმში განხორციელდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2017 წლის 1 ივლისიდან, ხოლო სხვა საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები განაწილდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

### **ლევან მურუსიძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

**დამტკიცებულია**  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით

### **საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი**

#### **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი არეგულირებს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) მეშვეობით განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

#### **მუხლი 2. საქმეთა განაწილების პრინციპი**

1. საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება, გარდა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე.

2. შემთხვევითი განაწილების პრინციპი გულისხმობს ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმის განაწილებას ამ წესით დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე.

#### **მუხლი 3. შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპი**

1. შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა:

ა) შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს;

ბ) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;

გ) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს.

2. ამ პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები ნაწილდება განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სარჩელის განმეორებით წარდგენისას;

ა<sup>1</sup>) სარჩელის მიღების შემდეგ იმავე მხარეების მიერ იმავე საგანზე იმავე საფუძველით სარჩელის განმეორებით წარდგენისას;

ბ) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე საჩივრის წარდგენისას;  
გ) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განმეორებით წარდგენისას;  
დ) სარჩელის აღძვრამდე სარჩელის ან მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მიღების შემდეგ სარჩელის წარდგენისას;  
ე) სარჩელის აღძვრამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ დროებითი განჩინების მიღების შემდეგ სარჩელის წარდგენისას;

ე<sup>1</sup>) პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესახებ განცხადების წარდგენისას;

ე<sup>2</sup>) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოვალის ქონებასთან დაკავშირებით სარჩელის წარდგენისას;

ვ) გადაწყვეტილებაში უსწორობათა ან აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესახებ განცხადების წარდგენისას;

ზ) დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადების წარდგენისას;

თ) სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების წარდგენისას;

ი) სააღსრულებო ფურცლის ან მისი დუბლიკატის გაცემის, სააღსრულებო ფურცელში უზუსტობის აღმოფხვრის, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის, აგრეთვე აღსრულების პროცესში უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ განცხადების წარდგენისას;

კ) ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ლ) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენისას.

3. ამ პუნქტით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმეები ნაწილდება შემდეგი წესით:

ა) ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე საგამომიებო, საპროცესო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ან რამდენიმე ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობები ნაწილდება ერთსა და იმავე მოსამართლეზე;

ბ) მიმალვის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების საკითხს, მისი დაპატიმრების შემთხვევაში, განიხილავს ის მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა განჩინება ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

გ) ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის მიმდინარეობისას, შუამდგომლობა და საქმე ბრალდებულის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე ნაწილდება პირველი წარდგენის სხდომის წარმმართველ მოსამართლეზე;

გ<sup>1</sup>) ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის დასრულების შემდეგ შემოსული საქმე და შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე ნაწილდება ამ წესის მე-4 მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტით დადგენილი წესით შერჩეულ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეზე;

დ) განცხადება გადაწყვეტილებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ ნაწილდება გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე;

ე) განაჩენის გამოტანის შემდეგ წარდგენილი შუამდგომლობა განაჩენის აღსრულების გადავადების, აგრეთვე სააღსრულებო ფურცლის ან მისი დუბლიკატის გაცემის, სააღსრულებო ფურცელში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ ნაწილდება განაჩენის გამომტან მოსამართლეზე;

ვ) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმების შემთხვევაში, საქმე ნაწილდება გასაჩივრებული განჩინების

გამომტან მოსამართლეზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლითა და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით, 85-ე მუხლით, 114-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმეები ნაწილდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსამართლეზე.

5. საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და შუამდგომლობები დაერთვის მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს.

6. საქმეთა განაწილების მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-2 პუნქტითა (გარდა „ე“ ქვეპუნქტისა) და მე-3 პუნქტით (გარდა „ა“ ქვეპუნქტისა) გათვალისწინებულ საქმეთა რაოდენობა.

7. შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში მოსამართლეზე ნაწილდება ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეუძლებელია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვა. ამ შემთხვევაში საქმეები ნაწილდება ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად.

8. მოსამართლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას, ასევე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში გადასვლის ან სხვა სასამართლოში მივლინების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საქმეები ნაწილდება ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, ხოლო იმავე სასამართლო კოლეგიის/პალატის სხვა ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლის გადასვლის შემთხვევაში მასზე ნაწილდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ვ“-ი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმეები.

9. სამუშაო და არასამუშაო საათებში ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმეები ნაწილდება მორიგე მოსამართლეზე.

#### **მუხლი 4. საქმეთა განაწილების წესი**

1. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით. შერჩევის შედეგის ამსახველი დოკუმენტი დაერთვის საქმეს. მოსამართლეთა სპეციალიზაციის მოთხოვნა არ ვრცელდება მორიგეობის დროს გასანაწილებელ საქმეებზე.

2. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სასამართლო კოლეგიებში დადგენილია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეები ნაწილდება შესაბამისი კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის.

3. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც არ არის შექმნილი სასამართლო კოლეგიები, საქმეები ნაწილდება შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის. მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მაგისტრატ მოსამართლეს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დავალებული აქვს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შემოსული საქმეები ნაწილდება ასევე მაგისტრატ მოსამართლეზე.

5. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულია მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია, მაგისტრატი მოსამართლის არყოფნისას საქმეები ნაწილდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის, ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარის მიერ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის/მოსამართლეთათვის მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების

განხორციელების დავალებისას - მაგისტრატ მოსამართლესა და აღნიშნულ მოსამართლეთა შორის.

6. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში ან საგამოძიებო კოლეგიაში განხილვა არ შეიძლება დაევალოს შესაბამისი სპეციალიზაციის ყველა მოსამართლეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა.

6<sup>1</sup>. ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის დასრულების შემდეგ ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს შესაბამისი კოლეგიიდან/ვიწრო სპეციალიზაციიდან წინასასამართლო სხდომის მოსამართლის შერჩევას. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე ბრალდებულის არსებობისას ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეირჩევა წინასასამართლო სხდომის მხოლოდ ერთი მოსამართლე.

7. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას, სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას, საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.

8. სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმეზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნის მიზნით ელექტრონული სისტემა დამატებით უზრუნველყოფს შესაბამისი კოლეგიიდან/პალატიდან/ვიწრო სპეციალიზაციიდან მოსამართლის შერჩევას.

8<sup>1</sup>. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმეები ნაწილდება შესაბამისი პალატის/კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის.

9. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას საქმე ნაწილდება სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმის განხილვისას, ელექტრონული სისტემა, საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით, დამატებით უზრუნველყოფს დიდი პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევას.

11. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლის აცილების/თვითაცილებისას, ასევე ობიექტური მიზეზით მის მიერ საქმის განხილვის შეუძლებლობისას, საქმე ნაწილდება აღნიშნული მოსამართლის მონაწილეობის გარეშე, ამ მუხლით დადგენილი წესით.

12. საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დგინდება მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით. ამ შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება.

13. მოსამართლის მიერ არანაკლებ 7 დღით შვებულებით ან სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობისას, ასევე, წინასწარ ცნობილი დროებითი შრომისუუნარობის გამო მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მასზე არ ნაწილდება საქმეები (გარდა მორიგეობის დროს შემოსული საქმეებისა) სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით ადრე - რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში, 5 სამუშაო დღით ადრე - სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.

14. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების (შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება) პერიოდში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატება 72 საათს. ამ შემთხვევაში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების

შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით ადრე. მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს განსაკუთრებული ობიექტური გარემოება და საქმეების განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.

14<sup>1</sup>. მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში, როგორც წესი, მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს. აღნიშნული წესი არ ვრცელდება თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებულ მოსამართლეზე, ასევე იმ შემთხვევებზე, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა, ხოლო სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატაში სამზე ნაკლები მოსამართლეა.

14<sup>2</sup>. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ დანიშნისას, ასევე იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის შემთხვევაში, მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან გადაწყვეტილების ამოქმედებამდე პერიოდში.

15. შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, ასევე განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობისას, მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად, თუ ირღვევა ამ მოქმედების შესასრულებლად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა ან შუამდგომლობის განსახილველად, თუ შუამდგომლობის განუხილველობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, საქმე დროებით გადაეცემა ამ მუხლის შესაბამისად შერჩეულ მოსამართლეს. აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების ან შუამდგომლობის განხილვის შემდეგ საქმე უბრუნდება განმხილველ მოსამართლეს.

16. მოსამართლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას, ასევე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის ან სხვა სასამართლოში მივლინების შემთხვევაში, მის წარმოებაში არსებული საქმეები ნაწილდება სხვა მოსამართლეებზე ამ მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 5. მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა**

1. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთათვის საქმეთა შემდგომ დაგვარად თანაბარ განაწილებას, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინების გარეშე.

2. ელექტრონული სისტემა აფიქსირებს განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემთხვევითი შერჩევის შედეგად გენერირებულ რიცხვს და ახდენს ყველა ამ პარამეტრის ლოგირებას.

3. შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს, გარდა ამ მუხლის 5<sup>1</sup>-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვაობა უნდა იქნეს დაცული შემდეგ შემთხვევებში:

ა) სისხლის სამართლის საქმეებზე:

ა.ა) ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა;

ა.ბ) წინასასამართლო სხდომა;

ა.გ) საგამომიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებული შუამდგომლობა;

ა.დ) სისხლის სამართლის არსებითად განსახილველი საქმე, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა და რომელშიც:

ა.დ.ა) მხარეები სადავოდ არ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;

ა.დ.ბ) მხარეები სადავოდ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;

ა.ე) სისხლის სამართლის არსებითად განსახილველი საქმე, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული არ არის პატიმრობა და რომელშიც:

- ა.ე.ა) მხარეები სადავოდ არ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;
- ა.ე.ბ) მხარეები სადავოდ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;
- ა.ვ) ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი საქმე;
- ა.ზ) კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაწილეობით განსახილველი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც:
  - ა.ზ.ა) აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა;
  - ა.ზ.ბ) აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული არ არის პატიმრობა;
- ა.თ) წინასასამართლო სხდომამდე არანაკლებ 15 დღით ადრე შემოსული შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ (მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში);
  - ა.ი) სხვა კატეგორიის საქმე;
  - ბ) ადმინისტრაციულ საქმეებზე:
    - ბ.ა) სასარჩელო წარმოებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>-VII<sup>16</sup> თავებით გათვალისწინებული საქმე;
    - ბ.ბ) განცხადება ან სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით;
    - ბ.გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე;
    - ბ.გ<sup>1</sup>) საარჩევნო დავა;
    - ბ.დ) სხვა კატეგორიის საქმე;
    - გ) სამოქალაქო საქმეებზე:
      - გ.ა) სასარჩელო/არასასარჩელო წარმოების საქმე;
      - გ.ბ) განცხადება ან სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით;
      - გ.გ) სხვა კატეგორიის საქმე.

4<sup>1</sup>. სააპელაციო სასამართლოში განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვაობა უნდა იქნეს დაცული შემდეგ შემთხვევებში:

  - ა) სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში:
    - ა.ა) სააპელაციო საჩივარი;
    - ა.ბ) შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე;
    - ა.გ) საჩივარი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 282-ე-289-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებზე;
    - ა.დ) სხვა კატეგორიის საქმე;
    - ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში:
      - ბ.ა) სააპელაციო საჩივარი;
      - ბ.ბ) კერძო საჩივარი/საჩივარი/ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>-VII<sup>16</sup> თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე საჩივარი;
      - ბ.გ) საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე;
      - ბ.გ<sup>1</sup>) საარჩევნო დავა;
      - ბ.დ) სხვა კატეგორიის საქმე;
      - გ) სამოქალაქო საქმეთა პალატაში:
        - გ.ა) სააპელაციო საჩივარი;
        - გ.ბ) კერძო საჩივარი/საჩივარი;
        - გ.გ) არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმე;
        - გ.დ) განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ/შუამდგომლობა არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეზე;
        - გ.ე) სხვა კატეგორიის საქმე;
        - დ) საგამომიებო კოლეგიაში;



- დ.ა) საჩივარი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ;
- დ.ბ) საჩივარი საგამომიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების თაობაზე;
- დ.გ) სხვა კატეგორიის საქმე.

4<sup>2</sup>. საქართველოს უზენაეს სასამართლოში განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვაობა უნდა იქნეს დაცული შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სისხლის სამართლის საქმეებზე:
  - ა.ა) საკასაციო საჩივარი;
  - ა.ბ) სხვა კატეგორიის საკასაციო საჩივარი;
  - ა.გ) საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე;
- ბ) ადმინისტრაციულ საქმეებზე:
  - ბ.ა) საკასაციო საჩივარი;
  - ბ.ბ) კერძო საჩივარი;
  - ბ.გ) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
- ბ.დ) განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ;
  - ბ.ე) განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ;
  - ბ.ვ) განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ;
  - ბ.ზ) დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ;
- გ) სამოქალაქო საქმეებზე:
  - გ.ა) საკასაციო საჩივარი;
  - გ.ბ) კერძო საჩივარი;
  - გ.გ) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
- გ.დ) განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ;
  - გ.ე) განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ;
  - გ.ვ) შუამდგომლობა;
  - გ.ზ) განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა გაუტოლდება სამს, ის მოსამართლე, რომელზეც ყველაზე მეტი საქმეა განაწილებული, გამოეთიშება საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესს მოსამართლეთა შორის განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობის შემცირებამდე.

5<sup>1</sup>. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთა შორის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.გ.“ ქვეპუნქტითა და 4<sup>1</sup> პუნქტის „ბ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა თანაბარ განაწილებას.

6. ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოსამართლეთა შემთხვევაში საქმეთა განაწილების მაჩვენებელი, როგორც წესი, განისაზღვრება შემდეგი პროცენტულობით:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი - 20%, ხოლო თუ წევრი ამავდროულად არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე - 10%;

ბ) იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს - 50%, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს - 20%.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილესა და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და კოლეგიის თავმჯდომარეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანზე,

განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.

8. მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 25%-იანი ბიჯით.

8<sup>1</sup>. მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შესაძლებელია შემცირდეს მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი არაუმეტეს 50%-იანი ბიჯით.

9. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში/ კოლეგიაში/პალატაში/საგამოძიებო კოლეგიაში საქმის განხილვის დავალების შემთხვევაში, ასევე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისათვის მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების დავალებისას ან პირიქით, მოსამართლეზე საქმეთა განაწილების მაჩვენებელი იმ სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/საგამოძიებო კოლეგიაში ან მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისას - შესაბამის მუნიციპალიტეტში, სადაც დავალებული აქვს საქმეთა განხილვა, დგინდება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

10. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამის კოლეგიაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა)/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით და თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის აღნიშნულ რაოდენობამდე საქმეთა შესავსებად საქმეთა განაწილების მაჩვენებელი გაიზარდება 200%-ით, ხოლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლისათვის - 150%-ით, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე, ამ ასაკის მიღწევის შემდეგ კი - 200%-ით.

11. იმ შემთხვევაში, თუ შვებულებიდან, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნების, დროებითი შრომისუუნარობის პერიოდის დასრულების შემდეგ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა ნაკლებია იმავე კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე ნაკლები მაჩვენებლის მქონე მოსამართლეზე, აღნიშნულ მოსამართლესთან გათანაბრების მიზნით, პროგრამა უზრუნველყოფს მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის პირობითად გაზრდას.

12. უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში უფლებამოსილების შესრულების დაწყებიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში ყოფილი მოსამართლის იმავე თანამდებობაზე გამწესების, ხოლო მოქმედი მოსამართლის იმავე სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის შემთხვევაში ამ წესის მე-4 მუხლის მე-16 პუნქტით განაწილებული საქმეები დაუბრუნდება აღნიშნულ მოსამართლეს.

## **მუხლი 6. სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარისა და სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის უფლებამოსილება საქმეთა განაწილების პროცესში**

1. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/ პალატის თავმჯდომარეს აქვს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა.

2. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია გაანაწილოს საქმეები რიგითობის წესით, რაც

გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა გვარის ანბანური რიგითობის მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით საქმეები ნაწილდება იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 2 დღეს, გარდა დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებისა, ასევე იმ საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათია. აღნიშნულ საქმეებს სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ანაწილებს, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება სამ საათს.

4. სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ან სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ ატყობინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირს, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

5. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრას უზრუნველყოფს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ან ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი, რის შესახებაც ინფორმაცია წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტსა და შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს.

6. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს მიმართავს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ განაწილებულ საქმეთა შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმირების შემდეგ, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას შემდეგი აღნიშვნით: „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე“.

## **მუხლი 7. საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა**

1. საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემაში მოსამართლეთა შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციას, რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანას, ასევე, რეგისტრაციის მონაცემების გაუქმებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.

2. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

3. მოსამართლე შვებულებაში, მივლინებაში გასვლამდე, როგორც წესი, 5 დღით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგენს შესაბამის განცხადებას, ხოლო დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში ან განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობისას დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს.

## **მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი**

1. საქმეთა განაწილების მიზნებისათვის, მხედველობაში არ მიიღება ელექტრონული სისტემის ამოქმედების მომენტისათვის მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა.

2. ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ხარვეზის წარმოშობისას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ წესით, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია გაანაწილოს საქმეები რიგითობის წესის დაცვით. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით დადგენილი წესი.

დანართი 21

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/59 2017 წლის 8 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მისი აპარატის  
მოხელეებისათვის სპეციალური წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

1. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მისი აპარატის მოხელეებისათვის სპეციალური წოდების მინიჭების თანდართული წესი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „საქართველოს იუსტიციის საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებისა (შემდგომში - „იუსტიციის საბჭო“) და მათი აპარატების მოხელეთათვის სპეციალური წოდებების შერჩევისა და მინიჭების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 1 მარტის №76 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყონ შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მისი აპარატის მოხელეებისათვის პირველადი ან/და მომდევნო სპეციალური წოდებების მინიჭება, სათანადო წინა სპეციალური წოდებისა და ნამსახურობის ვადის გათვალისწინებით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2017 წლის 8 მაისის № 1/59  
გადაწყვეტილებით

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მისი აპარატის მოხელეებისათვის  
სპეციალური წოდების მინიჭების წესი

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრებისა და მისი აპარატის მოხელეებისათვის სპეციალური წოდების მინიჭების წესსა და პირობებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება საბჭოს იმ წევრზე, რომელიც არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საერთო სასამართლოს მოსამართლე.

### **მუხლი 2. სპეციალური წოდებების კატეგორიები**

საბჭოში სპეციალური წოდებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) საშუალო სპეციალური წოდება;
- ბ) უფროსი სპეციალური წოდება;
- გ) უმაღლესი სპეციალური წოდება.

### **მუხლი 3. სპეციალური წოდებები**

საბჭოში დაწესებულია შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) საშუალო სპეციალური წოდება - უმცროსი იურისტი, III კლასის იურისტი, II კლასის იურისტი, I კლასის იურისტი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდება - იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდება - იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

#### **მუხლი 4. სპეციალური წოდების მინიჭება**

1. სპეციალური წოდება ენიჭება საბჭოს წევრსა და მისი აპარატის მოხელეს, მისი თანამდებობრივი მდგომარეობის, ნამსახურობის წლების, კვალიფიკაციისა და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად.

2. საშუალო და უფროსი სპეციალური წოდებები საბჭოს წევრებს ენიჭებათ საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო მისი აპარატის მოხელეებს - საბჭოს მდივნის ბრძანებით.

3. უმაღლეს სპეციალურ წოდებას საბჭოს წევრებსა და საბჭოს აპარატის მოხელეებს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. აკრძალულია „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით გაუთვალისწინებელი სპეციალური წოდებების მინიჭება.

5. საბჭოს წევრსა და მისი აპარატის მოხელეს სპეციალური წოდება, მისი არქონის შემთხვევაში, მიენიჭება თანამდებობაზე არჩევასთან/დანიშვნასთან ერთად.

6. საბჭოს წევრს თანამდებობაზე გამწესებასთან ერთად მიენიჭება იუსტიციის უმცროსი მრჩეველის სპეციალური წოდება. საბჭოს იმ წევრს, რომელსაც თანამდებობაზე გამწესების დროს აქვს უფრო მაღალი სპეციალური წოდება, უნარჩუნდება აღნიშნული წოდება.

7. იმ პირებს, რომლებსაც საბჭოში მუშაობის დაწყებამდე ჰქონდათ საბჭოში დაწესებული სპეციალური წოდებებისაგან განსხვავებული სპეციალური წოდება, მიენიჭებათ შესაბამისი სპეციალური წოდება.

8. მომდევნო სპეციალური წოდების მისანიჭებლად საბჭოს წევრის წარდგენას ახდენს საბჭოს მდივანი, ხოლო საბჭოს აპარატის მოხელისას - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

9. მოხელეს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ან მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სამსახურებრივი მოკვლევა მის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტზე, სპეციალური წოდება არ მიენიჭება დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნამდე, მარეაბილიტირებელ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან სამსახურებრივი მოკვლევის დასრულებამდე.

#### **მუხლი 5. სპეციალური წოდებების მინიჭების თანმიმდევრობა**

1. სპეციალური წოდებების მინიჭება წარმოებს ამ წესით დადგენილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია სპეციალური წოდების მინიჭება საფეხურგამოშვებით.

2. მომდევნო სპეციალური წოდების მინიჭება ხდება სათანადო წინა სპეციალური წოდებისა და დაკავებული თანამდებობისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ზღვრული წოდების გათვალისწინებით, სპეციალური წოდებით სამსახურის ვადის გასვლის შემთხვევაში.

3. საბჭოს წევრისა და მისი აპარატის მოხელისათვის თანამდებობათა შესაბამისი ზღვრული სპეციალური წოდებები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) საბჭოს წევრი - იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

ბ) დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის თავმჯდომარე - იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი;

გ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - იუსტიციის უფროსი მრჩეველი;

დ) სამმართველოს უფროსი, სამსახურის უფროსი, კანცელარიის უფროსი - იუსტიციის მრჩეველი;

ე) უფროსი კონსულტანტი, კონსულტანტი, მთავარი ბუღალტერი, ცვლის უფროსი - იუსტიციის უმცროსი მრჩეველი;

ვ) საბჭოს წევრის რეფერენტი, მანდატური - I კლასის იურისტი.

## **მუხლი 6. სპეციალური წოდების მისანიჭებლად დადგენილი ვადები**

1. მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადა:

ა) საშუალო სპეციალური წოდება:

ა.ა) უმცროსი იურისტი - 1 წელი;

ა.ბ) III კლასის იურისტი - 2 წელი;

ა.გ) II კლასის იურისტი - 3 წელი;

ა.დ) I კლასის იურისტი - 3 წელი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდება:

ბ.ა) იუსტიციის უმცროსი მრჩეველი - 4 წელი;

ბ.ბ) იუსტიციის მრჩეველი - 5 წელი;

ბ.გ) იუსტიციის უფროსი მრჩეველი - 5 წელი.

2. უმაღლესი სპეციალური წოდებით სამსახურის ვადა არ განისაზღვრება.

## **მუხლი 7. სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება**

1. მოსამსახურეს სპეციალური წოდება ვადამდე ენიჭება:

ა) ატესტაციის შედეგების მიხედვით;

ბ) განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

გ) კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, წახალისების წესით.

2. საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ვადამდე ანიჭებენ შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საბჭოს მდივანი.

3. სპეციალური წოდების ვადამდე მისანიჭებლად საბჭოს წევრის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს მდივანს, ხოლო საბჭოს აპარატის მოხელისა - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს.

## **მუხლი 8. სპეციალური წოდების ჩამორთმევის წესი**

1. სპეციალური წოდება საბჭოს აპარატის მოხელეს შეიძლება ჩამოერთვას, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად.

2. სპეციალური წოდების ჩამორთმევის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.

3. იმ მოხელის მიმართ, რომელსაც ჩამოერთვა სპეციალური წოდება, მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად ვადის ათვლა დაიწყება სპეციალური წოდების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან მეორე დღეს.

4. სპეციალური წოდების ჩამორთმევის თაობაზე დავა განიხილება სასამართლო წესით.

5. საბჭოს აპარატის მოხელისათვის სპეციალური წოდების ჩამორთმევის საკითხის დასმის უფლება აქვს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს.

## **მუხლი 9. ორგანიზაციული უზრუნველყოფა**

სპეციალური წოდების მინიჭების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სპეციალური წოდებების თანამიმდევრულ და დროულ მინიჭებაზე კონტროლს ახორციელებს საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

## **მუხლი 10. სოციალური გარანტიები**

1. სპეციალური წოდებისათვის გათვალისწინებული ხელფასის დანამატი, სამსახურებრივი და სოციალური უზრუნველყოფის სხვა გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. სპეციალური წოდების მინიჭების უსაფუძვლოდ დაგვიანების შემთხვევაში მოსამსახურეს უფლება აქვს ყველა იმ სარგოს კომპენსაციაზე, რომელიც მას უნდა მიეღო სპეციალური წოდების დროული მინიჭების შემთხვევაში.

დანართი 22

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/233 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლისა და 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო



სპეციალიზაცია, მათივე ნების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმეთა შემდეგი კატეგორიებისა და სისხლის სამართლის პროცესის შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა) არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული; ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი საქმეები; წინასასამართლო სხდომამდე არანაკლებ 15 დღით ადრე შესული შუამდგომლობები საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე;

ბ) დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ); ეკონომიკური დანაშაული (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ); დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული); დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (ტერორიზმი; სამოხელეო დანაშაული; დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ);

გ) დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა); ეკონომიკური დანაშაული (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში; დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში); დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა; დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; სატრანსპორტო დანაშაული); დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ; ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა; სამოხელეო დანაშაული); დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ;

დ) დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ); ეკონომიკური დანაშაული (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ); დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ; საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში; კიბერდანაშაული); დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (სამოხელეო დანაშაული); დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ე) გამოძიების ეტაპი (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, შუამდგომლობები გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, გამოძიების ეტაპთან დაკავშირებული სხვა საკითხები, გარდა წინასასამართლო სხდომამდე არანაკლებ 15 დღით ადრე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შესული შუამდგომლობებისა);

ვ) წინასასამართლო სხდომის ეტაპი.

2. პირველი პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლე ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმეთა კატეგორიების მიხედვით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ სასამართლოში შესულ შუამდგომლობებს, წარდგინებებსა და სხვა საკითხებს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 მარტის №1/28 და „თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 თებერვლის №1/60 გადაწყვეტილებები.

4. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 25 ივლისიდან.

*გიორგი მიქუტაძე*

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/89 2018 წლის 5 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 69-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება განსაზღვრავს საერთო სასამართლოს მოსამართლისათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის დაწესებისა და მოსამართლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესს.

2. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაუწესდეთ თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი.

3. გარდა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანამატისა, მოსამართლეს, კონკრეტული მოსამართლის (სასამართლოს) დატვირთულობის, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა სტაჟირების კოორდინატორობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მიეცეს დანამატი.

4. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, მოსამართლეს ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანამატი მიეცემა სამსახურებრივი ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდის ჩათვლით.

5. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს, მისთვის დაწესებული დანამატის ნაცვლად, ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისათვის დაწესებული დანამატის ოდენობით, თუ ასეთი დანამატის ოდენობა აღემატება მოსამართლის დანამატის ოდენობას იმ სასამართლოში, რომელშიც იგი კანონით დადგენილი წესით არის დანიშნული.

5<sup>1</sup>. მოსამართლეს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 32-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 33-ე მუხლის საფუძველზე რაიონული (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/სასამართლო კოლეგიის/ პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისას, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისა და სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/სასამართლო კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობებს შორის სხვაობის ოდენობით, ნამუშევარი პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნული დანამატის გაცემის საფუძველია, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება ან სასამართლოს წერილობითი შეტყობინება სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/სასამართლო კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების თაობაზე.

6. გადაწყვეტილებას რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების იმ მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ან საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელთაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილას არ აქვთ საცხოვრებელი ბინა, იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ადგენს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოსაყოფი თანხების ზღვრულ ოდენობას.

8. ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული დანამატის და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება წლიური საბიუჯეტო კანონით საერთო სასამართლოებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

9. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილება.

10. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**გიორგი მიქაუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი 24

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/152

2018 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს:
  - ა) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი (დანართი 1);
  - ბ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა (დანართი 2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/207-2007 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

### **გიორგი მიქაუტაძე**

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2018 წლის 19 მარტის №1/152 გადაწყვეტილებით

დანართი 1

## **მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი**

### **თავი I**

### **ზოგადი დებულებანი**

#### **მუხლი 1. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნები**

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში - საკვალიფიკაციო გამოცდა) მიზანია მაღალკვალიფიციური იურისტების შერჩევა შემდგომში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

#### **მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლების მქონე პირები**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს ოცდახუთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

2. ამ წესის მიზნებისთვის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება:

ა) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა“ და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის“ კვალიფიკაცია;

ბ) პირი, რომელსაც აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს ბაკალავრის, დიპლომირებული სპეციალისტის ან მაგისტრის უმაღლესი აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობაში. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა ფლობდეს ბაკალავრის აკადემიურ ხარისხსაც სამართალმცოდნეობაში;

გ) პირი, რომელსაც ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს სამართლის ბაკალავრის ან სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა ფლობდეს სამართლის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხსაც.

3. პირი, რომელიც სავარაუდოდ ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების შესახებ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

4. პირი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება განათლების აღიარების შესახებ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

### **მუხლი 3. კანდიდატის რეგისტრაცია და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური**

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით კანდიდატთა რეგისტრაციის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 7 სამუშაო დღეზე ნაკლები, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება.

2. კანდიდატი რეგისტრირდება საერთო ან ერთ-ერთი სპეციალიზაციის მიხედვით.

3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი რეგისტრირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, გამოცდისა და შერჩევის ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - ელექტრონული სისტემა). რეგისტრაციისას პირმა ელექტრონული ფორმით უნდა ატვირთოს შემდეგი საბუთები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. სანოტარო წესით დამოწმება არ მოითხოვება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ფერადი ფოტოსურათი.

დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულად წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატის რეგისტრაცია იქნება უარყოფილი.

5. გადაწყვეტილებას კანდიდატის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების, წარდგენილი საბუთების დადგენილ წესთან შესაბამისობის და აღნიშნულიდან გამომდინარე კანდიდატის რეგისტრაციის დადასტურების ან უარყოფის შესახებ იღებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. აღნიშნულის თაობაზე კანდიდატს ეცნობება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

6. კანდიდატის რეგისტრაციის დადასტურების შემთხვევაში პირი საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის იხდის საფასურს 200 ლარის ოდენობით, რომელიც ირიცხება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება.

### **მუხლი 4. საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნა და ჩატარების ვადები**

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა (საერთო და/ან სპეციალიზაციის მიხედვით), თარიღი, აგრეთვე საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

**მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ენა**  
საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება სახელმწიფო ენაზე.

**მუხლი 6. საკვალიფიკაციო გამოცდა**

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საერთო და ერთ-ერთი სპეციალიზაციის მიხედვით.
2. სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში.
  3. საერთო სპეციალიზაციაში საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:
    - ა) საკონსტიტუციო სამართალი;
    - ბ) სისხლის სამართალი;
    - გ) სისხლის სამართლის პროცესი;
    - დ) სამოქალაქო სამართალი;
    - ე) სამოქალაქო სამართლის პროცესი;
    - ვ) ადმინისტრაციული სამართალი;
    - ზ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
    - თ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.
  4. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:
    - ა) საკონსტიტუციო სამართალი;
    - ბ) სამოქალაქო სამართალი;
    - გ) სამოქალაქო სამართლის პროცესი;
    - დ) ადმინისტრაციული სამართალი;
    - ე) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
    - ვ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.
  5. სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:
    - ა) საკონსტიტუციო სამართალი;
    - ბ) სისხლის სამართალი;
    - გ) სისხლის სამართლის პროცესი;
    - დ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

**მუხლი 7. საკვალიფიკაციო გამოცდის ეტაპები და შედეგების გამოცხადება**

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ბარდება ტესტური გამოცდა, ხოლო შემდეგ - წერითი გამოცდა.
2. წერით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ტესტურ გამოცდას.
3. საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება ტესტური და წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.
4. როგორც ტესტური, ისე წერითი გამოცდის შედეგები ელექტრონული სისტემის მეშვეობით ინდივიდუალურად ეცნობება ყველა კანდიდატს, ხოლო გამოცდის შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია განთავსდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

## **მუხლი 8. საგამოცდო ტესტი**

1. ტესტური გამოცდა ტარდება ელექტრონული სისტემის საშუალებით.
2. საგამოცდო ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ ას არჩევითპასუხიან დავალებას, რომელთა რაოდენობა დგინდება შემდეგნაირად:
  - ა) საერთო სპეციალიზაციის შემთხვევაში:
    - ა.ა) საკონსტიტუციო სამართალი - 10 დავალება;
    - ა.ბ) სისხლის სამართალი - 15 დავალება;
    - ა.გ) სისხლის სამართლის პროცესი - 15 დავალება;
    - ა.დ) სამოქალაქო სამართალი - 15 დავალება;
    - ა.ე) სამოქალაქო სამართლის პროცესი - 15 დავალება;
    - ა.ვ) ადმინისტრაციული სამართალი - 13 დავალება;
    - ა.ზ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი - 7 დავალება;
    - ა.თ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები - 10 დავალება;
  - ბ) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციის შემთხვევაში:
    - ბ.ა) საკონსტიტუციო სამართალი - 10 დავალება;
    - ბ.ბ) სამოქალაქო სამართალი - 25 დავალება;
    - ბ.გ) სამოქალაქო სამართლის პროცესი - 25 დავალება;
    - ბ.დ) ადმინისტრაციული სამართალი - 20 დავალება;
    - ბ.ე) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი - 10 დავალება;
    - ბ.ვ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები - 10 დავალება;
  - გ) სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შემთხვევაში:
    - გ.ა) საკონსტიტუციო სამართალი - 10 დავალება;
    - გ.ბ) სისხლის სამართალი - 40 დავალება;
    - გ.გ) სისხლის სამართლის პროცესი - 40 დავალება;
    - გ.დ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები - 10 დავალება.
3. დავალებები თავისი სირთულის მიხედვით იყოფა სამ დონედ: მარტივი, საშუალო და რთული. საგამოცდო დავალებების საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენს რთული, 65%-ს - საშუალო, ხოლო 15%-ს - მარტივი კატეგორიის დავალება.
4. დავალების ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილის - პირობისა და ოთხი სავარაუდო პასუხისაგან. დავალების ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა აღნიშნოს სწორი პასუხი.

## **მუხლი 9. დავალების შეფასება**

1. ყოველ დავალებაზე სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი კი - 0 (ნული) ქულით.
2. თუ არც ერთი პასუხი არ არის აღნიშნული, დავალების ამოხსნა შეფასდება 0 (ნული) ქულით.
3. ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0 (ნული) ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება - 100 (ასი) ქულა.

## **მუხლი 10. გამსვლელი ქულა**

გამოსაცდელი, რომელიც ტესტურ გამოცდაში დააგროვებს 75 (სამოცდათხუთმეტ) ან მეტ ქულას, გადის შემდეგ ეტაპზე და მას უფლება აქვს ჩააბაროს წერითი გამოცდა.

## **მუხლი 11. საგამოცდო დრო**



1. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ხუთი საათი. დროის ამოწურვის შემდეგ ელექტრონული სისტემა აფიქსირებს და აფასებს იმ პასუხებს, რომლის აღნიშვნაც მოახდინა გამოსაცდელმა.

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე.

### **მუხლი 12. საგამოცდო ტესტის შედგენა**

1. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს თითოეული კანდიდატისათვის საგამოცდო ტესტის ინდივიდუალურად შედგენას.

2. საგამოცდო ტესტის შედგენისას უნდა იქნეს დაცული თანმიმდევრობა საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგებისა და ამ დარგებში დავალებების სირთულის მიხედვით.

### **მუხლი 13. საკანონმდებლო მასალის გამოყენების აკრძალვა**

1. ტესტური გამოცდის განმავლობაში გამოსაცდელს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის, ასევე აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების (მათ შორის, მობილური ტელეფონების) გამოყენება.

2. გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასალის ან ტექნიკური საშუალების გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0 (ნული).

### **მუხლი 14. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმება**

1. ტესტური გამოცდის პასუხები მოწმდება ელექტრონული სისტემის საშუალებით და გამოცდის დასრულებისთანავე ხდება ცნობილი გამოსაცდელისათვის.

2. გამოსაცდელს გადაეცემა ტესტური გამოცდის პასუხების ფურცლის დამოწმებული ეგზემპლარი.

## **თავი III წერითი გამოცდა**

### **მუხლი 15. წერითი გამოცდა**

1. წერითი გამოცდა ტარდება ტესტური გამოცდის შემდეგ და მასზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ტესტური გამოცდა.

2. წერითი გამოცდა ტარდება ელექტრონული სისტემის საშუალებით ან წერილობითი ფორმით, რის თაობაზეც კანდიდატი წინასწარ ახდენს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ინფორმირებას.

### **მუხლი 16. წერითი გამოცდის ტესტი**

1. წერითი გამოცდის ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ 5 ლიაპასუხიან დავალებას, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) საერთო სპეციალიზაციის შემთხვევაში:

ა.ა) სისხლის სამართალი - 1 დავალება;

ა.ბ) სისხლის სამართლის პროცესი - 1 დავალება;

ა.გ) სამოქალაქო სამართალი და პროცესი - 1 დავალება;

ა.დ) ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი - 1 დავალება;

ა.ე) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები - 1 დავალება;

ბ) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციის შემთხვევაში:

ბ.ა) სამოქალაქო სამართალი - 1 დავალება;

- ბ.ბ) სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1 დავალეზა;
- ბ.გ) ადმინისტრაციული სამართალი - 1 დავალეზა;
- ბ.დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი - 1 დავალეზა;
- ბ.ე) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები - 1 დავალეზა;
- გ) სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შემთხვევაში:
  - გ.ა) სისხლის სამართალი - 2 დავალეზა;
  - გ.ბ) სისხლის სამართლის პროცესი - 2 დავალეზა;
  - გ.გ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები - 1 დავალეზა.

2. დავალეზის შესრულების დროს გამოსაცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი კვალიფიკაცია - სამართლებრივი ნორმების შეფარდება დავალეზაში მოცემულ სიტუაციასთან, ასევე დავალეზის ამგვარი გადაწყვეტის დასაბუთება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული არგუმენტებით.

### **მუხლი 17. წერიტი გამოცდის დავალეზების შეფასება**

1. წერიტი გამოცდის ყოველი დავალეზა ფასდება ხუთქულიანი სისტემით. მაქსიმალური შეფასება არის 5 (ხუთი) ქულა, ხოლო მინიმალური - 0 (ნული) ქულა.
2. წერიტი გამოცდის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 25 (ოცდახუთ) ქულას, ხოლო მინიმალური - 0 (ნული) ქულას.

### **მუხლი 18. წერიტი გამოცდის ტესტის შედგენა**

1. წერიტი გამოცდის ტესტის შედგენა ხდება თითოეული გამოსაცდელისათვის ინდივიდუალურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
2. გამოცდის წერილობითი ფორმით შესრულების შემთხვევაში, წერიტი გამოცდის დაწყების წინ გამოსაცდელს დაურიგდებათ საგამოცდო რვეულები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სათანადო აღნიშვნით. გამოსაცდელს არ აქვს უფლება წერიტი ნამუშევარი შეასრულოს სხვა რვეულში, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

### **მუხლი 19. წერიტი გამოცდის შედეგები**

წერიტი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ გამოსაცდელი დააგროვებს სულ ცოტა 15 (თხუთმეტი) ქულას.

### **მუხლი 20. წერიტი გამოცდის ჩაბარების დრო**

1. წერიტი გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ექვსი საათი. ელექტრონული სისტემა აფიქსირებს საგამოცდო დროის დასრულებას და ინახავს წერიტ ნამუშევარს.
2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ - დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე.

### **მუხლი 21. საკანონმდებლო მასალის გამოყენების უფლება**

1. წერიტი გამოცდის განმავლობაში დასაშვებია ნორმატიული მასალის გამოყენება.
2. გამოსაცდელს ეკრძალება კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის გამოყენება. გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მასალის გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0 (ნული).

### **მუხლი 22. ნაშრომის გასწორება**

1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისათვის ნაშრომის წარდგენა ხდება ნაბეჭდი სახით.

2. გამოცდის წერილობითი ფორმით ჩაბარების შემთხვევაში თითოეული გამოსაცდელი ნაშრომს აბარებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წარმომადგენელს.

3. წერითი ნაშრომები დაიშიფრება ელექტრონული სისტემის მიერ მინიჭებული კოდების (ნომრების) მიხედვით. ნაშრომების იდენტიფიკაცია მოხდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ, წერითი ნაშრომების გასწორების შემდეგ.

4. ყოველ დავალებას ასწორებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, მოცემული დარგის ორი სპეციალისტი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ანონიმურად, წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით და აკეთებს შეფასებას, თუ შეფასებები იდენტურია, შეფასების ნიშანი აისახება ელექტრონულ სისტემაში. თუ ნიშნებს შორის სხვაობა არ აღემატება ერთს, დავალების შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა შეთანხმებით, ხოლო თუ ნიშნებს შორის სხვაობა აღემატება ერთს, შეფასებისას გადამწყვეტია საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

5. წერითი გამოცდის შედეგების შემოწმებისას დაცულია გამოსაცდელისა და გამომცდელის ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

6. ნაშრომის გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ წერითი გამოცდის შედეგები შეიტანება საგამოცდო უწყისში და დასტურდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

#### **თავი IV** **საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია**

##### **მუხლი 23. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნა და მისი უფლებამოსილება**

1. საგამოცდო დავალებების შედგენის მეთოდოლოგიისა და მისი სირთულის დონის განსაზღვრის, დავალებების ბაზის მართვისა და ფორმირების, წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმების დადგენის, საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთა ცოდნის შემოწმებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შეფასების მიზნით იქმნება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია (შემდგომში - საგამოცდო კომისია).

2. საგამოცდო კომისია იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 20 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან 7 არის სისხლის სამართლის, 6 - სამოქალაქო სამართლის, 3 - ადმინისტრაციული სამართლის, 2 - საკონსტიტუციო სამართლის და 2 საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი,

3. საგამოცდო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. გადაწყვეტილებას საგამოცდო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საგამოცდო კომისია საქმიანობას ახორციელებს საკვალიფიკაციო გამოცდის გამოცხადებიდან გამოცდის შედეგების დამტკიცებამდე.

4. საგამოცდო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია. საგამოცდო კომისიის წევრის მიერ ანონიმურობის ვალდებულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისთვის საგამოცდო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი. საგამოცდო კომისიის წევრს არ აქვს უფლება გაამჟღავნოს საგამოცდო დავალების შინაარსი. საგამოცდო კომისიის წევრის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა იწვევს საგამოცდო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

5. საგამოცდო კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმების სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. საგამოცდო კომისიის წევრის საქმიანობა კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ანაზღაურებადია. საგამოცდო კომისიის წევრთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება საგამოცდო კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება.

##### **მუხლი 24. საგამოცდო კომისიის წევრობის პირობები**

1. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და მაღალი რეპუტაცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საგამოცდო კომისიის წევრი.

2. საგამოცდო კომისიის წევრის საქმიანობა ითვლება სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობად. საგამოცდო კომისიის წევრს უნდა გააჩნდეს კომისიის წევრის ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატით.

3. საგამოცდო კომისიის წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით. კენჭისყრა ტარდება სპეციალური ბარათების (ბიულეტენების) მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია შემოხაზოს ასარჩევ წევრთა საჭირო რაოდენობა, სამართლის შესაბამისი დარგების გათვალისწინებით. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა თანაბარი რაოდენობა ასარჩევზე მეტი რაოდენობის კანდიდატმა მიიღო, უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფრო მეტი წევრის მიერ იყო დასახელებული, აქვს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხი ან/და პრაქტიკული მუშაობის უფრო დიდი გამოცდილება.

### **მუხლი 25. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზაციული უზრუნველყოფა**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

2. დეპარტამენტს ევალება გამოცდების მოსამზადებლად აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, გამოცდის ჩატარების მსურველთა განცხადებების მიღება, მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება, საგამოცდო დავალებების ელექტრონულ სისტემაში შეყვანა, საგამოცდო ინსტრუქტაჟის მომზადება და გამოსაცდელებისათვის გაცნობა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოცდასთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის, საგამოცდო დავალებების ნიმუშების განთავსება და სხვა ტექნიკური დავალებების შესრულება.

3. დეპარტამენტის შესაბამის მოხელეს არ აქვს უფლება გაამჟღავნოს საგამოცდო დავალების შინაარსი. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა იწვევს საგამოცდო პროცესისგან მის ჩამოცილებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

### **მუხლი 26. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე**

1. საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საგამოცდო კომისიის წევრთაგან ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე:

ა) უძღვება საგამოცდო კომისიის სხდომებს;

ბ) განსაზღვრავს საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესში ჩართულ დეპარტამენტის შესაბამის მოხელეებს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს შესაბამის დავალებებს;

გ) საგამოცდო კომისიის წევრებს აცნობს საგამოცდო დავალებების დადგენილ სტანდარტს და მათთან ერთად შეიმუშავებს წერიითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმებს;

დ) ზედამხედველობს საგამოცდო კომისიის წევრის მიერ შედგენილი საგამოცდო დავალების კომისიის სხვა წევრთა მიერ გადამოწმების პროცესს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოფს დადგენილ სტანდარტებთან საგამოცდო დავალების შესაბამისობას;

ე) უშუალოდ მეთვალყურეობს გამოცდების შედეგების შეფასების პროცესს;

ვ) საგამოცდო კომისიის შემადგენლობიდან ქმნის საპრეტენზიო ჯგუფს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას;

ზ) საგამოცდო კომისიის მიერ გამოცდების შედეგების დამტკიცების შემდეგ წარუდგენს ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

### **მუხლი 27. საპრეტენზიო ჯგუფი**

1. საკვალიფიკაციო (ტესტური და წერითი) გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო ჯგუფი.

2. საპრეტენზიო ჯგუფის შემადგენლობას საგამოცდო კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

3. ტესტური და წერითი გამოცდის შემდეგ მიღებული შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო ჯგუფს მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით. პრეტენზია მიიღება გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას. დაგვიანებით შემოსული პრეტენზიები არ განიხილება.

4. ტესტური გამოცდის შეფასების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 70 (სამოცდაათი) ქულა.

5. წერითი გამოცდის შეფასების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 10 (ათი) ქულა.

6. საპრეტენზიო ჯგუფი შედგება 5 წევრისგან და მისი შემადგენლობა ანონიმურია.

7. საპრეტენზიო ჯგუფის მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

8. ტესტური და წერითი გამოცდის შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო ჯგუფი საპრეტენზიო განცხადებაზე აკეთებს დასაბუთებულ შეფასებას. საპრეტენზიო განცხადებების გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ პრეტენზიების განხილვის შედეგები შეიტანება უწყისში და დასტურდება საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

### **მუხლი 28. საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგებს ამტკიცებს საგამოცდო კომისია.

2. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

3. პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა, იღებენ სერტიფიკატს.

## **თავი V**

### **საკვალიფიკაციო გამოცდის უსაფრთხოების უზრუნველყოფა**

**მუხლი 29. საგამოცდო დავალებების ბანკი და მათ წვდომაზე უფლებამოსილ სუბიექტთა მოვალეობანი**

1. საგამოცდო დავალებათა ბანკი, რომელიც სპეციალურად მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდისთვის იქმნება, უნდა განთავსდეს ცალკე სერვერზე.

2. ყველა პირი, რომელიც ჩართულია საგამოცდო დავალებათა შექმნისა და მონიტორინგის პროცესში, შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით ადასტურებს გამოცდასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას.

3. სისტემაზე წვდომის უფლება აქვთ:

ა) სისტემის ადმინისტრატორს - ელექტრონული სისტემის ტექნიკური გამართულობის, სისტემის ინსტალაციის/განახლების, მონიტორინგისა და ოპტიმიზაციის მიზნით;

ბ) სისტემის პროგრამისტს - სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, მოდერნიზაციის, პროგრამული კოდის რევიზიის/ოპტიმიზაციის/გაუმჯობესების, სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით ახალი ალგორითმისა და არქიტექტურის შემუშავების, უშუალოდ პროგრამირების პროცესთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის შექმნის მიზნით;

გ) საგამოცდო კომისიის წევრს - საგამოცდო ნაშრომებისა და პრეტენზიების შეფასების მიზნით;

დ) დეპარტამენტის შესაბამის მოხელეს - საგამოცდო დავალებათა ელექტრონულ სისტემაში შეყვანისა და მიმდინარე საგამოცდო პროცესების მონიტორინგის მიზნით.

4. საგამოცდო კომისიის წევრი ვალდებულია შექმნას საგამოცდო დავალება დეპარტამენტის მიერ გადაცემულ ელექტრონულ მატარებელზე და გადასცეს უშუალოდ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს.

5. ამ წესის მიზნების გარდა დაუშვებელია საგამოცდო კომისიის წევრის მიერ შედგენილი საგამოცდო დავალების შემდგომი გამოყენება.

6. ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ შეატყობინონ ინფორმაცია კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების ან/და გამჟღავნების შესახებ.

### **მუხლი 30. საგამოცდო დავალებების გაცემა**

საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული საგამოცდო დავალებები არ არის საჯარო და არ გაიცემა.

## **თავი VI**

### **საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების წესი და ზედამხედველობა გამოცდის მიმდინარეობაზე**

#### **მუხლი 31. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების დრო**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის დღეს ყველა გამოსაცდელი უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე წინასწარ განსაზღვრულ დროს და გაიაროს რეგისტრაცია.

2. გამოსაცდელმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. გამოცდის დაწყების შემდეგ გამოცხადებული პირები გამოცდაზე არ დაიშვებიან.

#### **მუხლი 32. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შედეგები**

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა პირს უფლებას ართმევს მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოცდის საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას.

#### **მუხლი 33. საგამოცდო დარბაზში ადგილის დაკავების წესი**

1. საგამოცდო დარბაზში შესვლამდე გამოსაცდელეები იღებენ ადგილის დაკავებისათვის განკუთვნილ დანომრილ ბარათებს, რომლის მიხედვით იკავებენ ადგილს საგამოცდო დარბაზში.

2. საგამოცდო დარბაზში ადგილის თვითნებურად დაკავების შემთხვევაში გამოსაცდელი მოიხსნება გამოცდიდან.

#### **მუხლი 34. ინსტრუქტაჟი ტესტური და წერიტი გამოცდის დაწყებამდე**

გამოცდის დაწყებამდე გამოსაცდელს უტარდება ინსტრუქტაჟი ელექტრონული სისტემის გამოყენებისა და საგამოცდო დარბაზში ქცევის წესების შესახებ.

#### **მუხლი 35. საგამოცდო დარბაზში შესვლის უფლება**

საგამოცდო დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ გამოსაცდელეები და დეპარტამენტის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირები, შესაბამისი სამკერდე მოწმობით (ბეიჯით).

#### **მუხლი 36. საკვალიფიკაციო გამოცდიდან გაძევების შედეგები**

საკვალიფიკაციო გამოცდაზე წესრიგის დარღვევის გამო გამოსაცდელის გაძევების შემთხვევაში მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს მომდევნო საკვალიფიკაციო გამოცდაში.

**დანართი 2**

## **მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა**

### **ნაწილი I. შინაარსი**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი.
2. სისხლის სამართალი.
3. სისხლის სამართლის პროცესი.
4. სამოქალაქო სამართალი.
5. სამოქალაქო სამართლის პროცესი.
6. ადმინისტრაციული სამართალი.
7. ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.
8. ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

### **ნაწილი II. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი**

თემა I. საქართველოს კონსტიტუცია.

თემა II. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

თემა III. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.

თემა IV. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.

თემა V. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

თემა VI. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“.

თემა VII. საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“.

თემა VIII. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

თემა IX. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

თემა X. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“.

თემა XI. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

თემა XII. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

თემა XIII. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

თემა XIV. საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“.

თემა XV. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

თემა XVI. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები.

### **ნაწილი III. სისხლის სამართალი**

თემა I. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

თემა II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

### **ნაწილი IV. სისხლის სამართლის პროცესი**

თემა I. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

თემა II. პატიმრობის კოდექსი.

თემა III. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.

თემა IV. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“.

თემა V. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“.

თემა VI. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“.

თემა VII. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“.

თემა VIII. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

### **ნაწილი V. სამოქალაქო სამართალი**

თემა I. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

თემა II. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

თემა III. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.

თემა IV. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

თემა V. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

### **ნაწილი VI. სამოქალაქო სამართლის პროცესი**

თემა I. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

თემა II. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.

თემა III. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“.

### **ნაწილი VII. ადმინისტრაციული სამართალი**

თემა I. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

თემა II. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

თემა III. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

თემა IV. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“.

### **ნაწილი VIII. ადმინისტრაციული სამართლის პროცესი**

თემა I. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

თემა II. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლები 1-41; 200-314).

თემა III. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კარი I, XI, XIII, XIV).

თემა IV. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“.

თემა V. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

### **ნაწილი IX. ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები**

ა) საერთო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციებისათვის:

თემა I. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

თემა II. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

თემა III. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მისი ფაკულტატური ოქმი.

თემა IV. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების მიხედვით:

ა) ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ;

ბ) იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;

გ) მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ;



დ) სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.  
თემა V. საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტი.  
თემა VI. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია.  
თემა VII. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით დამტკიცებული „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ (1985 წელი).  
თემა VIII. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები (2002 წელი).  
თემა IX. მინსკის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ (1993 წლის 22 იანვარი).

**ბ) დამატებით, სისხლის სამართლის სპეციალიზაციისათვის:**

თემა I. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი).  
თემა II. გაეროს კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“.  
თემა III. ევროპული კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ.  
თემა IV. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების მიხედვით:

- ა) შამაევი და 12 სხვა პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ;
- ბ) ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ;
- გ) ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ;
- დ) მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ;
- ე) ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;
- ვ) აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ;
- ზ) ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ;
- თ) ქიტიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ;
- ი) ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ;
- კ) ჯალო გერმანიის წინააღმდეგ;
- ლ) არმან დე სილვა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ;
- მ) ჯ.ფ. შვედეთის წინააღმდეგ;
- ნ) ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ;
- ო) ბოუიდი ბელგიის წინააღმდეგ;
- პ) ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ.

**გ) დამატებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციისათვის:**

თემა I. ევროპის სოციალური ქარტია.  
თემა II. ჰააგის კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ.

თემა III. უცხო სახელმწიფოთა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია.

თემა IV. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების მიხედვით:

- ა) საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ;
- ბ) ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;
- გ) კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ;
- დ) ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;
- ე) გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ;
- ვ) სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;
- ზ) ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ;

- თ) გახარია საქართველოს წინააღმდეგ;
- ი) ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ;
- კ) ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ;
- ლ) ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ;
- მ) მეჯლის ისლამსკე ზაჯედნიცე ბრსკო და სხვები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ;
- ნ) კარაქსონი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ;
- ო) ტავარეს დე ალმეიდა ფერნანდესი და ალმეიდა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ;
- პ) ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ;
- ჟ) ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ.

დანართი 25

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/175 2018 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის, კოლეგიურად განსახილველ საქმეთა კატეგორიებისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტისა და 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სამოქალაქო საქმეთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) კატეგორია „ა“ - სანივთო (ქონებრივი) სამართლებრივი დავები; საოჯახო სამართლებრივი დავები; სამემკვიდრეო დავები.

ბ) კატეგორია „ბ“ - ვალდებულებით-სამართლებრივი დავები;

გ) კატეგორია „გ“ - კომერციული დავები (ამ გადაწყვეტილების მიზნებისთვის, კომერციულ დავას წარმოადგენს და მხოლოდ ამ ქვეკუნქტს განეკუთვნება ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიის ქონებრივ-სამართლებრივი დავა, გარდა საოჯახო სამართლებრივი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელებისა), თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს; სამეწარმეო სამართლებრივი დავები; უდავო წარმოების საქმეები; გამარტივებული წარმოების საქმეები; შრომითი სამართლებრივი დავები; მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული დავები; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავები; პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავები; ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები;

დ) კატეგორია „დ“ - არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეები, მათ შორის განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ/შუამდგომლობა არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეზე.

2. განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ადმინისტრაციულ საქმეთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) კატეგორია „ა“ - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე დავები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე დავები; ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების განხორციელების თაობაზე დავები; აღიარებითი სარჩელის თაობაზე დავები; სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები; სახელმწიფო სოციალური დაცვის თაობაზე დავები; საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>- VII<sup>16</sup> თავებით განსაზღვრული დავები;

ბ) კატეგორია „ბ“ - ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების თაობაზე დავები; საგადასახადო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები; შრომითი დავები; ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები; მიწის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები; საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup> - VII<sup>16</sup> თავებით განსაზღვრული დავები;

გ) კატეგორია „გ“ - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განსახილველი საქმეები.

3. განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) კატეგორია „ა“ - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ); ეკონომიკური დანაშაული (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ); დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული); დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (ტერორიზმი; სამოხელეო დანაშაული; დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ);

ბ) კატეგორია „ბ“ - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა); ეკონომიკური დანაშაული (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში; დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში); დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა; დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; სატრანსპორტო დანაშაული); დანაშაული სახელმწიფოს

წინააღმდეგ (დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ; ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა; სამოხელეო დანაშაული); დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ;

გ) კატეგორია „გ“ - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ); ეკონომიკური დანაშაული (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ); დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ; საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში; კიბერდანაშაული); დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (სამოხელეო დანაშაული); დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები თანაბრად განიხილავენ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობებს, საჩივრებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 282-289-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებზე და სხვა კატეგორიის საქმეებს.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით შერჩეულმა სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ შესაძლებელია იმავე პალატის სხვა ვიწრო სპეციალიზაციის საქმის განხილვაში მიიღოს მონაწილეობა.

#### **6. ამოღებულია**

7. სამართალწარმოების მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ სასამართლოში შემოსულ შუამდგომლობებს და სხვა დამატებით საკითხებს განიხილავს საქმის განმხილველი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლე.

8. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, საქმეს განიხილავს გადაწყვეტილების განჩინების გამომტანი მოსამართლე, ხოლო მისი უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში გადასვლის ან სხვა სასამართლოში მივლინების შემთხვევაში - შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლე.

9. ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობას განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ბრძანებით.

10. სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შესაბამის ვიწრო სპეციალიზაციაში განაწილებას უზრუნველყოფს სასამართლოს კანცელარია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მიხედვით.

10<sup>1</sup>. ეს გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ მისი ამოქმედების შემდეგ შემოსულ საქმეებზე.

11. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 4 მაისიდან.

*გიორგი მიქუტაძე*

საქართველოს იუსტიციის

~

დანართი 26

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
№1/251 2018 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო  
სასამართლოების აპარატების მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული

(საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების აპარატების მოხელეთა შეფასების წესი“ თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

2018 წლის 24 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილებით

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და  
სააპელაციო სასამართლოების აპარატების მოხელეთა შეფასების  
წესი**

**მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი**

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების აპარატებში ნებისმიერი იერარქიული რანგის თანამდებობაზე დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელის/გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელის (შემდგომში - მოხელე) ან/და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების (შემდგომში - შეფასება) პროცედურას, პირობებს, პროცედურაში მონაწილე სუბიექტთა უფლება-მოვალეობებს, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და ანგარიშგების წესებს.

**მუხლი 2. შეფასების პრინციპები**

შეფასება წარმოებს კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა შეუთავსებლობის დაუშვებლობის, ნდობის, საჯარო დაწესებულებისა და მოხელის ინტერესთა თანაზომიერების პრინციპების დაცვით.

**მუხლი 3. შეფასების პერიოდულობა**

1. მოხელე შეფასებას ექვემდებარება წელიწადში ერთხელ მაინც (შესაფასებელი პერიოდი), ხოლო გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელე - კვარტალში ერთხელ.

2. მოხელე შეფასებას ექვემდებარება შესაბამის თანამდებობაზე სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დაწყებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ.

**მუხლი 4. შეფასების პროცესის მონაწილე სუბიექტები**

1. შეფასების პროცესში მონაწილეობენ მოხელე, მისი უშუალო ხელმძღვანელი და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეული/პირი.

2. შეფასების პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა ევალება ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ ერთეულს/პირს.

## **მუხლი 5. მოხელის უფლება-მოვალეობანი**

1. შეფასების პროცესში მონაწილე მოხელეს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს შეფასების პერიოდში შექმნილ დოკუმენტურ მასალებს;

ბ) შეფასების თითოეულ ეტაპზე თავისუფლად და შეუზღუდავად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, წარადგინოს შესაბამისი განმარტებები წერილობით, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით; წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით;

გ) გაასაჩივროს შეფასების შედეგები;

დ) განახორციელოს ამ წესითა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

2. მოხელე ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შეფასების პროცესის ობიექტურად განხორციელებას და თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს შეუშლის შეფასების პროცესის სამართლიანად განხორციელებას;

ბ) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განახორციელოს დაკისრებული მოვალეობები და შეფასების შეუფერხებლად წარმართვისთვის წარადგინოს მასალები დროულად;

გ) ხელმძღვანელის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია შეფასების პროცესთან;

დ) შეასრულოს ხელმძღვანელის მითითებები, შეფასების შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

3. შესაფასებელი მოხელის მიერ შეფასებაზე უარის თქმა განიხილება მძიმე დისციპლინურ გადაცდომად.

## **მუხლი 6. უშუალო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი**

1. შეფასების პროცესში მონაწილე უშუალო ხელმძღვანელს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს შეფასების პროცესში შექმნილ მასალებს;

ბ) მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა და საჭიროების შემთხვევაში, შესაფასებელ მოხელეს განუსაზღვროს დამატებითი ვადა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარსადგენად;

გ) განახორციელოს ამ წესითა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

2. შეფასების პროცესში მონაწილე უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) კანონიერად, ობიექტურად, შესაფასებელი მოხელის უფლებების შეულახავად განახორციელოს შეფასება;

ბ) დადგენილი წესით მიაწოდოს ინფორმაცია შესაფასებელ მოხელეს გასაუბრების შესახებ;

გ) წარუდგინოს შესაფასებელ მოხელეს შეფასების შედეგი;

დ) დროულად და სისტემატურად აწარმოოს დაკვირვება მის მიერ შესაფასებელი მოხელის საქმიანობაზე.

## **მუხლი 7. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულის/პირის უფლებამოსილება**

1. შეფასების პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ ერთეულს/პირს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს შეფასების პროცესში შექმნილ მასალებს;

ბ) მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა;

გ) აწარმოოს დაკვირვება შეფასების პროცესის კანონიერად მიმდინარეობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართოს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით;

დ) განახორციელოს ამ წესითა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

2. შეფასების პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეული/პირი ვალდებულია:

ა) კანონიერად, ობიექტურად, შესაფასებელი მოხელის უფლებების შეულახავად განახორციელოს შეფასების პროცესში ჩართულობა;

ბ) დადგენილი წესით მიაწოდოს ინფორმაცია შესაფასებელ მოხელეს შეფასების მიმდინარეობის შესახებ;

გ) აცნობოს შეფასების შედეგები სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში – ბიურო);

დ) დროულად და სისტემატურად აწარმოოს დაკვირვება შეფასების პროცესის მიმდინარეობაზე;

ე) შეისწავლოს და განაზოგადოს მოხელის შეფასებასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა და მეთოდური დახმარება გაუწიოს შეფასების პროცესის მონაწილეებს, შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

### **მუხლი 8. შეფასების საგანი**

1. შეფასებას ექვემდებარება მოხელე ან/და მის მიერ შესრულებული სამუშაო შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში.

2. მოხელის შეფასება ხდება მოხელის ფუნქციების, კომპეტენციების, უნარ-ჩვევების, ქცევის წესების ან/და მის მიერ განხორციელებული მიზნებისა და ამოცანების (კომპონენტების) შეფასების შედეგების შესაბამისად. შეფასება ხდება დოკუმენტური მასალის შეფასებითა და მოხელესთან გასაუბრებით.

3. დოკუმენტური მასალა მოიცავს შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტაციას. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია - შეფასების მეთოდის განსაზღვრასთან ერთად, დაადგინოს შესაფასებელი დოკუმენტური მასალის შექმნის წესი.

4. გასაუბრება წარმოადგენს შესაფასებელი პერიოდის ბოლოს დოკუმენტური მასალის ანალიზის პროცესს, რა დროსაც, აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, ჩართულნი არიან ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირები და რომლის საბოლოო შედეგი ფორმდება წერილობით, მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით, ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით. გასაუბრება ასევე ამოწმებს იმ შედეგებს, რაც დოკუმენტური მასალის ანალიზით ვერ მიიღწევა.

5. შესაფასებელი პერიოდის დაწყებისთანავე საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი/შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შეფასების მეთოდს, ასევე დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესს, ხოლო უშუალო ხელმძღვანელი აცნობებს მას მოხელეს, ასევე განუმარტავს შეფასების მეთოდს, შეფასების ქულების მინიჭების, საბოლოო შედეგის გამოთვლისა და გასაჩივრების წესს.

6. მიმდინარე შეფასება უნდა დასრულდეს ახალი შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე მაინც.

### **მუხლი 9. შესასრულებელი სამუშაოს ან/და ხელმძღვანელის ცვლილება შეფასების პერიოდში**

1. შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში მოხელისათვის განსაზღვრული შეფასების კომპონენტების მთლიანად ან ნაწილობრივ ცვლილების შემთხვევაში, მოხელის უშუალო ხელმძღვანელი შეფასებისას, ახალ მონაცემებთან ერთად, ითვალისწინებს ცვლილებამდე არსებულ მონაცემებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი პერიოდის დასრულებამდე, მოხელე სამუშაოდ გადავიდა სხვა საჯარო დაწესებულებაში ან შეიცვალა თანამდებობა კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებით, მისი შეფასება განხორციელდება სხვა საჯარო დაწესებულებაში ან ახალი თანამდებობისათვის არსებული შეფასების მეთოდების საფუძველზე.



3. უშუალო ხელმძღვანელის ცვლილებისას, მოხელის საქმიანობის შეფასებას ახორციელებს ზემდგომი თანამდებობის პირი ან ახალი უშუალო ხელმძღვანელი, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

### **მუხლი 10. შეფასების მეთოდი**

1. შეფასების მეთოდი არის ფორმალიზებული, სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც ზომავს შეფასების საგანს, განსაზღვრავს შეფასების პროცესში ჩართულ პირებს და პერიოდულობას.

2. გადაწყვეტილებას შეფასების მეთოდის შესახებ იღებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ ერთეულსა/პირსა და შესაფასებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთან განხილვის საფუძველზე.

3. საჯარო დაწესებულება შეფასების მეთოდს განსაზღვრავს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- ა) დაწესებულების ან/და მისი სტრუქტურული ერთეულის სპეციფიკურობა;
- ბ) მოხელის იერარქიული რანგის ან/და თანამდებობის შინაარსის სპეციფიკურობა;
- გ) საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების დონისა და ორგანიზაციული კულტურის სპეციფიკურობა.

4. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია, თავად შეარჩიოს შეფასების მეთოდი ყოველი წლის დასაწყისში. საჯარო დაწესებულების მიერ შერჩეული შეფასების მეთოდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ინფორმაციის სახით ეცნობება ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

5. დაუშვებელია საჯარო დაწესებულების მიერ თითოეული მოხელის მიმართ შერჩეული შეფასების მეთოდის ცვლილება შესაფასებელ პერიოდში.

### **მუხლი 11. შეფასების სისტემა**

შეფასებისათვის გამოიყენება ოთხდონიანი სისტემა:

- ა) საუკეთესო შეფასება – მოვალეობა ან/და მოსალოდნელზე მეტი სამუშაო საუკეთესოდ შესრულდა, მოხელე მკვეთრად გამოირჩევა შედეგებით ან/და პროფესიული უნარ-ჩვევებით;
- ბ) კარგი შეფასება – მოვალეობა კარგად შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები სტაბილურად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) დამაკმაყოფილებელი შეფასება – მოვალეობა ნაწილობრივ კარგად შესრულდა და გაუმჯობესებას საჭიროებს, მოხელე არსებითად არ გამოირჩევა პროფესიული უნარ-ჩვევებით;
- დ) არადამაკმაყოფილებელი შეფასება – მოვალეობა არ შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

### **მუხლი 12. შეფასების სამართლებრივი შედეგები**

1. შეფასებას შესაძლებელია მოჰყვეს შემდეგი სამართლებრივი შედეგები:

- ა) მოხელისათვის კლასის მინიჭება;
- ბ) მოხელის წახალისება;
- გ) მოხელის პროფესიული განვითარების, მისი სწავლების საჭიროების განსაზღვრა;
- დ) მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული თითოეული სამართლებრივი შედეგის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 13. შეფასების შედეგის გასაჩივრება და განმეორებითი გასაუბრება ზემდგომ თანამდებობის პირთან**

1. მოხელე უფლებამოსილია, საბოლოო შეფასების შედეგების გაცნობის დღიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, თუ იგი არ ეთანხმება საბოლოო შეფასების შედეგს, წერილობით მიმართოს

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს და მოითხოვოს დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების ხელმეორედ ჩატარება.

2. განმეორებით დოკუმენტური მასალის შეფასება და გასაუბრება უნდა ჩატარდეს ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ჩართულობით, ახალი შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე მაინც.

3. განმეორებითი გასაუბრების შემდგომ გადაწყვეტილებას, შეფასების საბოლოო შედეგის შესახებ, იღებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

#### **მუხლი 14. შეფასების შედეგების გასაჩივრება ადმინისტრაციული წესით**

მოხელე უფლებამოსილია, შეფასების შედეგები (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) გაასაჩივროს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 15. კონფიდენციალობა**

შეფასების შედეგები კონფიდენციალურია. შეფასების შედეგებზე წვდომა გააჩნიათ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, მის მოადგილეს, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს, უშუალო ხელმძღვანელს, შესაფასებელ/შეფასებულ მოხელესა და ბიუროს.

#### **მუხლი 16. შეფასების შედეგების სისტემატიზაცია**

საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეული/პირი, შესაფასებელი პერიოდის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, შეფასების შედეგებს ასახავს ელექტრონულ სისტემაში და პასუხისმგებელია მის სისრულესა და სიზუსტეზე.

#### **მუხლი 17. შეფასების ანგარიშის წარდგენა**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, წინა წლის შეფასების ანგარიში წარუდგინოს ბიუროს არაუგვიანეს ყოველი წლის 31 იანვრისა.

2. ანგარიშში აისახება:

ა) შეფასების შედეგები;

ბ) შეფასების სამართლებრივი შედეგები;

გ) მეთოდური დახმარების თხოვნა, მისი საჭიროების შემთხვევაში.

3. საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეული/პირი ვალდებულია - მოხელეთა შეფასების ანგარიში ასევე წარუდგინოს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, მისი მოთხოვნის საფუძველზე.

დანართი 27

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ე ბ ა

№ 1/41

2019 წლის 6 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმის, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას

**გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმისა და სპეციალური კითხვარის და მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-11 პუნქტების, 34<sup>3</sup> მუხლის მე-6 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 1 მაისის ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ელექტრონული ფორმა (დანართი N1);

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა (დანართი N2);

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი სპეციალური კითხვარის ფორმა (დანართი N3);

დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა (დანართი N4);

ე) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა (დანართი N5).

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**გიორგი მიქაუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი №1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმა

პერსონალური მონაცემები

სახელი:	_____
გვარი:	_____
სახელის/გვარის შეცვლის შემთხვევაში მიუთითებდ მკველი სახელი/გვარი	_____
სახელი, გვარი:	_____
სქესი	<input type="checkbox"/> მამრობითი <input type="checkbox"/> მდედრობითი

დაბადების თარიღი, ადგილი: / /   \_\_\_\_\_

ოჯახური სტატუსი:  დასაქორწინებული  განქორწინებული  
 დაქორწინებული  ქვრივი  სხვა

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ ID ბარათი:	პირადი ნომერი: გაცემის თარიღი: მოქმედების ვადა: დოკუმენტ ნომერი: გამცემი ორგანო:	_____ - _____ - _____ - _____ - _____ -
რეგისტრაციის მისამართი:	ქალაქი/მუნიციპ.: სოფელი/დაბა; ქუჩა/მკრ-რაიონი: კორპუსი/ბინა:	_____ - _____ - _____ - _____ -
საცხოვრებელი მისამართი:	ქალაქი/მუნიციპ.: სოფელი/დაბა; ქუჩა/მკრ-რაიონი: კორპუსი/ბინა:	_____ - _____ - _____ - _____ -
ტელეფონი:	ბინა:	_____



			----- - ----- - ----- - ----- -
	დოქტორანტურა	საჯარო/კერძო სკოლა: სწავლ. დაწყება: სწავლ. დამთავრება:  სასწ. დაწესებულება: ფაკულტეტი: სწავლ. დაწყება: სწავლ. დამთავრება: აკადემიური ხარისხი: კვალიფ. დამადასტ. დოკუმენტის სახე: გაცემის თარიღი/ნომერი:	----- - ----- - ----- - ----- - ----- - ----- - ----- - ----- -

**სამუშაო გამოცდილება**

შენიშვნა: მიუთითეთ სამუშაო გამოცდილება კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ

მუშაობის წლები	თანამდებობა	ორგანიზაცია	უშუალო ხელმძღვ. სახელი/გვარი , ტელ., ელ. ფოსტა	გათავისუფლე ბის საფუძველი	საქმიანობის შინაარსი

**დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა**

შენიშვნა: მიუთითეთ ინფორმაცია გავლილი სტაჟირების, ტრენინგების, სემინარების, სასწავლო კურსების, საკვალიფიკაციო გამოცდის, საერთაშორისო კონფერენციის და ა.შ. შესახებ

თემა	თარიღი	ადგილი	ორგანიზაციის დასახელება	დაფინანსების წყარო

**ინფორმაცია მიღწევების შესახებ**

ეწევით თუ არა პედაგოგიურ საქმიანობას ან ხართ თუ არა რაიმე სამართლებრივი სალექციო კურსის ავტორი?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ კურსის დასახელება, უმაღლესი სასწავლებელი, კურსის ხანგრძლივობა)	
_____	
_____	

ხართ ან ყოფილხართ თუ არა სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი ან გაქვთ თუ არა გამოქვეყნებული სამართლებრივი სტატიები?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ ჟურნალი (რეფერირებადი/არარეფერირებადი), სახელწოდება, გამოცემა, თარიღი)	
_____	
_____	

ხართ თუ არა სამართლებრივი მონოგრაფიის/წიგნის ავტორი ან თანავტორი?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სახელწოდება, გამომცემელი, გამოცემის წელი, თანავტორი)	
_____	
_____	

ხართ თუ არა რაიმე სტიპენდიის, ჯილდოს ან საპატიო წოდების მფლობელი?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სახე/მინიჭების თარიღი)	
_____	
_____	

--

**ენების ცოდნა**

<b>მიუთითეთ ენა</b>	კითხვა	<input type="checkbox"/> მინიმალური	<input type="checkbox"/> საშუალო	<input type="checkbox"/> კარგი	<input type="checkbox"/> ძალიან კარგი
	საუბარი	<input type="checkbox"/> მინიმალური	<input type="checkbox"/> საშუალო	<input type="checkbox"/> კარგი	<input type="checkbox"/> ძალიან კარგი
	წერა	<input type="checkbox"/> მინიმალური	<input type="checkbox"/> საშუალო	<input type="checkbox"/> კარგი	<input type="checkbox"/> ძალიან კარგი

**კომპიუტერული პროგრამების ცოდნა**

მიუთითეთ კომპიუტერული პროგრამა	<input type="checkbox"/> მინიმალური	<input type="checkbox"/> საშუალო	<input type="checkbox"/> კარგი
--------------------------------	-------------------------------------	----------------------------------	--------------------------------

**პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა**

ხართ ან ყოფილხართ თუ არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ	
პოლიტიკური პარტია: _____	
წევრობის პერიოდი: _____	
თანამდებობა: _____	

ხართ ან ყოფილხართ თუ არა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ	
ორგანიზაცია: _____	
წევრობის პერიოდი: _____	
თანამდებობა: _____	

**ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ**

შენიშვნა: მიუთითეთ ინფორმაცია მშობლების, მეუღლის, შვილების, და-ძმის, მეუღლის მშობლებისა და მეუღლის და-ძმის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მიუთითეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პირები თქვენთან ერთად არ ცხოვრობენ. ასევე მიუთითეთ ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც არ არიან თქვენთან ნათესაურ კავშირში, მაგრამ მუდმივად ცხოვრობენ თქვენთან ერთად.

ნათესაური	სახელი, გვარი	დაბად.	სამუშაო	საცხ.	ტელეფონი,
-----------	---------------	--------	---------	-------	-----------



კავშირი		თარიღი, ადგილი	ადგილი, თანამდებობა	მისამართი	ელ.ფოსტა

**ინფორმაცია ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ**

სახელი, გვარი	განაჩენის თარიღი	გამომტანი სასამართლო	სსკ-მს მუხლი, სასჯელის სახე და ზომა	ნასამ. მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი

**სამართალწარმოება თქვენს მიმართ**

ხართ თუ არა ნასამართლელი ?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ განაჩენის თარიღი, გამომტანი სასამართლო, სსკ-ის მუხლი, ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა, ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი)	

გაქვთ თუ არა ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ განაჩენის თარიღი, გამომტანი სასამართლო, სსკ-ის მუხლი, ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა, ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი)	

ყოფილხართ თუ არა მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი სასამართლო დავაში:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ განაჩენის თარიღი, გამომტანი სასამართლო, სსკ-ის მუხლი, ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა, ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების თარიღი)	
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ სამართალწარმოებაში თქვენი სტატუსი, გადაწყვეტილების თარიღი, გამომტანო სასამართლო, დავის არსი და შედეგი)	

დაგკისრებიან თუ არა საურავი სესხის გადაუხდელობის გამო:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ ბანკის დასახელება, საურავის ოდენობა)	

გქონიათ თუ არა პრობლემები გადასახადის გადაუხდელობის, დაგვიანებით გადახდის ან წარმოქმნილი საურავის გამო:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ მიზეზი, ჯარიმის/საურავის ოდენობა)	

ყოფილხართ თუ არა სახდელდადებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის:	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
-------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

გქონიათ თუ არა დაკისრებული დისციპლინური სახდელი:	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ თარიღი, საფუძველი, დაკისრებული სახდელი)		

არის თუ არა დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული ?	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
--------------------------------------------------	-------------------------------	------------------------------

### თვითშეფასება

რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად კარიერაში ?

ჩამოაყალიბეთ თქვენი ხედვა ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით:

- მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმებიდან მიუთითეთ სულ მცირე სამი კრიტერიუმი, რომელშიც წარმატებულად გრძნობთ თავს.
- რატომ არის მოსამართლედ მუშაობა თქვენთვის მნიშვნელოვანი და რა წარმოდგენა გაქვთ ზოგადად მოსამართლის სტატუსზე.
- თქვენი დანიშნის შემთხვევაში რა სარგებლის მოტანა შეგიძლიათ სასამართლო სისტემისთვის და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

არსებობს თუ არა პირად ცხოვრებასთან ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სხვა გარემოება ან ინფორმაცია, რომელიც მიგაჩნიათ, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ?	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------	------------------------------

(დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ)

### რეკომენდატორები

შენიშვნა: მიუთითეთ რეკომენდატორები (არანაკლებ 3), რომლებთანაც შესაძლებელი იქნება დაზუსტდეს თქვენი კვალიფიკაციისა და სხვა უნარების შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია. გთხოვთ, რეკომენდატორებად ნუ მიუთითებთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_  
სამსახ. ან პირადი დამოკიდებულება: \_\_\_\_\_  
ტელეფონი: \_\_\_\_\_  
ელ. ფოსტა: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

## თანდართული დოკუმენტების ნუსხა

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ავტობიოგრაფია;
- ბ) დიპლომის ასლი თანდართული ნიშნების ფურცლით;
- გ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N 100);
- დ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- ე) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ნამსახურობის ნუსხა;
- ვ) სამართლებრივი დოკუმენტები (სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, სამართლებრივი დასკვნა/მოსაზრება, სასამართლო გადაწყვეტილება და ა.შ.) კომპეტენტურობის კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების, მათ შორის, წერის უნარის შესაფასებლად;
- ზ) სერტიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) კანდიდატის სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობა ინფორმაციის მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისათვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე შემდეგი სახით:

### **კვალიფიკაცია, კომპეტენცია, პირადი და პროფესიული კეთილსინდისიერება**

ვალდარებ და ვადასტურებ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წარმომადგენლებს უფლება აქვთ გადაამოწმონ კანდიდატის თაობაზე ჩემი განცხადებით წარდგენილი ინფორმაციისა და სხვა დოკუმენტაციის სიზუსტე და სისრულე.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ საბჭოს გააჩნია ჩემი კეთილსინდისიერებისა და პროფესიული კვალიფიკაციის სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება ჩემი პირადი და პროფესიული ღირსების პატივისცემის დაცვით. ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ ასეთი გამოკვლევის განხორციელებისას, საბჭოს წარმომადგენლები შეიძლება დაუკავშირდნენ და გაესაუბრონ სხვადასხვა პირებს, მათ შორის, ყოფილ და ამჟამინდელ კოლეგებსა და თანამშრომლებს, დამქირავებლებს, ყოფილ და ამჟამინდელ სამუშაო ხელმძღვანელებს, საბანკო დაწესებულებებს, სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, სახელისუფლო დაწესებულებებისა და დისციპლინური ორგანოების აპარატის მოხელეებს, სამართლის პედაგოგებსა და სხვა პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ამა თუ იმ ინსტიტუტებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოხსენიებული მაქვს წინამდებარე განცხადებაში, ასევე გამოითხოვონ ჩემი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმ სამეწარმეო სუბიექტისგან, რომელიც საქმიანობს საკრედიტო ინფორმაციის სფეროში.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ საბჭოს წარმომადგენლებს შეუძლიათ ინფორმაციის მოძიებისას ნებისმიერ პირთან დაკავშირება ან/და ინფორმაციის გამოთხოვა.

მე სახელდებით ვაძლევ საბჭოს და მისი სახელით მოქმედ კომპეტენტურ პირებს ნებართვას, დაუკავშირდნენ და ინტერვიუ ჩამოართვან ყველა იმ პირს, რომლებიც საბჭოს შესაბამისად მიაჩნია ჩემი კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პატიოსნების გამოსაკვლევად. მე სპეციალურად ვრთავ ნებას ყველა პირს, გულწრფელად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას და უზრუნველყოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ინფორმაცია პერსონალური ან კონფიდენციალური.

### **კონფიდენციალურობა**

ვეთანხმები და ვადასტურებ ჩემი განაცხადის მხარდასაჭერად წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების, ისევე როგორც საბჭოს მიერ გამოკვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციის, ასევე სხვა პირებისა თუ დაწესებულებების მიერ საბჭოსათვის გადაცემული ინფორმაციის საქართველოს პარლამენტისათვის გადაცემას/გასაჯაროებას.

დანართი №2

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ესაჭიროება თქვენი შეფასება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარსადგენ კანდიდატთან დაკავშირებით. გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე რეკომენდაცია და დაუბრუნოთ იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა: (ტექსტი უნდა შეივსოს ქართული ანბანით, 11-იანი შრიფტით)

რეკომენდატორის სახელი, გვარი:	_____
რეკომენდატორის თანამდებობა:	_____
რეკომენდატორის ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა:	_____
კანდიდატის სახელი, გვარი:	_____
საიდან და რამდენი ხანია იცნობთ კანდიდატს?	_____
მის პირად თვისებებს:	<input type="checkbox"/> არ იცნობთ <input type="checkbox"/> იცნობთ საშუალოდ <input type="checkbox"/> იცნობთ კარგად
მის პროფესიულ კვალიფიკაციას:	<input type="checkbox"/> არ იცნობთ <input type="checkbox"/> იცნობთ საშუალოდ <input type="checkbox"/> იცნობთ კარგად

გთხოვთ, კანდიდატი შეაფასოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კეთილსინდისიერება

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

\_\_\_\_\_

- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა

\_\_\_\_\_

- პიროვნული და პროფესიული ქცევა

\_\_\_\_\_

- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

---

## კომპეტენტურობა

- სამართლის ნორმების ცოდნა
- 

- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია
- 

- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი
- 

- პროფესიული თვისებები
- 

- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა
- 

- პროფესიული აქტივობა
- 

გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ დამატებით შეკითხვებს:

დაასახელეთ კანდიდატის ყველაზე გამორჩეული  
დადებითი თვისებები;

\_\_\_\_\_

—

დაასახელეთ კანდიდატის სისუსტეები და  
ნაკლოვანებები;

\_\_\_\_\_

—

როგორ შეაფასებდით საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე  
კანდიდატის შესაბამისობას?

\_\_\_\_\_

—

თარიღი:

\_\_\_\_\_

ხელმოწერა:

\_\_\_\_\_

დანართი №3

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს  
პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი  
სპეციალური კითხვარის ფორმა

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ესაჭიროება თქვენი პასუხები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარსადგენი კანდიდატის შესაფასებლად. გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე კითხვარი და დაუბრუნოთ იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მენიშვნა: (ტექსტი უნდა შეავსოს ქართული ანბანით, 11-იანი შრიფტით)

რესპოდენტის სახელი, გვარი:	_____
დაწესებულება:	_____
კანდიდატის სახელი, გვარი:	_____
<input type="checkbox"/> აღნიშნულ კანდიდატთან ბოლო პერიოდში არ მქონია ურთიერთობის რაიმე გამოცდილება და არ მაქვს კომენტარის გაკეთების სურვილი.	
საიდან და რამდენი ხანია იცნობთ კანდიდატს?	_____
მის პირად თვისებებს:	<input type="checkbox"/> არ იცნობთ <input type="checkbox"/> იცნობთ საშუალოდ <input type="checkbox"/> იცნობთ კარგად
მის პროფესიულ კვალიფიკაციას:	<input type="checkbox"/> არ იცნობთ <input type="checkbox"/> იცნობთ საშუალოდ <input type="checkbox"/> იცნობთ კარგად
ის არის თქვენი: (შესაძლებელია ორი ან მეტი გრაფის აღნიშვნა)	<input type="checkbox"/> ყოფილი ან ამჟამინდელი თანამშრომელი <input type="checkbox"/> კოლეგა <input type="checkbox"/> ყოფილი სტუდენტი <input type="checkbox"/> სხვა _____ (დააკონკრეტეთ)

გთხოვთ, კანდიდატი შეაფასოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

### კეთილსინდისიერება

1. პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას, სიმართლისმოყვარეობა:

არ აკმაყოფილებს  აკმაყოფილებს  სრულად აკმაყოფილებს  მიჭირს შეფასება

2. პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, ასევე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა:

არ აკმაყოფილებს  აკმაყოფილებს  სრულად აკმაყოფილებს  მიჭირს შეფასება

3. თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა, სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას:

არ აკმაყოფილებს  აკმაყოფილებს  სრულად აკმაყოფილებს  მიჭირს შეფასება

4. საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი:

არ აკმაყოფილებს  აკმაყოფილებს  სრულად აკმაყოფილებს  მიჭირს შეფასება

#### კომპეტენტურობა

1. მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) ცოდნის დონე:

ცუდი  მინიმალური  საშუალო  კარგი  ძალიან კარგი  მიჭირს შეფასება

2. ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა:

ცუდი  მინიმალური  საშუალო  კარგი  ძალიან კარგი  მიჭირს შეფასება

3. აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა:

ცუდი  მინიმალური  საშუალო  კარგი  ძალიან კარგი  მიჭირს შეფასება

4. პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები:

ცუდი  მინიმალური  საშუალო  კარგი  ძალიან კარგი  მიჭირს შეფასება

5. სიახლეების მიმართ ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება:

ცუდი  მინიმალური  საშუალო  კარგი  ძალიან კარგი  მიჭირს შეფასება

6. ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება:

ცუდი  მინიმალური  საშუალო  კარგი  ძალიან კარგი  მიჭირს შეფასება

თარიღი: \_\_\_\_\_

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

დანართი №4

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდენობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის  
კანდიდატის \_\_\_\_\_

შეფასების შედეგი:

(სახელი, გვარი)

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით**

მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა		25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია		25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი		20
პროფესიული თვისებები		15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა		10
პროფესიული აქტივობა		5
<b>ქულათა ჯამი</b>		<b>100</b>

თარიღი:

დანართი №5

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის  
კანდიდატის \_\_\_\_\_

შეფასების შედეგი:

(სახელი, გვარი)

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით**

მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

კრიტერიუმი	მიღებული	მაქსიმალური
------------	----------	-------------



	ქულა	ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა		20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია		20
წერის უნარი		20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი		15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში		15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა		5
პროფესიული აქტივობები		5
<b>ქულათა ჯამი</b>		<b>100</b>

თარიღი:

დანართი 28

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N 1/218 2019 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი  
მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ

„1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმა თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**გიორგი მიქაუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2019 წლის 30 სექტემბრის N 1/218 გადაწყვეტილებით

**მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმა**

სახელი , გვარი	დაბადე ბის წელი	კვალიფიკა ცია/ აკადემიურ ო სტატუსი	რეესტრ აციის თარღი	სიითი ნომერ ი	მედიაცი ს ადიარებუ ლი ორგანიზა ციის აკრედიტა ცია	საქმიანო ბის არეალი	სამუშა ო ენა	საკონტაქ ტო ინფორმა ცია

დანართი 29

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N 1/366 2019 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

**სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ**

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის ორგანული კანონის მე-2 მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს სასამართლო მედიაციის პროგრამა თანდართული სახით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 30 დეკემბრის N 1/285 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

### **გიორგი მიქუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
2019 წლის 27 დეკემბრის N1/366 გადაწყვეტილებით

## **სასამართლო მედიაციის პროგრამა**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სასამართლო მედიაციის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრავს სასამართლოსა და სსიპ - საქართველოს მედიატორთა ასოციაციას (შემდგომში - ასოციაცია) შორის კომუნიკაციის სტანდარტებს, სასამართლო მედიაციის წარმართვის საპროცესო მხარეს, აგრეთვე სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა საკითხებს.

2. პროგრამის მიზანია:

ა) სასამართლო მედიაციის დანერგვისათვის არსებული საჭიროებების დადგენა;  
ბ) სასამართლო მედიაციის ამოქმედებისათვის აუცილებელი აქტივობების, დაფინანსების წყაროს, ვადისა და პასუხისმგებელი პირის/დაწესებულების განსაზღვრა სამოქმედო გეგმის სახით;  
გ) პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილე სუბიექტთა უფლება-მოვალეობების რეგლამენტაცია.

3. სასამართლო მედიაციის პროცესის მიმართ გამოიყენება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და ამ პროგრამით გათვალისწინებული წესები.

### **მუხლი 2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი პროგრამის განხორციელების პროცესში**

1. პროგრამის შესრულების კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს:

ა) სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებას;

ბ) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას ან/და მოძიებას;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;

დ) პროგრამის ფარგლებში ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენის, ასევე მედიაციის თაობაზე ცნობადობის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას ასოციაციასთან ერთად;

ე) საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მედიაციის ამოქმედებას პროგრამით განსაზღვრულ ვადებში;

ვ) სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა ნაკადის, მედიატორთა დატვირთულობისა და მედიაციის დასრულების შედეგების თაობაზე საერთო სასამართლოებიდან მიღებული სტატისტიკური მასალების განზოგადებას და მოთხოვნის შემთხვევაში ასოციაციისათვის გადაცემას;

ზ) საერთო სასამართლოების მიერ პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას და ამ მიზნით პასუხისმგებელი პირის გამოყოფას.

### **მუხლი 3. საერთო სასამართლოების როლი პროგრამის განხორციელების პროცესში**

1. პროგრამის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებენ საქართველოს საერთო სასამართლოები.

2. საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ:

ა) სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის არსებული საჭიროებების დადგენას (სივრცითი მოწყობის, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კუთხით) და ინფორმაციის წარდგენას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის;

ბ) მედიატორთა ერთიანი რეესტრით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ასოციაციასთან კომუნიკაციის წარმოებას;

გ) სასამართლო მედიაციის ჩასატარებლად საჭირო სივრცის გამოყოფას და მის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, ხოლო ასეთი სივრცის არარსებობის შემთხვევაში - ნეიტრალური ალტერნატიული სივრცის მოძიებას და ამ სივრცით უსასყიდლოდ სარგებლობის მიზნით, ასოციაციასთან შეთანხმებით, შესაბამისი მემორანდუმის გაფორმებას სასწავლო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, არასამთავრობო და სახელმწიფო დაწესებულებებთან, სასამართლო მედიაციის პროცესის ორგანიზების მიზნით მედიატორისათვის სტაჟიორებისა და პრაქტიკანტების დახმარებას;

დ) სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, ასოციაციისათვის წარდგენას;

ე) პროგრამის ფარგლებში ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენის, ასევე მედიაციის თაობაზე ცნობადობის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას ასოციაციასთან ერთად.

### **მუხლი 4. მედიაციის ცენტრის როლი პროგრამის განხორციელების პროცესში**

1. სასამართლო მედიაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით საერთო სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში საქმიანობას ახორციელებს კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში (შემდგომში - კონსულტანტი მედიაციის საკითხებში), ხოლო ასეთი საშტატო ერთეულის არარსებობისას - სასამართლოს მენეჯერი. ამასთან, საერთო სასამართლოების აპარატის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მედიაციის ცენტრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის სახით.

2. კონსულტანტი მედიაციის საკითხებში სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეზე უზრუნველყოფს:

ა) მედიატორის შერჩევის პროცესის ორგანიზებასა და მედიატორთა დანიშვნის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვას;

ბ) მხარეებთან, მედიატორთან და ასოციაციასთან კომუნიკაციას;

გ) მოქალაქეებისთვის და მხარეებისთვის სასამართლო მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ამ მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩანიშვნასა და ჩატარებას ინდივიდუალურად ან კატეგორიების მიხედვით შერჩეულ საქმეებზე მედიატორებსა და მხარეებს შორის, მედიატორთან შეთანხმებით სასამართლო მედიაციის პროცესის ჩანიშვნას და პროცესის ორგანიზებისათვის საჭირო ღონისძიებებს;

დ) სესიების რაოდენობის, მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის მხარეთა გამოუცხადებლობის, სასამართლო მედიაციის ვადის დაცვის, ასევე მისი გაგრძელების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას საინფორმაციო ბარათში;

ე) სასამართლო მედიაციის წარმართვისა და მედიაციის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების თაობაზე ინფორმაციის სასამართლოს თავმჯდომარისათვის მიწოდებას;

ვ) სასამართლო მედიაციის ჩასატარებლად საჭირო სივრცის არარსებობისას, ასოციაციასთან შეთანხმებით, ნეიტრალური ალტერნატიული სივრცის მოძიებისა და ამ მიზნით შესაბამისი მემორანდუმის გაფორმების პროცესის კოორდინაციას;

ზ) მედიატორობის კანდიდატსა და მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას, საქმეზე არჩეული/დანიშნული მედიატორისათვის ინფორმაციის და არსებული საქმის მასალების მიწოდებას, ასევე მხარეებისა და მედიატორისათვის დანიშნული შეხვედრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

თ) მედიატორისათვის გადაცემული საქმის თაობაზე სპეციალური მიმართვებისა და საინფორმაციო ბარათის წარმოებას;

ი) საქმეთა ნაკადის მართვას, ამ მიზნით მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებას;

კ) სასამართლო მედიატორებსა და მოსამართლეებს შორის შეხვედრების ორგანიზებას გამოცდილების გაზიარებისა და მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად;

ლ) სასამართლო მედიაციის შესახებ კმაყოფილების კვლევის მიზნით მხარეთათვის კმაყოფილების შეფასების კითხვარის გადაცემას;

მ) შესაბამისი სასამართლოს მიერ დადგენილი სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

3. მედიაციის ცენტრის სივრცითი და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისთვის მოითხოვება სულ მცირე ორი ოთახი: ერთი ოთახი - საერთო შეხვედრებისთვის, ხოლო მეორე - კერძო შეხვედრების ჩატარების მიზნით. ოთახებს უნდა ჰქონდეს მყარი ხმის იზოლაცია კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად.

### **მუხლი 5. სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის პროცედურა**

1. სასამართლო უფლებამოსილია სარჩელისა და შესაგებლის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეზე მიიღოს განჩინება საქმის მედიატორისათვის გადაცემის თაობაზე, თუ:

ა) დავის სპეციფიკიდან გამომდინარე უდავოა, რომ მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობა გარდაუვალია;

ბ) სარჩელსა თუ შესაგებელში ერთ-ერთ მხარეს გაცხადებული აქვს თანხმობა მედიაციის გამოყენების თაობაზე;

გ) დავის არსიდან იკვეთება, რომ დავა მნიშვნელოვნად პირადი ხასიათისაა;

დ) ნათელია, რომ დრო ან/და რეპუტაცია ერთ-ერთ მხარისათვის არსებითია;

ე) არსებობს მედიაციის თაობაზე შეთანხმება და მხარე ამაზე უთითებს;

ვ) საქმის სასამართლოში განხილვის ხარჯები, საბოლოო ჯამში, შეიძლება გაუტოლდეს ან გადააჭარბოს დავის საგნის ღირებულებას;

ზ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განხორციელება მოითხოვს საკითხის დროულ გადაწყვეტას;

თ) მედიაციაში საქმის განხილვა მნიშვნელოვანია მოდავე მხარეთა ბიზნეს ურთიერთობის გრძელვადიანი დაცვის ინტერესისა და სამართლებრივ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის;

ი) არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ საქმის მედიატორისათვის გადაცემის მიზანშეწონილობაზე.

2. საქმის გადაცემა მედიატორისთვის შესაძლებელია ასევე მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე, თუ საქმე სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულია და სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით საქმის მედიატორისათვის გადაცემა გამართლებულია.

3. საქმის გადაცემა მედიატორისათვის დასაშვებია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

4. მედიაციის უპირატესობების თაობაზე მხარეთა ინფორმირების მიზნით შესაძლებელია საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის ჩატარება, რაც არ იწვევს საქმის წარმოების შეჩერებას. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაზე მხარეებს და მათ წარმომადგენლებს განემარტებათ მედიაციის უპირატესობები, მედიატორისა და მხარეთა როლი. მხარეთა სურვილის შემთხვევაში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა შეიძლება გადაიზარდოს მედიაციის პროცესში. აღნიშნულის თაობაზე უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც იღებს განჩინებას საქმის მედიატორისათვის გადაცემის თაობაზე.

5. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეზე მედიატორის დანიშვნის მიზნით კონსულტანტი მედიაციის საკითხებში, მისთვის საქმის გადაცემიდან 1 დღის ვადაში, მხარეებს უგზავნის მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა სიას და ერთობლივად დასახელების მიზნით მხარეებს განუსაზღვრავს 3 დღის ვადას.

6. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორზე, ასოციაციის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ან ორგანო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში, მედიატორად ნიშნავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მომდევნო პირს.

7. თუ მედიატორმა 6 თვის განმავლობაში სამჯერ არასაპატიო მიზეზით უარი თქვა მედიატორად დანიშვნაზე, მას მიმდინარე წლის ბოლომდე აღარ გადაეცემა მედიაციას დაქვემდებარებული საქმეები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლო დავის მონაწილე მხარეები თავად შეარჩევენ აღნიშნულ მედიატორს.

8. მედიატორად დანიშვნაზე უარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მედიატორის მიუკერძოებლობაში ან გამორიცხავს მედიატორის მიერ მედიაციის პროცესის წარმართვას.

9. კონსულტანტი მედიაციის საკითხებში ეხმარება მედიატორს მედიაციის პროცესის მომზადებაში, რაც მოიცავს მედიატორთან და მხარეებთან შეთანხმებით სესიის თარიღის დანიშვნას, სესიისთვის სივრცის მოძიებას, მხარეებთან წინასწარ კომუნიკაციაში დახმარებას, სესიაზე გამოსაცხადებელი პირების სიის შედგენას, მონაწილეთა მიერ გაუმჟღავნებლობის თაობაზე შეთანხმებაზე ხელმოწერას, მედიაციის ვადების ზედამხედველობას.

10. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ კონსულტანტი მედიაციის საკითხებში განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის ენას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მედიაციის პროცესში თარჯიმნის ან/და ექსპერის ჩართვის ორგანიზაციულ მხარეს. სამედიაციო მორიგების მიღწევის შემთხვევაში მორიგების ტექსტი უნდა შედგეს ქართულ ენაზე.

11. სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში, მედიატორი მხარეთა სამედიაციო მორიგების აქტს წარუდგენს კონსულტანტს მედიაციის საკითხებში, რომელიც აქტს დასამტკიცებლად გადასცემს მოსამართლეს.

12. თუ სასამართლო მედიაციის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მედიაციის საკითხებში კონსულტანტის მიმართვის საფუძველზე სასამართლო განაახლებს საქმის წარმოებას.

## **მუხლი 6. ასოციაციასთან კომუნიკაციის სტანდარტი**

1. სასამართლოსა და ასოციაციას შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ელექტრონული, ასევე წერილობითი ფორმით.

2. ასოციაციასთან კომუნიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კონსულტანტი მედიაციის საკითხებში. იგი უფლებამოსილია გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობას.

3. ასოციაციასთან კომუნიკაციის ფარგლებში კონსულტანტი მედიაციის საკითხებში უზრუნველყოფს:

ა) მედიატორთა ერთიანი რეესტრით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით კომუნიკაციის წარმოებას;

ბ) ასოციაციისთვის სასამართლო მედიაციის საკითხებზე სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის გადაცემას;

გ) მხარეთა მიერ მედიატორის კანდიდატზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მედიატორის დანიშვნის მოთხოვნით ასოციაციისთვის მიმართვას;

დ) ასოციაციის მიერ მედიატორისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს საათობრივ აღრიცხვას და მოთხოვნის შემთხვევაში, ასოციაციისთვის გადაცემას;

ვ) ასოციაციის მოთხოვნის საფუძველზე ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) ახლადსერტიფიცირებული მედიატორის თანამედიატორად ჩართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მედიაციაში მონაწილე მხარე ამის წინააღმდეგია.

### **მუხლი 7. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი**

1. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველწლიურად 2 საქმეზე სასამართლო მედიაცია ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) წარმართოს.

2. მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

### **მუხლი 8. სასამართლო მედიაციის ამოქმედების ვადები**

1. 2020 წლის 1 აპრილამდე საერთო სასამართლოებმა უზრუნველყონ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის სასამართლო მედიაციის ამოქმედებასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის დართვით.

2. 2020 წლის 31 დეკემბრამდე ამ პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით სასამართლო მედიაცია ამოქმედდეს, ხოლო იმ სასამართლოებში, სადაც ამოქმედებულია, ამ პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდეს შემდეგ სასამართლოებში:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლო;

ბ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;

გ) ახალციხის რაიონული სასამართლო;

დ) ბათუმის საქალაქო სასამართლო;

ე) ბოლნისის რაიონული სასამართლო;

ვ) გორის რაიონული სასამართლო;

ზ) ზუგდიდის რაიონული სასამართლო;

თ) თბილისის საქალაქო სასამართლო;

ი) თელავის რაიონული სასამართლო;

კ) მცხეთის რაიონული სასამართლო.

ლ) რუსთავის საქალაქო სასამართლო;

მ) ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

3. 2021 წლის 31 დეკემბრამდე ამ პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით სასამართლო მედიაცია ამოქმედდეს შემდეგ სასამართლოებში:

ა) ამბროლაურის რაიონული სასამართლო;

ბ) ახალქალაქის რაიონული სასამართლო;

გ) გურჯაანის რაიონული სასამართლო;

დ) ზესტაფონის რაიონული სასამართლო;

ე) თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო;

ვ) ოზურგეთის რაიონული სასამართლო;

ზ) სამტრედიის რაიონული სასამართლო;

თ) საჩხერის რაიონული სასამართლო;

ი) სენაკის რაიონული სასამართლო;

- კ) სიღნაღის რაიონული სასამართლო;
- ლ) ფოთის საქალაქო სასამართლო;
- მ) ცაგერის რაიონული სასამართლო;
- ნ) ხაშურის რაიონული სასამართლო;
- ო) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო.

4. ამ პროგრამით განსაზღვრულ ღონისძიებებს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეებზე ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტი მედიაციის საკითხებში.

5. ამ პროგრამით განსაზღვრულ ღონისძიებებს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეებზე ახორციელებს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს კონსულტანტი მედიაციის საკითხებში.

**მუხლი 9. სასამართლო მედიაციის დანერგვის სამოქმედო გეგმა**

სასამართლო მედიაციის დანერგვის მიზნით განისაზღვროს შემდეგი სამოქმედო გეგმა:

მიზანი	აქტივობები	ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი პირი/დაწესებულება
1.1. სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით საჭიროებების შესწავლა	1.1.1. სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის შესწავლა	სასამართლოების მიხედვით აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განმსაზღვრელი დოკუმენტი	01.04.2020	საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო
	1.1.2. საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალებების იდენტიფიცირება		01.04.2020	საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
1.2. მედიაციის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა	1.2.1. მედიაციის ოთახების აღჭურვა ან ალტერნატიული სივრცის მოძიება	1.2.1.ა. მედიაციის ოთახ(ებ)ი 1.2.1.ბ. მედიაციის ოთახის მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობა 1.2.1.გ. მემორანდუმები სივრცის გამოყოფაზე	1.2.1.ა. 30.08.2020 - სულ მცირე 12 სასამართლო მედიაციის ცენტრის ტერიტორიაზე 1.2.1.ბ. 30.03.2021 - სულ მცირე 26 სასამართლო მედიაციის ცენტრის ტერიტორიაზე	საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოების დეპარტამენტი საერთაშორისო ორგანიზაციები
1.3. ადამიანური	1.3.1. პროგრამის	1.3.1.	01.03.2020	იუსტიციის



რესურსებით უზრუნველყოფა	ზედამხედველო ბაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა	დანიშნულია პროგრამის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი		უმაღლესი საბჭო
	1.3.2. მედიაციის საკითხებში კონსულტანტები ს დანიშვნა	1.3.2. დანიშნულია მედიაციის საკითხებში კონსულტანტები	1.3.2. ა. 30.10.2020 - სულ მცირე 12 კონსულტანტი მედიაციის საკითხებში 1.3.2. ბ. 30.10.2021 - სულ მცირე 26 კონსულტანტი მედიაციის საკითხებში	საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო
	1.3.3. მედიაციის საკითხებში კონსულტანტები სა და პროგრამის ზედამხედველო ბაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება მედიაციაში	1.3.3. მედიაციის საკითხებში კონსულტანტები ს რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგი	1.3.3.ა. 30.11.2020 - სულ მცირე 12 კონსულტანტი მედიაციის საკითხებში 1.3.3.ბ. 30.11.2021 -სულ მცირე 26 კონსულტანტი მედიაციის საკითხებში	იუსტიციის უმაღლესი სკოლა საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასოციაცია
	1.3.4. სასამართლო მედიატორების ხელმისაწვდომობა ყველა სასამართლო მედიაციის ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე	1.3.4. ყველა სასამართლო მედიაციის ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია მინიმუმ ერთი სასამართლო მედიატორი	1.3.4.ა. 30.10.2020 - სულ მცირე 12 სასამართლო მედიაციის ცენტრის ტერიტორიაზე 1.3.4.ბ. 30.10.2021 - სულ მცირე 26 სასამართლო მედიაციის ცენტრის ტერიტორიაზე	საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასოციაცია
1.4. სასამართლო მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება	1.4.1. კვარტალური საინფორმაციო სესიების ჩატარება სასამართლოში მოსამართლეთა და მედიაციის ცენტრის	1.4.1.ა. ჩატარებული საინფორმაციო სესიების რაოდენობა 1.4.1.ბ. საინფორმაციო სესიებში მონაწილეთა	ყოველწლიური	საერთო სასამართლოები კონსულტანტი მედიაციის საკითხებში

	კონსულტანტები ს/ მედიატორების ჩართულობით	რაოდენობა		
	1.4.2. წელიწადში ორჯერ მოსამართლეებს ა და მედიატორებს შორის პროფესიული გამოცდილების თვის პლატფორმის უზრუნველყოფა	1.4.2. გამოცდილების გაზიარებისათვის ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა		საერთო სასამართლოები კონსულტანტი მედიაციის საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციები
<b>1.5. სასამართლო მედიაციის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება</b>	1.5.1. სასამართლო მედიაციის პროგრამის მონიტორინგის და შეფასების სისტემის შემუშავება	1.5.1. მონიტორინგის და შეფასების გეგმა	30.03.2020	იუსტიციის უმაღლესი საბჭო
<b>1.6. მედიაციის პროგრამის მონიტორინგის განხორციელება</b>	1.6.1. მედიაციის საკითხებში კონსულტანტები ს მიერ მონიტორინგისთ ვის საჭირო მასალის მოძიება და სისტემაში შეყვანა	1.6.1. მონაცემთა შეგროვების ბაზაში აკუმულირებულ ი მონაცემები	1.6.1.ა. 31.12.2020 - სულ მცირე 12 სასამართლო მედიაციის ცენტრში 1.6.1.ბ. 31.12.2021 - სულ მცირე 26 სასამართლო მედიაციის ცენტრში	კონსულტანტი მედიაციის საკითხებში
	1.6.2. პროგრამის ზედამხედველო ბაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მედიაციის პროგრამის ცენტრალური მონიტორინგის განხორციელება	1.6.2. მონიტორინგის და შეფასების მონაცემთა შევისებული ბაზა და გაანალიზებული მონაცემები		პროგრამის ზედამხედველობა ზე პასუხისმგებელი პირი
	1.6.3. მედიაციის პროგრამის ანალიტიკურ-	1.6.3. მონიტორინგის და შეფასების		

სტატისტიკური წლიური ანგარიშის წარდგენა საბჭოსთვის	წლიური ანგარიშის დოკუმენტი	
---------------------------------------------------------------	----------------------------------	--

**მუხლი 10. პროგრამის მონიტორინგი და ანგარიშგება**

1. პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
2. პროგრამის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2 წლისა ხორციელდება პროგრამის შესრულების შუალედური შეფასება. შეფასების შედეგების შესაბამისად განისაზღვრება დარჩენილი პერიოდის დეტალური სამოქმედო გეგმა.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა ხორციელდება პროგრამის საბოლოო შეფასება.
4. პროგრამას ადმინისტრირებას უწევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, რომელიც საერთო სასამართლოებიდან იღებს დეტალურ ინფორმაციას სასამართლო მედიაციის ამოქმედების მდგომარეობისა და არსებული საჭიროებების თაობაზე.

დანართი 30

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
N 1/367 2019 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველის პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

### **გიორგი მიქსუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

**დამტკიცებულია**  
**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**  
**2019 წლის 27 დეკემბრის N 1/367 გადაწყვეტილებით**

## **მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი**

### **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი არეგულირებს სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის (შემდგომში - მედიატორი) საქმიანობის ანაზღაურების საკითხებს.

### **მუხლი 2. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წყარო**

მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

### **მუხლი 3. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა**

1. მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება საათობრივად.
2. ანაზღაურებას ექვემდებარება მედიატორის მიერ მხარეებთან, როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად წარმართული კომუნიკაცია.
3. მხარეებთან წარმართული კომუნიკაციის ყოველი არასრული საათი ექვემდებარება ანაზღაურებას თითოეული საათისთვის დადგენილი თანხის ოდენობით.
4. ანაზღაურებას არ ექვემდებარება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.
5. მედიატორის მიერ მხარეებთან ინდივიდუალურად და ერთობლივად წარმართული კომუნიკაციის პირველი 10 საათის ანაზღაურება განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით თითოეული საათისათვის, ხოლო ყოველი მომდევნო საათის ანაზღაურება - 10 ლარის ოდენობით.
6. მედიაციის ერთდროულად რამდენიმე მედიატორის მიერ წარმართვის შემთხვევაში, კონკრეტულ საქმეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

### **მუხლი 4. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების პროცედურა**

1. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების მიზნით, კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში (შემდგომში - კონსულტანტი) უზრუნველყოფს მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს საათობრივ აღრიცხვას, რაც დასტურდება შესაბამის უწყისზე კონსულტანტის, მედიატორისა და მხარეთა ხელმოწერებით.
2. კონსულტანტი ყოველი კვარტლის ბოლოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს უგზავნის ინფორმაციას მედიატორისათვის ასანაზღაურებელი თანხების თაობაზე.
3. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ანაზღაურებას ახორციელებს უნაღლო ანგარიშსწორებით, მედიატორის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

4. მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება ყოველკვარტალურად.